საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№30 (359)
10 - 16 აგვისტო, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



3 ერდოღანი პუტინს ეახლა



## «ნაცის ნაცი, ქოცის ნაცი, ერთად ჰქენით ყველამ «ზნაცი»! 6



«ადამიანები, რომლებმაც 2012 წელს ცოცხების ფონზე «ნაციონალური მოძრაობის» სიით იყარეს კენჭი, დღეს «ქართული ოცნების» სახელით აპირებენ საკანონმდებლო ორგანოში შესვლას» 7

5 «ოქრუაშვილი უზნეობის სიმბოლოა – როგორ ნახდა ადამიანი ხელისუფლებაში ყოფნისას და როგორ ვერ გააცნობიერა, რომ ბოროტებას ემსახურებოდა»

«დღეს ერთადერთ თემაზე გვაქვს რეფერენდუმი ჩასატარებელი – გვინდა თუ არა მამათმავლური ევროპა» 8

«ახლა მთავარია, «ნაციონალური მოძრაობა» თავისი სატელიტებით გავრეკოთ პოლიტიკური ველიდან და, თუ ხელისუფლება ხელს შეგვიშლის, ისიც მივაყოლოთ!» 9

«უნდა მოვმკვდარიყავი, რომ ჩემს შვილებს დახმარებოდნენ?» 12

«ქართულ ოცნებას» ურჩევნია, გონს მოეგოს, სანამ «ნაციონალური მოძრაობის» ბედს გაიზიარებს» 13

«სახელმწიფოს სათავეში მოსვლის დღიდანვე, იმ ავბედით სავარძელში ჩაჯდომისთანავე, ყველა საკუთარი ცხოვრების მოწყობას ცდილობს» 13

ტყვედ ყოფნა თუ – «დღეს სტუმარია ეგ ჩემი»? 22

ფილიპინების პრეზიდენტმა აშშ-ის ელჩს ძაღლიშვილი და ჰომოსექსუალი უწოდა 3

# წაგებული ომი და დაუსჯელი დამნაშავეები 4

# 08.08.08




«2008 წლის აგვისტოს მოვლენების სრულყოფილი გამოძიება ერთგვარი ტესტია, რომლის ჩაბარების გარეშე საქართველო შემდგარ სამართლებრივ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლება»

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ევროკომისია ლგბტ-თა პოპულარიზაციის კამპანიას იწყებს

**5 აგვისტოს ევროკომისიამ ლგბტ პირების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სამოქმედო გეგმისა და კამპანიის დაწყების შესახებ გამოაცხადა.** ევროპის საბჭოს მიერ ივნისში მხარდაჭერილი კამპანია, რომლის მიზანი სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვის კონკრეტული სამოქმედო გეგმის განხორციელებაა, 2016—2019 წლების პერიოდს მოიცავს. ევროკომისარ **ჟუროვას** განცხადებით, „ეს კამპანია ხელს შეუწყობს სამართლიანობასა და ლგბტ პირების უფლებების დაცვას ევროპაში. მასში ჩართული იქნებიან არასამთავრობო სექტორი, ეროვნული მთავრობები და მედია“.





## ჰააგის სასამართლო: 2008 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა «ომის დანაშაული» ჩაიდინეს

**„ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა ფიქრობს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა „ომის დანაშაულები“ ჩაიდინეს“, — ნათქვამია ინფორმაციაში, რომელიც ჰააგის სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. პროკურორი „ომის დანაშაულად“ „მშვიდობისმყოფელთა მისიის წარმომადგენლებსა და მათ ობიექტებზე თავდასხმას“ მიიჩნევს.**

„ქართველების სამშვიდობო ობიექტები მრავალჯერ მძიმედ იქნა დაცხრილული სამხრეთ ოსეთის სამხედრო პოზიციებიდან, რომლის შედეგად დაიღუპა ორი და დაიჭრა ხუთი ქართველი მშვიდობისმყოფელი. სხვა ინციდენტის შედეგად კი ქართველი სამხედროების თავდასხმის შედეგად 10 რუსი მშვიდობისმყოფელი იქნა მოკლული და 30 დაჭრილი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, რუსი მშვიდობისმყოფელების ბაზა და მასში არსებული სამედიცინო დაწესებულება განადგურდა“, — აღნიშნულია ჰააგის სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამასთანავე, ოფიციალური ცნობით, პროკურორს ომის დეტალების გამოძიების მიმართ „საქართველოს სახელმწიფოს უმოქმედობის ფონზე“ სურს, რომ 2008 წლის 1 ივლისიდან ამავე წლის 10 ოქტომბრამდე სიტუაცია თვითონ გამოიძიოს.



### ლევან იზორია:

## თავდაცვის სამინისტროში ბევრი პრობლემა დამხვდა

**„არის გარკვეული პრობლემები ყველა ნაწილში, სადაც ურთიერთობა მქონდა სამხედროებთან, — განუცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ჟურნალისტებს.**

„თხოვნა მაქვს ჟურნალისტებთან, კონკრეტული ფაქტების მიმართ დაიწყოთ ჟურნალისტური გამოძიება, დოკუმენტურად ეს ყველაფერი არსებობს და ყველა კითხვაზე მიიღებთ პასუხს. მე არ მინდა, დისკუსიაში შევიდე „ოდეერებზე“ გაკეთებულ განცხადებებზე, იმიტომ, რომ მაქვს ბევრი საქმე, დამხვდა ბევრი პრობლემა და ამიტომ ამ დისკუსიაში შესვლა იქნება ცუდი ჯარისთვის. სამხედროებსა და ჯარისკაცებს სჭირდებათ ის, რომ იგრძნონ სახელმწიფოსგან მზრუნველობა. როგორ იგრძნობენ ისინი ამ მზრუნველობას? — ეს გამოიხატება იმაში, რომ მათ ჰქონდეთ ფორმა და ნორმალური კვება, ასევე იყვნენ ფიზიკურად მზად იმისთვის, რომ გაამართლონ საზოგადოების მოლოდინი. სამწუხაროდ, არის გარკვეული პრობლემები ყველა ნაწილში, სადაც ურთიერთობა მქონდა სამხედროებთან. ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ, რადგან მთავარი ამოცანაა, იგრძნოს ჯარისკაცმა ის, რომ მინისტრი ჰყავს გვერდით“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

### სანდრო ბრეგაძე:

## ვპირდები მარგველაშვილს, პრეზიდენტობას ტანჯვად ვუქცევ!

**„პრეზიდენტი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ კონფრონტაციის გზით წავიდა. მე იმ ნახევარი მილიონი ქართველის გვერდით ვიქნები, რომლის წინააღმდეგაც მარგველაშვილი წავიდა, — განუცხადა „აიპრესს“ ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის საინიციატივო ჯგუფის წევრმა სანდრო ბრეგაძემ.**





„პრეზიდენტს ჩემი შეეშინდა, უფრო ზუსტად — სიმართლის. მან ნახევარ მილიონ ქართველს სულში ჩააფურთხა — შეგროვებული ხელმოწერები არაფრად ჩააგდო. დღეს ის ზის პრეზიდენტის რეზიდენციაში მეუღლესა და მის დაქალებთან ერთად და ქართველ ხალხს დასცინის. მას ჩემი შეეშინდა და წარმოიდგინეთ, დამპყრობლის ჯარი რომ დაინახოს, რას იზამს?! ალბათ, სააკაშვილზე უარესად იფორთხებს. მან რეფერენდუმის ჩატარებაზე პრაქტიკულად უარი თქვა, ვინაიდან ხვალ და ზეგ გადაწყვეტილების მიღებას აზრი არ აქვს, ვადებში ველარ ეტევა, რომ 8 ოქტომბრის არჩევნებზე იყოს რეფერენდუმი გამოტანილი.

არანაირი კონსულტაციები არ მჭირდებოდა პრეზიდენტთან, მე მჭირდებოდა გადაწყვეტილება. საინიციატივო ჯგუფის წევრები ვინ ვართ?! — სულ ხუთი ადამიანი, მაგრამ ჩვენ უკან საქართველოს ნახევარი მილიონი მოქალაქეა. არ მაქვს სურვილი, საიას ყოფილ თავმჯდომარეს, ვინმე **დოლიძეს** ვუსმინო, რომელიც სოროსის ნება-სურვილის აღმსრულებელია; კიდევ — **კოჟორიძე** რომ ჰყავს და მთელი **რესპუბლიკური პარტია** იქ შეყრილი. ნამდვილად არ მაქვს სურვილი, მათ რაღაც სისულელეებს ვუსმინო. ამ ყველაფრის მერე ის საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის, ის ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის შთამომავალია. თუ პრეზიდენტი იმ დონეზეა დაცემული, რომ პიროვნულად შეხვედრა ჩემთან არ უნდა, მაშინ შეუძლია საინიციატივო ჯგუფის სხვა წევრებს შეხვდეს, მაგრამ ეშინია და ვერავის შეხედავს თვალებში... თუ მარგველაშვილს ჰგონია, ეს ყველაფერი ისე ჩაივლის, რომ მის კომფორტულ და სიამტკბილურ ცხოვრებას არაფერი შეეხება, ძალიან ცდება. არც ისე გავაკეთებ, რომ ცხელ გულზე დაუფიქრებელი ნაბიჯები გადავდგა. ტანჯვად ვუქცევ პრეზიდენტობას — ამას ვპირდები. მას შეუძლია წავიდეს ჰოლანდიაში ან სხვა რომელიმე ქვეყანაში, სადაც ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა შორის ქორწინება დაშვებულია, იმუშაოს იქაურ მმაჩის ბიუროში და ერთი სქესის მქონე ადამიანები დააქორწინოს“, — განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.



## «უახლოესი 10-20 წლის განმავლობაში თურქეთი ევროკავშირში ვერ გაწევრდება. ევროკავშირს არ აქვს შესაძლებლობა, მცირე სახელმწიფოებიც კი მიიღოს»

**გერმანიის ვიცეკანცლერმა ზიგმარ გაბრიელმა განაცხადა, რომ უახლოესი 10—20 წლის განმავლობაში თურქეთი ევროკავშირში ვერ გაწევრდება.**

„არა მგონია, რომ უახლოეს მომავალში, ვსაუბრობ 10—20 წელიწადზე, თურქეთს ევროკავშირში გაწევრების შანსი ჰქონდეს“, — განაცხადა გაბრიელმა.

ვიცეკანცლერის განმარტებით, თურქეთის გაწევრება ვერ მოხდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ანკარა ყველა საჭირო პირობას შეასრულებს, რადგან ამ ეტაპზე ევროკავშირს არ აქვს შესაძლებლობა, მცირე სახელმწიფოებიც კი მიიღოს.



### თამაზ მეჭიაური:

## რა, ამერიკის შეერთებული შტატები არ არის ოკუპანტი?

**„აგვისტოს ომში დაღუპული ახალგაზრდების სისხლი დიდწილად მიხეილ სააკაშვილზეა“, — განუცხადა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა თამაზ მეჭიაურმა ჟურნალისტებს მუხათგვერდის სასაფლაოზე, სადაც აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას მიაგო პატივი.**

როგორც მეჭიაურმა აღნიშნა, დაპირისპირება რუსეთსა და საქართველოს შორის, დიდი ხანია, დაწყებულია. რაც შეეხება უშუალოდ აგვისტოს მოვლენებს, მეჭიაურის განცხადებით, არსებობს ტალიავინის კომისიის დასკვნა, რომ „ამ დაპირისპირებებს, პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილის აგრესიული რიტორიკა უძღოდა წინ“.

„კარგად გვახსოვს, როგორ ამბობდა მიხეილ სააკაშვილი, რომ სრულად აკონტროლებდა, ცხინვალიდან დაწყებული, ყველა დასახლებულ პუნქტს და რამდენიმე ხანში უკვე მთლიანად ცხინვალის რეგიონს გაათავისუფლებდა. კი ბატონო, რუსეთი აგრესორია და გამოიყენა მშვენივრად ეს სიტუაცია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ახალგაზრდების სისხლი დიდწილად მიხეილ სააკაშვილის კისერზეა. რუსეთი, რა თქმა უნდა, არის ოკუპანტი, რუსეთი იქნება თუ აშშ, ოკუპანტი რომ იქნება, გიკვირთ ვინმეს? რა, ამერიკის შეერთებული შტატები არ არის ოკუპანტი? ისიც ოკუპანტია და ისიც. ორივეს აქვს თავისი ინტერესები და ჩვენ უნდა გვეყოს ტვინი, რომ სხვისი ზრახვების განხორციელების საშუალებად არ გადავიქცეთ“, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.

## ჩეხეთის ვიცეპრემიერი: ჩვენ არ მივიღებთ არც ერთ მიგრანტს, დროებითაც კი

**ჩეხეთის ვიცეპრემიერი და ფინანსთა მინისტრი ანდრეი ბაბიში ევროკავშირს აფრთხილებს, რომ არ მიიღებს „არც ერთ მიგრანტს, დროებითაც კი“.**

**„მას შემდეგ, რაც ხდება ევროპაში, ჩვენ არ მივიღებთ არც ერთ მიგრანტს, დროებითაც კი და, თუ ევროკომისია ამის გამო სანქციებს გამოიყენებს, ჩვენ მას ვუჩივლებთ“,** — განაცხადა ბაბიშმა. ვიცეპრემიერის განცხადება მოჰყვა საბერძნეთის პოზიციას, რომ საჭიროა „გეგმა ბ“ იმ შემთხვევისთვის, თუ თურქეთი საემიგრაციო შეთანხმებას დაარღვევს. გავრცელებული ინფორმაციით, ევროკომისია აპირებს, აამოქმედოს ლტოლვილთა კვოტების სისტემა, რომლის მიხედვით ყველა ქვეყანა ვალდებულია, მიიღოს მიგრანტები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თითოეულ მიგრანტზე, რომელთაც საკუთარ ტერიტორიაზე არ შეუშვებს, 250 000 ევროთი დაჯარიმდება.





## 2016 წელს უკრაინის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაუარესდება

**გამოქვეყნებული პროგნოზის მიხედვით, 2016 წელს უკრაინის მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელი 2%-ით კი არა, როგორც აქამდე იყო მოსალოდნელი, არამედ 1%-ით გაიზრდება.**

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch-ის მონაცემებით, 2016 წელს უკრაინის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი გაუარესდება. 2016 წელს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 1% იქნება და არა 2%, როგორც მოსალოდნელი იყო.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერდოღანი პუტინს ეახლა

## თურქეთის პრეზიდენტმა პუტინისთვის გაგზავნილ წერილში რუსულ ენაზე მოიბოდიშა

**ორმხრივ ურთიერთობაში კრიზისის გაჩენის შემდეგ რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტების — ვლადიმერ პუტინისა და რეჯეფ თაიფ ერდოღანის — შეხვედრა 9 აგვისტოს გაიმართა სანკტ-პეტერბურგთან მდებარე სტრელნაში, კონსტანტინეს სასახლეში.**

პუტინი და ერდოღანი ბოლოს 2015 წლის 16 ნოემბერს შეხვდნენ ანტალიაში გამართულ G20-ის სამიტზე.

ორი ქვეყნის ლიდერების შეხვედრა მას შემდეგ იქნა შესაძლებელი, როცა ერდოღანმა პუტინს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მოიბოდიშა სირიაში Су-24-ის ჩამოგდების გამო და დაღუპული პილოტის ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა. ერდოღანი წერდა, რომ თურქეთს არ სურდა ურთიერთობის გაფუჭება რუსეთთან.

რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თურქეთის ლიდერის ვიზიტი მეტყველებს დიალოგის განახლებაზე მას შემდეგ, რაც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა დეგრადირდებოდა Су-24-ის ჩამოგდების გამო. პუტინმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ პირველი იყო, ვინც დაურეკა ერდოღანს და მხარდაჭერა გამოხატა თურქეთში სამხედრო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობისას. რუსეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ რუსეთი ყოველთვის წინააღმდეგია ნებისმიერი არაკონსტიტუციური მოქმედების და იმედი გამოთქვა, რომ თურქი ხალხი ერდოღანის ხელმძღვანელობით შეძლებს კრიზისის დაძლევას.

**„ჩვენ დღეს გვექნება შესაძლებლობა, ვიწრო წრეში და შემდეგ — ფართოდაც ვიმსჯელოთ ჩვენს ურთიერთობებზე, მათ შორის, ეკონომიკური კავშირების აღდგენასა და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობაზე“,** — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.



თურქეთის პრეზიდენტმა, თავის მხრივ, იმედი გამოთქვა, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა დიდ წვლილს შეიტანს რეგიონული პრობლემების მოგვარების საქმეში. მან მადლობა გადაუხადა პუტინს შეხვედრის შესაძლებლობის მიცემისა და მხარდაჭერისთვის თურქეთში გადატრიალების მცდელობისას.

**P.S. „თურქეთს მიაჩნია, რომ რუსეთის მხარდაჭერა გადატრიალების მცდელობისას იყო „უპირობო და გულწრფელი და სწორედ ამით განსხვავდება ის აშშ-ისა და ევროკავშირის ქმედებისგან, რომლებიც აკრიტიკებდნენ და დღესაც აკრიტიკებენ ერდოღანს ავტორიტარიზმის გაძლიერებისთვის“,** — წერს ესპანური გამოცემა ABC, რომელსაც თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად მოჰყავს ერდოღანის ციტატა: „დასავლეთი მხარს უჭერს ტერორს და იდგა პუტჩისტების მხარეს. ჩვენ არ მიგვილია მოკავშირეების დახმარება, რომელსაც ველოდით, არც მანამდე და არც პუტჩის შემდეგ“.

თურქული გაზეთი Hurriyet-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, 9 აგვისტოს შეხვედრამდე თურქეთის პრეზიდენტის მიერ ვლადიმერ პუტინისთვის გაგზავნილ წერილში რუსულად ეწერა სიტყვა „ბოდიში“.



# ტრამპმა კლინტონს «ისლამური სახელმწიფოს» დამაარსებელი უწოდა

## ტელეარხმა ABC-მ ტრანსლაცია შეწყვიტა

**ამერიკულმა ტელეარხმა ABC-მ შეწყვიტა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის გამოსვლის ტრანსლაცია, როდესაც მან ლაპარაკი დაიწყო ექსტრემიზმის აყვავებაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პოსტზე ჰილარი კლინტონის ყოფნისას.**

რესპუბლიკელთა კანდიდატმა დონალდ ტრამპმა სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში თავისი მოწინააღმდეგის მოღვაწეობასა და ახლო აღმოსავლეთში ისლამისტების პოზიციების გამყარებას შორის კავშირზე მიუთითა და სწორედ ამ მომენტში შეწყდა ტრანსლაცია.

**„შეხედეთ ორლანდოს, სან-ბერნარდინოს, მსოფლიოს სავაჭრო ცენტრს; ნახეთ, რა ხდება მსოფლიოში და ჩვენ უფლება მივეცით „ისლამურ სახელმწიფოს“ ეს პოზიცია დაეკავებინა. ეს გააკეთა ჰილარი კლინტონმა. მათ ის უნდა დააჯილდოვონ, როგორც „ისლამური სახელმწიფოს“ დამაარსებელი“,** — ამის თქმა მოასწრო ტრამპმა ტრანსლაციის შეწყვეტამდე.

ეს არ არის ტრამპის პირველი განცხადება ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნასთან ჰილარი კლინტონის კავშირზე.

უფრო ადრე ტელეკომპანია ABC-სთვის მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტობის კანდიდატმა რესპუბლიკური პარტიიდან განაცხადა, რომ კლინტონმა **„თავისი სულელური პოლიტიკით შექმნა „ისლამური სახელმწიფო“ და ამისთვის პასუხი უნდა აგოს“.**



**«შეხედეთ ორლანდოს, სან-ბერნარდინოს, მსოფლიოს სავაჭრო ცენტრს; ნახეთ, რა ხდება მსოფლიოში და ჩვენ უფლება მივეცით «ისლამურ სახელმწიფოს» ეს პოზიცია დაეკავებინა. ეს გააკეთა ჰილარი კლინტონმა. მათ ის უნდა დააჯილდოვონ, როგორც «ისლამური სახელმწიფოს» დამაარსებელი**



# გერმანიაში დანით შეიარაღებული მამაკაცი ქუჩაში გამვლელებს დაესხა თავს

**გერმანიის ქალაქ მაგდებურგში დანით შეიარაღებული უცნობი მამაკაცი ქუჩაში გამვლელებს დაესხა თავს და მძიმედ დაჭრა 64 წლის ქალბატონი, რომელიც საავადმყოფოში მოათავსეს. თვითმხილველთა თქმით, მამაკაცმა კიდევ ორი ადამიანი დაჭრა.**

**შეგახსენებთ:**

***1 აგვისტოს** ბელგიაში ლტოლვილმა დანით დაჭრა კათოლიკე მღვდელმსახური, რომელმაც ის თავის აბაზანაში შხაპის მისაღებად შეუშვა. ბოროტმოქმედს სამართალდამცველები ეძებენ.

***4 აგვისტოს** 19 წლის მამაკაცი ლონდონის ცენტრში დაესხა თავს ადამიანებს და ერთი ქალი მოკლა, 4 კი — დაჭრა. დამნაშავე დაკავებულია.

***6 აგვისტოს** ალჟირელი მამაკაცი ბელგიის ქალაქ შარლერუას პოლიციის სამმართველოში შევარდა ყვირილით: „ალაჰ აკბარ!“ და მაჩეტეთი ორი პოლიციელი ქალი დაჭრა. თვითონ ბოროტმოქმედი კი ერთ-ერთმა პოლიციელმა მოკლა.

***22 ივლისს** მიუნხენის სავაჭრო ცენტრ „ოლიმპში“ ირანული წარმოშობის გერმანიის მოქალაქემ, 18 წლის მამაკაცმა, სროლა ატეხა. დაიღუპა 9 ადამიანი, დაიჭრა — 35. ბოროტმოქმედმა თავი მოიკლა.

***18 ივლისს** ბავარიის (გერმანია) ქალაქ ვიურცბურგთან ნაჯახით შეიარაღებული მამაკაცი თავს დაესხა მატარებლის მგზავრებს და რამდენიმე მძიმედ დაჭრა.

***14 ივლისს** ნიცაში (საფრანგეთი), ინგლისის სანაპიროზე, ბასტილიის აღების დღის აღსანიშნავად მოწყობილი ფოიერვერკის საყურებლად შეკრებილ ხალხში ტუნისური წარმოშობის საფრანგეთის მოქალაქე სატვირთო ავტომობილით შევარდა. დაიღუპა 84 ადამიანი, დაშავდა 300-ზე მეტი.



# ფილიპინების პრეზიდენტმა აშშ-ის ელჩს ძაღლიშვილი და ჰომოსექსუალი უწოდა

**ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ შეურაცხმყოფელი სიტყვები გამოიყენა ამ ქვეყანაში აშშ-ის ელჩის — ფილიპ გოლდბერგის მიმართ.**

5 აგვისტოს სიტყვით გამოსვლისას ფილიპინების პრეზიდენტმა გოლდბერგი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა და მას ძაღლიშვილი და ჰომოსექსუალი უწოდა. ფილიპინების პრეზიდენტის გამონათქვამების გამო ამერიკის ხელისუფლებამ დიპლომატიური დემარში მოაწყო.

„ჩვენ ვნახეთ და მოვისმინეთ ეს გამაოგნებელი კომენტარები გოლდბერგის შესახებ“, — განაცხადა აშშ-ის სახდეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ელიზაბეტ ტრიუდომ** და დასძინა, რომ ამ გამონათქვამებში გასარკვევად აშშ-ში ფილიპინების დროებითი წარმომადგენელი **პატრიკ ჩუასოტო** მიიწვიეს“.

ტრიუდომ, აგრეთვე, განაცხადა, რომ დუტერტეს მხრიდან ნარკოტიკებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილი ფილიპინების ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების მოთხოვნა ულტიმატუმის სახით აშშ-ის შეშფოთებას იწვევს.

მაისში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში დუტერტეს ხმა მისცა 16,5 მილიონმა ფილიპინელმა (ამომრჩეველთა 39%), რომლებმაც ირწმუნეს მომავალი პრეზიდენტის დაპირება, რომ 6 თვეში ბოლოს მოუღებდა ნარკოტიკებით ვაჭრობას. მისი პრეზიდენტობის პირველ დღეებში პოლიციელებმა ათობით ნარკოდილერი გამოასალმეს სიცოცხლეს.

როდრიგო დუტერტემ 7 აგვისტოს გამოაქვეყნა ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩართული პირების სია. მათ შორის არის მაღალი თანამდებობის 150 პირი, კერძოდ, რამდენიმე დიდი ქალაქის მერი და პოლიციის თანამშრომელი. მათ პრეზიდენტმა 24 საათი მისცა, რათა ჩაბარდნენ ხელისუფლებას. ფილიპინების პრეზიდენტის მოთხოვნას ჯერჯერობით 50 კაცი დაემორჩილა.

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის 76-ე სადესანტო-მოიერიშე დივიზიის მეთაურმა გორში ლადო ვარძელაშვილის კაბინეტის კედელზე დაწერა: „გუბერნატორ, ვერნის კ სვოემუ ნაროდუ, ტრუს!“ (გუბერნატორო, დაბრუნდი საკუთარ ხალთან, შე ლაჩარო!). იმ მომენტში ქალაქის მოსახლეობას უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ ჰქონდა, სააკაშვილის რეჟიმმა მასზე პასუხისმგებლობა მოიხსნა.**

# წაგებული ომი და დაუსჯელი დამნაშავეები

**აგვისტოს ომის მერვე წლისთავზე ურიგო არ იქნება, ერთი ძველი განცხადების გახსენება: „საჭიროა, პასუხი გაეცეს კითხვებს, რომლებიც ომთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების მიმართ არსებობს – რატომ ვერ შეძლო სააკაშვილმა აშკარა პროვოკაციის თავიდან აცილება, როგორ მოქმედებდა მთავარსარდალი და მთავრობა, რატომ ერეოდნენ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები სამხედრო ოპერაციის მართვაში, რომელმაც ქაოსი და არეულობა გამოიწვია, რატომ მოჰყვა ამხელა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის, რატომ ვერ შეძლო მთავრობამ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, როგორ დარჩნენ მეთაურის გარეშე ჩვენი რეზერვისტები, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს, და მრავალი სხვა“.**

ეს ბიძინა ივანიშვილმა 2013 წლის 12 აპრილს განაცხადა. მას შემდეგ სამ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ზემოჩამოთვლილი ყველა კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია. **პროკურატურასა და თავდაცვის სამინისტროში ამ მიმართულებით ჩატარებულმა სამუშაომ შესამჩნევი შედეგი ვერ გამოიღო და ეს, ალბათ, კიდევ ადასტურებს ივანიშვილის ხელისუფლების უუნარობას; მას, როგორც ჩანს, არ შეუძლია თუნდაც ერთი საქმე მიიყვანოს ბოლომდე.**

ამ თემაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ გამოძიება, რომელსაც ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი **ფატუ ბენსუდა** აწარმოებს, და საქართველოს პროკურატურის საქმიანობა. ბენსუდა ომის პერიოდში სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს იძიებს და მას არ ეხება, ვინ და რატომ მიატოვა ქართველი რეზერვისტები ან რატომ არ მოახდინა სააკაშვილის რეჟიმმა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია.

შესაძლოა, **ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა „შიდა ქართლში“ გამოძიების ფორსირება და ასპარეზი ფატუ ბენსუდას დაუთმო, არის შიში, რომ ნაციონალები მას „პუტინის დაკვეთის“ შესრულებაში დაადანაშაულებენ.** პროცესები ისედაც მიდის მთავრობისთვის სასურველ კალაპოტში. თუ ჰააგის სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ მოხდა ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, ეს სეპარატისტული ხელისუფლების დისკრედიტაციას გამოიწვევს. თუ პარალელურად გაირკვევა, რომ სააკაშვილის ან მისი რომელიმე ხელქვეითის ესა თუ ის ბრძანება ან ქმედება დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდა, ეს „ქართულ ოცნებას“ დიდად არ დაამწუხრებს, უფრო — პირიქით. ერთი შეხედვით, ეს პოზიცია პრაგმატულია, მაგრამ მასში, ალბათ, არის რაღაც ამორალური. როდესაც, პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, არ ხდება იმ საქმის გამოძიება, რომლის დანაშაულის ნიშნები აშკარაა და რომელიც ამდენი ადამიანის დაღუპვას ეხება, ეს ანგრევს სახელმწიფოს და უკარგავს მოქალაქეებს სურვილს, ემსახურონ მას.

**ახალმა ხელისუფლებამ, რომ იტყვიან, „ცხოვრება მოიწყო“. როდესაც მის წარმომადგენლებს მიუთითებენ, რომ ამა თუ იმ საქმის, ზოგ შემთხვევაში კი მთელი სფეროს მიმართ, სამართლიანობის აღდგენა არ ხდება, ისინი ხშირად პასუხობენ, რომ ამისთვის დრო და რესურსი არ ჰყოფნით.** მაგალითად, ცოტა პროკურორი ჰყავთ, რომლებიც ისედაც გადატვირთულნი არიან. არადა, ჩვენ იმისთვის კი არ ვირჩევთ ხელისუფლებას, რომ პრობლემებზე მიუთითებდეს, არამედ იმისთვის, რომ წყვეტდეს მათ. მართალია, აგვისტოს ომზე, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხელისუფლება პროკურორების უკმარისობას ან სხვა მსგავს სისულელეს არ იმიზეზებს, მაგრამ დრო გადის, ხანდახან გვესმის, რომ თითქოს მიმდინარეობს რაღაც ბუნდოვანი „მოკვლევა“ან „შესწავლა“, მაგრამ რეალური შედეგი არ ჩანს.

1942 წელს, როდესაც ბრიტანელთა ღირსებისთვის დამამცირებელ გარემოებაში დაეცა სინგაპური, **უინსტონ ჩერჩილი** დახურულ მოსმენაზე პარლამენტში გამოვიდა წინადადებით — ომის დასრულების შემდეგ მომხდარი გამოეძიებინათ. მისი განცხადება 1946-ში გამოქვეყნდა და ავსტრალიის მთავრობა (ამ ქვეყანამ სინგაპურში ბევრი ჯარისკაცი დაკარგა) დაინტერესდა, აპირებს თუ არა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება გამოძიების დაწყებას. ლონდონში პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელების კონსულტაციები დაიწყო და გაირკვა, რომ საქმე რამდენიმე გენერლის დასჯით ვერ შემოიფარგლებოდა და თითქმის გარანტირებულად დადგება იმ პოლიტიკოსების პასუხისმგებლობის საკითხიც, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ ე.წ. სინგაპურის სტრატეგიაზე და დანაშაულის ტოლფას შეცდომებს უშვებდნენ. დიდი ალბათობით, დაზარალდებოდა ყველა — ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, და ზიანი დიდი ბრიტანეთის ელიტას მიადგებოდა, ამიტომ ლონდონში გადაწყვიტეს, გამოძიება არ დაეწყოთ. შესაძლოა, სწორედ იმ დღეს გაწყდა უკანასკნელი ძაფი, რომელიც ავსტრალიას ბრიტანეთის იმპერიასთან აკავშირებდა. ავსტრალიელებმა ბრიტანელებს ეს გადაწყვეტილება დღემდე არ აპატიეს. სინგაპურის დაცემიდან 50 წლის შემდეგ, 1992-ში, ავსტრალიის პრემიერმინისტრი **პოლ კიტინგი** თავის ერთ-ერთ გამოსვლაში დიდ ბრიტანეთზე ასე საუბრობდა: „ქვეყანა, რომელმაც მიატოვა სინგაპური და არ დაგვიბრუნა ჩვენი ჯარები მაშინ, როდესაც ისინი იაპონურ საფრთხესთან ბრძოლისთვის გვჭირდებოდა“. ლონდონის გადაწყვეტილებამ ანალოგიური რეაქცია გამოიწვია ახალ ზელანდიაშიც. გაივლის კიდევ 50 წელი, მაგრამ, 99%-იანი ალბათობით, განწყობა არ შეიცვლება და ეს თავმოყვარე ერის ბუნებრივი რეაქციაა. **მანამ, სანამ პასუხგაუცემელია კითხვა — „რატომ დაიღუპნენ ჩვენი ჯარისკაცები?“ — (საქართველოს შემთხვევაში საქმე, მშვიდობიან მოქალაქეებსაც ეხება) ნორმალურ საზოგადოებას დამშვიდების უფლება არ აქვს.**



**2008 წლის აგვისტოს მოვლენების სრულყოფილი გამოძიება ერთგვარი ტესტია, რომლის ჩაბარების გარეშე საქართველო შემდგარ სამართლებრივ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლება**

ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ეპიზოდი, როდესაც ე.წ. დუბოვაია როშჩაში 42-ე ბატალიონი დაიბომბა და 20-ზე მეტი სამხედრო დაიღუპა, ბევრი კი — დაიჭრა. გენერალ **გია ყარყარაშვილის** წიგნში „ეს ჩემი სამშობლო იწვის“ შემდეგი რამ წერია: **„დაუზუსტებელი ინფორმაციით, ხეთაგუროვოზე წარმატებული შეტევის შემდეგ მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელობა ისე იყო დარწმუნებული იოლ წარმატებაში, რომ ბრიგადის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები თავშეყრის რაიონში დატოვეს, ე. ი. ბატალიონს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები არ გააჩნდა“.** ჩნდება კითხვა — უნდა დაზუსტოს თუ არა გამოძიებამ ეს ინფორმაცია? აქვე შეიძლება დაისვას მეორე კითხვა: **როგორ აღმოჩნდა ბატალიონი „დუბოვაია როშჩაში“?** ის მთავარი მიმართულებიდან მოხსნეს და ცხინვალისკენ გაუშვეს, მაშინ, როდესაც მე-3 და მე-4 ბრიგადის სხვა ქვედანაყოფებთან ერთად დიდი გუფთისკენ უნდა გადაადგილებულიყო (ხეთაგუროვოსა და ძარის გზის მხრიდან). ამას მოითხოვდა როგორც ოპერაციის გეგმა, ისე ჩვეულებრივი ლოგიკა, მაგრამ 42-ე ბატალიონი ცხინვალისკენ „მოატრიალეს“.

**„დასაწყისში არ იგეგმებოდა ცხინვალზე შეტევა, ეს უკვე შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მოხდა“,** — ასე უპასუხა გაერთიანებული შტაბის იმჟამინდელმა ხელმძღვანელმა, ბრიგადის გენერალმა **ზაზა გოგავამ** საპარლამენტო კომისიის წევრების კითხვას. ეს კი, სავარაუდოდ, ნიშნავს იმას, რომ **42-ე ბატალიონი „დუბოვაია როშჩაში“ რაღაც გაუგებარი იმპროვიზაციის შედეგად აღმოჩნდა. სამხედრო აუცილებლობა მოითხოვდა სასწრაფო წინსვლას ჩრდილოეთით, მაგრამ პროპაგანდისტული ეფექტისთვის სააკაშვილს სჭირდებოდა გადასატანი ტრიბუნის ცხინვალში შეტანა და მგზნებარე სიტყვის წარმოთქმა, და, შესაძლოა, სწორედ ამის გამო დაიწყო ქალაქის ქაოსური შტურმი.** ეს ვერსია არაერთმა კომენტატორმა გამოთქვა. ნუთუ ყოველივე ეს არ უნდა გამოიძიონ?!

თქმული არ ნიშნავს, რომ ამ გამოძიების შედეგი აუცილებლად ამა თუ იმ ხელმძღვანელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას გამოიწვევს, მაგრამ **ერს აქვს უფლება, ზუსტად იცოდეს, რატომ დაიღუპნენ მისი სამხედროები; აგრეთვე, ის, თუ რატომ მიატოვეს მშვიდობიანი მოსახლეობა და არ დაიწყეს ევაკუაცია.** ხელისუფლება, უბრალოდ, გაუჩინარდა — **რუსეთის 76-ე სადესანტო-მოიერიშე დივიზიის მეთაურმა გორში ლადო ვარძელაშვილის კაბინეტის კედელზე დაწერა: „გუბერნატორ, ვერნის კ სვოემუ ნაროდუ, ტრუს!“ (გუბერნატორო, დაბრუნდი საკუთარ ხალთან, შე ლაჩარო!).** იმ მომენტში ქალაქის მოსახლეობას უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ ჰქონდა, სააკაშვილის რეჟიმმა მასზე პასუხისმგებლობა მოიხსნა. ყოველივე ამას ფატუ ბენსუდა არ გამოიძებს, **თვითონ ქართველებმა უნდა დაადგინონ, რატომ არ განხორციელდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან, გორიდან და მიმდებარე სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია.** ცალკე თემაა კოდორის ხეობისა და ახალგორის რაიონის დატოვება, მაშინ, როდესაც **სარკოზის** სამშვიდობო მისია უკვე დაწყებული იყო, რუსებმა მიაღწიეს თავისი ოპერაციის დეკლარირებულ მიზნებს და მათ, დიპლომატიურ ფრონტზე განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, არ ჰქონდათ „დამატებითი დრო“ იმისთვის, რომ კოდორის ხეობის თუნდაც რამდენიმედღიანი შტურმი ეწარმოებინათ. მისი **დატოვების ბრძანება ვანო მერაბიშვილმა გასცა** (თუ დავეყრდნობით მისივე განცხადებას საპარლამენტო კომისიის სხდომაზე).

სიტუაციის აბსურდულობის თვალსაზრისით, ყველა რეკორდი მოხსნილია. **ხელისუფლება, ფაქტობრივად, აფერხებს საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მარცხისა და თანმდევი მოვლენების გამოძიებას, სავარაუდოდ, იმის შიშით, რომ მთავარი ეჭვმიტანილები მას რუსეთის აგენტობაში დაადანაშაულებენ, და ჰააგელი პროკურორების ზურგს უკან იმალება.**

კიდევ ერთი მაგალითი უცხო ქვეყნების გამოცდილებიდან: როდესაც არგენტინაში ყოფილი დიქტატორი, გენერალი **ლეოპოლდო გალტიერი** გაასამართლეს, ის უდანაშაულოდ ცნეს ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევებში, რამაც უფლებადამცველები ფრიად გააკვირვა. მაგრამ მას 12 წელი მიუსაჯეს იმ დანაშაულებრივი შეცდომებისთვის, რომლებიც ფოლკლენდის წარუმატებელი ომის დროს შეიარაღებული ძალების მართვის პროცესში დაუშვა. ეს შედარებით რბილი განაჩენი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ არგენტინის არმიის შიდა მოკვლევა, ე.წ. რატენბახის მოხსენება გალტიერის დახვრეტის რეკომენდაციას შეიცავდა.

აქ შეიძლება გაჩნდეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა — სად გადის ზღვარი შეცდომასა და დანაშაულს შორის, საქმე ის არის, რომ დისკუსია ამ თემაზე ვერ ჩაანაცვლებს გამოძიებას და სასამართლოს, რომელმაც, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკუთარი სიტყვა მკაფიოდ უნდა თქვას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – ივანიშვილის ხელისუფლება ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა გახმაურებულ საქმეებზე საზოგადოებრივი კომისიების შექმნას, რომლებიც „პარალელურ გამოძიებას“ ჩაატარებდნენ (მაგალითად, ლაფანყურის მოვლენებზე). ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზოგადოებამ ხელისუფლების პოზიციას ყურადღება არ უნდა მიაქციოს და კომისიის შექმნით ან რომელიმე სხვა გზით პროკურატურას გააქტიურება აიძულოს. **2008 წლის აგვისტოს მოვლენების სრულყოფილი გამოძიება ერთგვარი ტესტია, რომლის ჩაბარების გარეშე საქართველო შემდგარ სამართლებრივ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ვერ ჩაითვლება.**

**„ოქრუაშვილი ადეიშვილსა და სააკაშვილთან ერთად ბოროტების დამფუძნებელია. მათ ააყვავეს საქართველოში საპროცესო გარიგების ინსტიტუტი, რომლის დროსაც ბიზნესმენებს ძალითართმევდნენ მილიონებს და სად მიდიოდა წართმეული ფული, კაცმა არ იცის. ოქრუაშვილი, მისდა სამწუხაროდ, მალე თვითონ გახდა სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის მსხვერპლი და იწვნია მისი სიმწარე. ამ ადამიანის უზნეობა გასაოცარია იმიტომ, რომ დღესაც აპირებს ამომრჩევლის ხმების მიღებას“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ოქრუაშვილი უზნეობის სიმბოლოა — როგორ წახდა ადამიანი ხელისუფლებაში ყოფნისას და როგორ ვერ გააცნობიერა, რომ ბოროტებას ემსახურებოდა»

**მოსახლეობას სჯეროდა, რომ „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო დაპირებას შეასრულებდა და სამართლიანობას აღადგენდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. „როდესაც დაუსჯელობის სინდრომია გამეფებული და ამას სისტემური ხასიათი აქვს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფოებრიობას ეთხრება ძირი, რადგან კანონის წინაშე თანასწორობა არის ფუნდამენტური პრინციპი“, — ამბობს ადვოკატი ლია მუხაშავრია. სამართლიანად მოქმედებს თუ არა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი? რატომ ცდილობს „ნაციონალური მოძრაობა“ საკონსტიტუციო სასამართლოში ქაოსის შეტანას? — ამ და სხვა საკითხებზე სწორედ ქალბატონი ლია გვესაუბრება.**



— თუ მართლმსაჯულების სისტემა არ ექნება გამართული, ქვეყანა წინ ვერ წავა. ვიღაცის მიერ პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავის დაძვრენა, საბოლოო ჯამში, ანგრევს და აზიანებს ყველას. როდესაც დაუსჯელობის სინდრომია გამეფებული და ამას სისტემური ხასიათი აქვს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, შეიძლება ვთქვათ, რომ სახელმწიფოებრიობას ეთხრება ძირი, რადგან კანონის წინაშე თანასწორობა არის ფუნდამენტური პრინციპი. უწინარესად, სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ამ მავნე დაავადებისგან როგორმე განიკურნოს.

**— როგორ შეაფასებთ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს?**

— ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება იყო მცდელობა, რომ სასამართლოსთვის დაებრუნებინათ საზოგადოების ნდობა, მაგრამ ნდობის აღდგენის უსუსური მცდელობა გამოვიდა. ამ მცდელობის არსი იყო არა ის, რომ სასამართლო გაუმჯობესებულიყო, არამედ საზოგადოებისთვის თვალში ნაცარი შეეყარათ არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც. როდესაც მდგომარეობის შესაცვლელად რადიკალური არ არის რეფორმა, ის ყოველთვის ფასადურია, ფასადურ ცვლილებებს კი არ მოაქვს კარგი შედეგი.

**— საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ამბობს, რომ მოსამართლეებს აშანტაჟებენ, ხოლო „ქართული ოცნების“ წევრების აზრით, პაპუაშვილი ქაოსის შეტანას ცდილობს სასამართლოში...**

— ადამიანი მაღალ თანამდებობაზე მხოლოდ სერიოზული განსჯისა და შერჩევის შემდეგ უნდა დაინიშნოს. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე იმუნიტეტით აღჭურვილი პირია, მის საქმიანობაში ვერავინ ჩაერევა, ეს არის კონსტიტუციით დამტკიცებული. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გადახედვასა და გაუქმებას არ ექვემდებარება, ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ან თავმჯდომარის უღირსი საქციელის გამო სახელმწიფო ზარალდება. საკონსტიტუციო სასამართლომ ამჟამად შეაჩერა საქმიანობა, თითქოს გამოძიებით უნდა გაირკვეს, იყო თუ არა მოსამართლეებზე ზემოქმედების ფაქტები, **ცხადია, რომ დღეს მოსამართლის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა სადავოა და ასეთ პირობებში სასამართლო ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, როგორიც ეკადრება.** ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს არის საბოტაჟის ნიშნების მქონე ქმედება, რადგან ეს სკანდალი პოლიტიკურ ხასიათს ატარებს ყველა სუბიექტის მხრიდან, რომლებიც კი ამ პროცესში არიან ჩართულნი. წინააღმდეგობრივია მოსამართლეების პოზიციები, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ან ხელისუფლებამ დააპირისპირა, აქეთ პროკურატურა, რომელსაც გამოძიება ორი დღის დაწყებული აქვს, აცხადებს, რომ ჩვენ ყველა დავკითხეთ თავმჯდომარის გარდა და არც ერთმა არ დაადასტურა მასზე ზეწოლის ფაქტიო. უკაცრავად და, **რა უფლება აქვს პროკურატურას, გამოძიების მასალები გაასაჯაროოს, როდესაც ახალი დაწყებულია გამოძიების პროცესი? მთელი ეს აყალმაყალი ძალიან არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ყველაზე მეტად ზარალდებიან ის ადამიანები, რომლებსაც სარჩელი აქვთ შეტანილი საკონსტიტუციო სასამართლოში და მოუთმენლად ელიან გადაწყვეტილებას.** ამ ვითარების გამო სახელმწიფო გვენგრევა თავზე.

**— ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, ცხრა მოსამართლიდან, რომლებიც „რუსთავი 2“-ისა და უგულავას საქმეს განიხილავენ, სამი ნაციონალების პერიოდშია დანიშნულიო...**

— არა მგონია, მხოლოდ სამი მოსამართლე იყოს ნაციონალების მიერ დანიშნული, ჩემი აზრით, უმრავლესობაა ასეთი. საქმე გაცილებით რთულადაა და ასეთი მარტივი დიაგნოზით ეს ავადმყოფობა არ განიკურნება.

**— საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სამართლიანობა არ აღადგინა და დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებთან კოაბიტაციას განაგრძობს. როგორ ფიქრობთ, სამართლიანია სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის მიტევება? ახალი თაობა მოდის, რა უნდა იფიქრონ მათ: თუ ქვეყნის სათავეში მოვალთ, შეიძლება ათასი დანაშაული ჩავიდინოთ, მაგრამ მოგვიტევებენო?**

— დღეს ბევრ ადამიანს ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის პასუხი არ უგია. როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ვამბობდი და დღესაც გავიმეორებ ამ მოსაზრებას: არ ვარ მომხრე, ყველა ციხეში გავუშვათ, ვისაც კი რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი, რადგან ძალიან ბევრია ასეთი ადამიანები. კი ბატონო, ისინი უნდა ვცნოთ დამნაშავეებად იმ კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინეს, მაგრამ ყველას ვერ გამოვამწყვდევთ ციხეში. **მათ უნდა მოინანიონ, ითხოვონ პატიება და შეიძლება ეპატიოთ, მაგრამ იურიდიულად უნდა ჩაიწეროს, რომ მათ ჩაიდინეს ესა თუ ის დანაშაული.** არსებობს საზოგადოების საყოველთაო შეთანხმება და პოლიტიკური ნება იმაზე, რომ დაისაჯონ მეთაურები, რიგით შემსრულებლებს — მიეტევოთ. ეს იქნებოდა ჩვენი ცხოვრების, ჩვენი წარსულის გაჯანსაღების რეალური გზა. ამის ნაცვლად რა მივიღეთ? **ყველამ ვიცით, ვინ არიან დამნაშავეები, მაგრამ მხოლოდ წვრილფეხობა მისცეს პასუხისგებაში, თანაც ძალიან ლოიალური სასჯელი აკმარეს და უმრავლესობა უკვე გამოსულია ციხიდან; ხოლო ისინი, ვინც ძალიან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასჯელს წვრილმანი დანაშაულისთვის იხდიან.** საერთოდ გაუკუღმართდა სამართლიანობისა და დარღვეული უფლებების აღდგენის პრინციპი. **თუ მიიჩქმალება დანაშაული, თუკი დამნაშავეს სათანადოდ არ მოეთხოვება პასუხი, არ მოინანიებს, არ ითხოვს მიტევებას და პირიქით — გათავხედდება, როგორც ნაციონალები, და აქეთ შეუტევს ხელისუფლებას, მივიღებთ ძალადობის ძალიან საშიშ ფორმას.** ასეთ საკითხებზე უნდა მოხდეს საზოგადოებასთან ძალიან სერიოზული კონსულტაცია. **ჩვენ დროებით მივეცით ამ ადამიანებს უფლება, რომ მართონ ქვეყანა, მაგრამ მათთვის არავის მიუცია უფლება, ბოროტმოქმედებს დანაშაული მიუტევონ და განაგრძონ კოაბიტაციის პროცესი, რომელიც ყველასთვის მიუღებელი იყო. თავდაპირველად კოაბიტაცია ერთი წლით გამოცხადდა, მაგრამ აშკარად გაუგრძელდა ბევრს.**

**— მოსმენების შესახებ კანონზე რას იტყვით?**

— მოსმენების კანონი არის სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დანერგილი ბოროტება, რომელიც სასწრაფოდ უნდა ამოიძირკვოს. არ გამოვრიცხავ, რომ ფარული ჩანაწერები საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების წინააღმდეგ გამოიყენებოდა. ვიდრე ამ ბოროტების შემქმნელები თვითონ არ გახდებიან მსხვერპლი, ასე გაგრძელდება. ძალიან მნიშვნელოვანია ამის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმცა დღეს ვერ ვხედავ ხელისუფლების მზადყოფნას ვითარების შესაცვლელად.

**— ერთ-ერთ სტატიაში ყოფილ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილზე ამბობთ, მის მიმართ ანტიპათია მაქვს, რადგან ის იყო ბოროტების ერთ-ერთი სათავეო...**

— **ოქრუაშვილი ადეიშვილსა და სააკაშვილთან ერთად ბოროტების დამფუძნებელია. მათ ააყვავეს საქართველოში საპროცესო გარიგების ინსტიტუტი, რომლის დროსაც ბიზნესმენებს ძალით ართმევდნენ მილიონებს და, სად მიდიოდა წართმეული ფული, კაცმა არ იცის. ოქრუაშვილი, მისდა სამწუხაროდ, მალე თვითონ გახდა სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის მსხვერპლი და იწვნია მისი სიმწარე.** ამ ადამიანის უზნეობა გასაოცარია, იმიტომ, რომ დღესაც აპირებს ამომრჩევლის ხმების მიღებას, **საქართველოში ოქრუაშვილი უზნეობის სიმბოლოა — თუ როგორ წახდა ადამიანი ხელისუფლებაში ყოფნისას და როგორ ვერ გააცნობიერა, რომ ბოროტების სამსახურში იყო.**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

**«ყველამ ვიცით, ვინ არიან დამნაშავეები, მაგრამ მხოლოდ წვრილფეხობა მისცეს პასუხისგებაში, თანაც ძალიან ლოიალური სასჯელი აკმარეს და უმრავლესობა უკვე გამოსულია ციხიდან; ხოლო ისინი, ვინც ძალიან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასჯელს წვრილმანი დანაშაულისთვის იხდიან»**



**«ჩვენ დროებით მივეცით ამ ადამიანებს უფლება, რომ მართონ ქვეყანა, მაგრამ მათთვის არავის მიუცია უფლება, ბოროტმოქმედებს დანაშაული მიუტევონ და განაგრძონ კოაბიტაციის პროცესი, რომელიც ყველასთვის მიუღებელი იყო»**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ასეთი პოლიტიკური პარტია არ გამოჩნდა (ჯერ კიდევ არ არის გვიან) არჩევნებამდე, მაშინ ის 57%, რომელიც ასეთ შემთხვევაში არ მივა არჩევნებზე, ქუჩაში გამოვა და სისხლისღვრადაც რომ დაუჯდეს, არ შეეგუება აშშ-ის ელჩის სცენარის მიხედვით დაწერილ არჩევნების შედეგებს. სხვა შემთხვევაში ჩვენ, ქართველებს, ერი კი არა, აშშ-ის მონა, ყოფილი ქართველი ერი დაგვერქმევა...**

# ნაცის ნაცი, ქოცის ნაცი, ერთად ჰქენით ყველამ «გნაცი»!

**აჰა, კიდევ ერთი, მორიგი წლისთავი ქართველთა 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიისა, რომელიც დანარჩენი მსოფლიოსთვის 08.08.08-ად, ანუ რუსეთ-საქართველოს ომის სახელით არის ცნობილი და, თუ გინდათ, მომკალით, როდესაც მუხათგვერდში ძმათა სასაფლაოზე მოვხვდები ხოლმე, სიამაყის ნაცვლად სინანულის განცდა მეუფლება რიტორიკული კითხვის თანხლებით: — რატომ, რისთვის, ვისთვის და ვინ შეაკლა ასე უაზროდ ტალიკ-ტალიკი ქართველი ბიჭები რიცხვმრავალ და გაცილებით ძლიერ რუსეთის სამხედრო მანქანას?**

ხოლო, როდესაც ფარისეველი პოლიტიკოსების მიერ გვირგვინების მიტანის კადრებს ვუყურებ ტელეეკრანზე ყოველ წელიწადს და იქვე მიწაზე მხოხავი და ჰალსტუხმოღვენილი მთავარსარდალი გამახსენდება, ლამის გავგიჟდე კაცი და მრავალ კითხვაზე მხოლოდ ერთადერთი სწორი პასუხიც თავისთავად ჩნდება გონებაში — **თავის მესიანისტურ ამბიციებს შესწირა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ყმაწვილკაცების სიცოცხლე და აქ სამშობლო არაფერ შუაშია; მით უმეტეს, ამაზრზენია სამშობლოს ხსენება იმ ხლისტების ჯგუფისგან, რომელსაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია,** თორემ საქართველოს ისტორია ხომ პრაქტიკულად ომების (მათ შორის მარცხიანისაც) ისტორიაა, რომელმაც მრავალი მაგალითი იცის მოწოდებისა — „ან გამარჯვება, ან სიკვდილი!“, მაგრამ ამ მოწოდების ავტორი მეფენი თუ სარდალნი კურდღელი სააკაშვილივით მიწაზე კი არ ფორთხავდნენ, არამედ პირველნი ეკვეთებოდნენ ხოლმე მტერს.

ჰოდა, **იქნება ვინმემ მითხრას: რომელი გარნისი, მარაბდა ან კრწანისი გადავიხადეთ 2008 წელს?**

**საქართველო ერთადერთია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომელმაც „მოახერხა“ და პირისპირ შეასკდა რუსულ არმიას, რომლის შიშითაც ცახცახებს მთელი დასავლეთი!**

იქნებ ამ „ერთადერთობაშიცაა“ ჩვენი ბოლო პერიოდის უბედურებათა სათავე საძებნი და არა მხოლოდ რუსეთის იმპერიულ ამბიციებში?!

რა, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სხვა ერებს ჩვენზე ნაკლებად უყვართ თავიანთი სამშობლო, რადგან მოახერხეს და უკლებლივ ყველა სიამტკბილობს ყოფილ მეტროპოლიასთან?

**2008 წლის აგვისტოს განმეორება (იქნება უარესისაც) კარსმომდგარი არჩევნების ფონზე, სამწუხაროდ, გამორიცხული სულაც არ არის, რადგან 08.08.08-ის ტრაგედიის ავტორი ნაცები მართლაც გადაარჩინეს რესპუბლიკელებმა (გახსოვთ, ალბათ, ფინეთში უსუფაშვილის ნათქვამი — „ჩვენი ამოცანა ნაცების გადარჩენაა“) და ალასანიას დემოკრატებმა იმ სპეცოპერაციის შედეგად, რომლის კოდური სახელია „კოაბიტაცია“.**

აქედან გამომდინარე, **ნაცები კი არ დაიშალნენ, არამედ გაიშალნენ: გირჩებად, ბურჭულაძეებად, ვაშაძეებად, ალასანიებად, რესპუბლიკელებად, ახლებად** (რომლებიც 2009 წლის საპროტესტო მარათონისას სააკაშვილმა თავფეხიანად იყიდა), **„დაუნ დი დიქტეიტებად“** (აბა, შალიკო ყოფილა, თუ ყოფილა ნაცი!). ამას დაუმატეთ ნაცებთან კოაბიტაციურ ერთნაირსქესიანთა ქორწინებაში მყოფი და ახალა ნაცების ტყუპისცალი **„ქართული ოცნება“** და შეიძლება გაგიჟდე კაცი — **8 ოქტომბერს გველის არჩევნები, არჩევანის საშუალების გარეშე, რადგან იდეოლოგიურად ხელისუფლებაც და ოპოზიციაც (მცირე გამონაკლისის გარდა) თითქმის „ერთნაირ ჩვენებას აწვებიან“:**

ქოც-ნაცების სიამის ტყუპს, თავისი აშკარა თუ ფარული სატელიტებიანად, ყველას უნდა ნატო და ევროკავშირი, „მცირე გამონაკლისს“ კი — ნატო, არა იმიტომ, რომ მაინც არ მიგვიღებენ, მაგრამ უნდათ საქართველო ევროკავშირში. თითქოს იქიდან (მით უმეტეს ბრიტანეთის გაქცევის შემდეგ) კალთებს გვაგლეჯენ, — არიქა, დროზე შემოდით, ქართველებო, გადაარჩინეთ ევროკავშირი დაშლასო.

რა გაეწყობა, ამაზე მეტს ვერ ქაჩავს ოპოზიცია...

**„ქართულმა ოცნებამ“ ხომ საერთოდ აილო ხელი ნამუსზე — საგურამოში საარჩევნო სიის ე.წ. ახალი სახეების წარდგენის შემდეგ, რამაც შოკი გამოიწვია თვით ბიძინა ივანიშვილისთვის ოსანას მგალობელი ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის უდიდეს ნაწილში. ქოცებმა ისე თავხედურად დაიწყეს მაჟორიტარებად ყოფილი თუ მოქმედი ბობოლა ნაცების დასახელება, რომ ჩანს, საზოგადოების აზრი ფეხზე ჰკიდიათ.**



სწორედ აქედან გამომდინარეა ის, რომ ამომრჩეველთა 57% არ აპირებს არჩევნებზე მისვლას.

ეს კი საქართველოსთვის კატასტროფის ტოლფასია, რადგან, ამომრჩევლის რაც უფრო მცირე რაოდენობა მივა არჩევნებზე, მით მეტი პროცენტით შევლენ პარლამენტში სხვადასხვა დასახელების

## 8 ოქტომბერს გველის არჩევნები, არჩევანის საშუალების გარეშე, რადგან იდეოლოგიურად ხელისუფლებაც და ოპოზიციაც (მცირე გამონაკლისის გარდა) თითქმის «ერთნაირ ჩვენებას აწვებიან»




პარტიათა ნეოლიბერალი ხლისტები, რაც, მიუხედავად მათი „სხვადასხვაობისა“, პრაქტიკულად, ერთპარტიულ, ნეოლიბერალური იდეოლოგიის პარლამენტს ნიშნავს.

კიდევ ერთ რამეზე მეტყველებს ეს 57 პროცენტი: როგორც გია ხუხაშვილმა შენიშნა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება, პრაქტიკულად, ქუჩაში გდია და არ ჩანს ძალა, რომელიც ამ ხელისუფლებას ხელში აიღებს!

არადა, მიწაზე დაგდებული ხელისუფლების ასაღებად სულ „მცირე რამ“ არის საჭირო — თუ ეროვნულ ცნობიერებაზე საფუძვლიანი პრეტენზიის მქონე ოპოზიციური პარტიებიდან ერთი მაინც (რამდენიმე ერთად ხომ საერთოდ მისწრება იქნება) გაბედავს და იტყვის — **„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისა-და“,** ანუ ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს: **ნატოში არ მიგვიღებენ და ამიტომ არ მინდა ნატო კი არა, კითხვას დასვამს: რომ მიგვიღონ, მერე რა ხეირი საქართველოს?** ან ანალოგიურს ევროპა-ამერიკაზე იტყვის: **რა გვინდა იმ სივრცეში, რომლის თავზეც ლგბტ-თა დროშა ფრიალებს, რომ მაგ დროშის ფრიალი თუ შეიძლება, რატომ არის დანაშაული თუნდაც ნამგალ-უროიანი წითელი დროშის ფრიალი? აფრიალოს, ვისაც ეს მოსწონს, ისინი ხომ პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიან? რომ ევროკავშირის დროშის ფრიალს, რომლის ძალითაც გარედან იმართება საქართველო და ანტიეროვნულ, ანტიმართლმადიდებლურ კანონებს ძალით გვაღებინებენ, ისევ ერთმორწმუნე რუსეთთან ძმური ურთიერთობის აღდგენა (რაც ღიად მოგვიწოდა ილია მეორემ) სჯობია; რომ სოხუმ-ცხინვალის დაბრუნება რუსეთის კეთილი ნების გარეშე შეუძლებელია და, მსოფლიოსთვის ყირიმის თემის დახურვის მსგავსად, სანამ ჩვენთვისაც არ დაუხურავთ სოხუმ-ცხინვალის თემაც, სანამ ჯერ კიდევ გვთხოვენ მოლაპარაკებების დაწყებას, დროზე გავმართოთ დიალოგი კრემლთან** და ა.შ. ათასი რომ და მაგრამ.

თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა გაბედავს და ამას საჯაროდ განაცხადებს, ხელისუფლების სათავეშიც მოვა, რადგან ამომრჩეველთა ზემოაღნიშნული 57% სწორედ მას დაუჭერს მხარს. თუ ასეთი პოლიტიკური პარტია არ გამოჩნდა (ჯერ კიდევ არ არის გვიან) არჩევნებამდე, მაშინ **ის 57%, რომელიც ასეთ შემთხვევაში არ მივა არჩევნებზე, ქუჩაში გამოვა და, სისხლისღვრადაც რომ დაუჯდეს, არ შეეგუება აშშ-ის ელჩის სცენარის მიხედვით დაწერილ არჩევნების შედეგებს.**

სხვა შემთხვევაში ჩვენ, ქართველებს, ერი კი არა, აშშ-ის მონა, ყოფილი ქართველი ერი დაგვერქმევა.

**დავით მხეიძე**

**«ქართულმა ოცნებამ» ხომ საერთოდ აილო ხელი ნამუსზე საგურამოში საარჩევნო სიის ე.წ. ახალი სახეების წარდგენის შემდეგ, რამაც შოკი გამოიწვია თვით ბიძინა ივანიშვილისთვის ოსანას მგალობელი ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის უდიდეს ნაწილში. ქოცებმა ისე თავხედურად დაიწყეს მაჟორიტარებად ყოფილი თუ მოქმედი ბობოლა ნაცების დასახელება, რომ ჩანს, საზოგადოების აზრი ფეხზე ჰკიდიათ. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ამომრჩეველთა 57% არ აპირებს არჩევნებზე მისვლას**

## ირანელი ფიზიკოსი და ბირთვული პროგრამის ექსპერტი სიკვდილით დასაჯეს

**ფიზიკოსი და ბირთვული პროგრამის ექსპერტი შაჰრამ ამირი ირანში სიკვდილით დასაჯეს. გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებამ ოჯახის წევრებს ფიზიკოსის ცხედარი უკვე გადასცა.**

ირანელი მეცნიერი 2009 წელს მექაში მოსალოცად გაემგზავრა და შინ აღარ დაბრუნებულა. მოგვიანებით ის ამერიკის შეერთებულ შტატებში იპოვეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ იგი ამერიკის დაზვერვის სამსახურს ჰყავდა დაკავებული. ოფიციალურმა ვაშინგტონმა ამირის გაუჩინარების საქმეში მონაწილეობა კატეგორიულად უარყო.

ამირის გაუჩინარების შემდეგ ირანის ხელისუფლებამ საუდის არაბეთი მეცნიერის გატაცებასა და მისი აშშ-ისთვის გადაცემაში დაადანაშაულა. 2010 წელს მეცნიერი ირანში დაბრუნდა, სადაც ის გმირივით მიიღეს. მაგრამ მოგვიანებით თეთრმა სახლმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამირი საკუთარი ნებით ჩავიდა აშშ-ში და ხელისუფლებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია გადასცა.



„ერთია — რას ამბობს კვირიკაშვილი და მეორე — სად მიდის პოლიტიკური მოვლენების ლოგიკა. ეს ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებაა. კვირიკაშვილი შორს არის რეალური ლიდერობისგან. საკითხავია: აქვს კი მას, საერთოდ, ამის პერსპექტივა?“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ადამიანები, რომლებმაც 2012 წელს ცოცხების ფონზე «ნაციონალური მოძრაობის» სიით იყარეს კენჭი, დღეს «ქართული ოცნების» სახელით აპირებენ პარლამენტში შესვლას»

„პოლიტიკა თითქმის ისეთივე ამაღელვებელი და სახიფათოა, როგორც ომი. მათ შორის ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ ომში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოგკლან, ხოლო პოლიტიკაში — მრავალგზის“

უინსტონ ჩერჩილი



„ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი განუკითხაობისა და „ქართული ოცნების“ მხრიდან დაპირებების შეუსრულებლობის გამო ხალხი იმედგაცრუებულია. ყველას კარგად გვახსოვს სააკაშვილის რეჟიმის ცხრაწლიანი პერიოდი, როცა შიშში ვცხოვრობდით, ქუჩაში ხოცავდნენ ახალგაზრდებს, ქონებასართმევდნენ ბიზნესმენებს, აუპატიურებდნენ პატიმრებს... რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა ხალხში უნდობლობა გამოიწვია. დღეს რა ვითარება საქართველოში? რა ხდება საგარეო და საშინაო პოლიტიკაში? — ამ და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პოლიტიკურ პროცესებზე ექსპერტი **გია ხუხაშვილი** გვესაუბრება.

**— ბატონო გია, როგორ შეაფასებთ ხელისუფლების მოღვაწეობას ბოლო 4 წლის განმავლობაში — მის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს?**

— სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმი დღეს აღარ არსებობს, აღარ მძვინვარებს სისასტიკე, შესაბამისად, გაადვილებულია სუნთქვა, როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში, გარკვეულწილად სოციალური მექანიზმებიც გაძლიერებულია, თუმცა შეინიშნება ამჟამინდელი ხელისუფლების ინტეგრაცია სააკაშვილის მიერ დამკვიდრებულ სისტემასთან. სამართლიანობის აღდგენის კუთხით კი ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს. **ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, არ გვყავს გადაწყვეტილების მიღების, ფორმირებისა და შემდგომში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარის მქონე ადამიანები.** ეს, სამწუხაროდ, აფერხებს ქვეყნის განვითარებას. კარგია, რომ ხელისუფლება უარს ამბობს რუსეთთან ზღვარგადასულ აგრესიულ რიტორიკაზე, შესაბამისად, ეს რისკებს ამცირებს. საგარეო პოლიტიკის სხვა საკითხები ინერციით მიდის და გარღვევებს ვერ ვხედავ. **ვთვლი, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი პრობლემა პოლიტიკური ელიტის არარსებობაა, „ქართული ოცნების“ წიაღში ვერ ვხედავთ ლიდერებს, რომლებსაც სახელმწიფოს მართვის უნარი აქვთ.**

**— რას ფიქრობთ რუსეთ-საქართველოს დღემდე დაძაბულ ურთიერთობაზე?**

— ამ ეტაპზე ჩვენზე ცოტა რამ არის დამოკიდებული, მიდის გლობალური პოლიტიკა, სამყარო იცვლება და დღეს რუსეთი ამ პროცესში ძალიან აქტიურია. ამ ეტაპზე საქართველოსთვის უკეთესია პაუზის რეჟიმში ყოფნა. ჩვენ მოვლენების განვითარების მიხედვით უნდა ჩამოვაყალიბოთ პოლიტიკა. **დღეს ნებისმიერი ტიპის აქტიურობა პრორუსული ან ანტირუსული მიმართულებით შეცდომაა და სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.**

**— ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ყველა მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. რას იტყვით ჩვენს „მარადმწვანე“ პოლიტიკოსებზე?**

— ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ **გვყავს მიგრაციული პოლიტიკური ელიტა, რომელსაც ფასეულობათა სისტემა არ აქვს. ისინი, უბრალოდ, მიგრირებენ ხელისუფლებიდან ხელისუფლებაში. ადამიანები, რომლებმაც 2012 წელს ცოცხების ფონზე „ნაციონალური მოძრაობის“ სიით იყარეს კენჭი, დღეს „ქართული ოცნების“ სახელით აპირებენ საკანონმდებლო ორგანოში შესვლას.** ეს მიუღებელია, განსაკუთრებით — „ქართული ოცნების“ მხრიდან. როდესაც სასამართლოში იღებ ისეთ ადამიანს, როგორიცაა **მურუსიძე**, რაზეა ლაპარაკი?! ეს ადამიანები სააკაშვილის რეჟიმის მძვინვარების პერიოდში თავიანთ აგურს დებდნენ ჩვენს დევნა-შევიწროვებაში.

**— გიორგი კვირიკაშვილი ხშირად საუბრობს, რომ ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა უნდა იყოს, ეს ხომ არ მიგვითითებს „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ კოაბიტაციაზე?**

— კოაბიტაცია ამჟამად არც ერთს არ აძლევს ხელს. „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცდება „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებას. რაც შეეხება კვირკაშვილის გამონათქვამებს: „სტაბილურობა“, „მეგობრობა“, „მშვიდობა“ — ეს უფრო კეთილი სურვილებია და არა რეალური შინაარსი, **ერთია — რას ამბობს კვირიკაშვილი და მეორე — სად მიდის პოლიტიკური მოვლენების ლოგიკა. ეს ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებაა. კვირიკაშვილი შორს არის რეალური ლიდერობისგან. საკითხავია: აქვს კი მას, საერთოდ, ამის პერსპექტივა?**

**— „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი განუკითხაობისა და „ქართული ოცნების“ შეუსრულებელი დაპირებების გამო ხალხი პოლიტიკოსებისგან იმედგაცრუებულია, ეს ხომ არ არის მიზეზი იმისა, რომ საზოგადოებამ ნდობა დაკარგა პოლიტიკური პარტიების მიმართ?**

— საზოგადოება დღეს თვლის, რომ ჰყავს ცუდი ხელისუფლება და უარესი ოპოზიცია „ნაციონალური მოძრაობის“ სახით. ამასთანავე, სხვა პოლიტიკური ძალები, სამწუხაროდ, ვერ აძლევენ საზოგადოებას ღირსეულ არჩევანს, რომ ამომრჩეველი წავიდეს მესამე მიმართულებით. დღევანდელი სიტუაციის დრამატულობიდან გამომდინარე, რჩება ორი ვარიანტი: **ამომრჩეველი ან საერთოდ არ წავა არჩევნებზე, შესაბამისად, არ იქნება აქტიურობა არჩევნებში და სუსტი ლეგიტიმაციის ხელისუფლებას მივიღებთ, რომელიც ძალიან სახიფათოა მომავალი განვითარებისთვის; და მეორე — თუ ამომრჩეველი წავა არჩევნებზე, მივიღებთ მრავალპარტიულ პარლამენტს, რომელიც უკეთესია.**

**— „პალიტრანიუსთან“ საუბრისას ჟურნალისტის კითხვაზე „კუბლაშვილ-პაპუაშვილის“ სასამართლო ჯობია თუ „ტურავა-მურუსიძის“, თქვენ უპასუხეთ, რომ „ეს დაახლოებით ასეთი კითხვაა: „უცნაური მანიაკის ცოლი უფრო პატიოსანია თუ პანელზე გასული მსუბუქი ყოფაქცევის ქალი?“ — რას გულისხმობდით?**

— დღეს ამ პოლიტიკურ იწილო-ბიწილოში მეჩვენება, რომ **ხელისუფლება სასამართლოს გაჯანსაღებისთვის არ ზრუნავს. ის სხვისი მამაძაღლის საკუთარი მამაძაღლით ჩანაცვლებისთვის უფრო იბრძვის.** ჩემი აზრით, მურუსიძე არაფრით ჯობია კუბლაშვილს, ისევე, როგორც ტურავა — პაპუაშვილს. უცნაური მანიაკის ცოლი უფრო პატიოსანია თუ პანელზე გასული მსუბუქი ყოფაქცევის ქალი? არც ერთი არ არის პატიოსანი, მათ შორის ერთადერთი განსხვავებაა — პირველი უწვება ერთს, მეორე კი მზად არის, ნებისმიერს დაუწვეს, არც ერთი არ ვარგა. ჩვენ სასამართლოში გვჭირდება ადამიანები, რომლებიც აღიარებენ კანონის უზენაესობას, ემსახურებიან კანონს და არა — ხელისუფლებას.

ესაუბრა **ნანა ფოფხაძე**

«ხელისუფლებაში, ფაქტობრივად, არ გვყავს გადაწყვეტილების მიღების, ფორმირებისა და შემდგომში პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარის მქონე ადამიანები. ეს, სამწუხაროდ, აფერხებს ქვეყნის განვითარებას»



## სირიაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 292 817 ადამიანი დაიღუპა

**სირიაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 292 817 ადამიანი დაიღუპა. ეს მონაცემები სირიის ადამიანის უფლებების სადამკვირვებლო ცენტრმა გამოაქვეყნა.**

დაღუპულთა შორის 84 472 სამოქალაქო პირია, მათ შორის — 15 ათასი ბავშვი და 9 000-ზე მეტი ქალი.

რაც შეეხება სირიის რეჟიმის მოწინააღმდეგეებს, ცენტრის მონაცემებით, ომის პერიოდში დაიღუპა 50 548 ოპოზიციონერი მებრძოლი, მათ შორის, ქურთიც, აგრეთვე, 49 547 რადიკალი ისლამისტი.

რაც შეეხება დანაკარგს სამთავრობო ძალებში, 2011 წლის მარტის შემდეგ დღემდე სირიაში დაიღუპა 104 656 პირი, მათ შორის, ასადის მხარეს მებრძოლი „ბოევიკები“ ლიბანიდან და სხვა ქვეყნებიდან.



## აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

**შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1978 წელს დაბადებული ნ. შ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სარფის სასაზღვრო გამტარი პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.** „სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 50 აბი „ექსტაზი“ ამოიღეს. ნ.შ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

## პაკისტანიდან მეორედ გააძევეს ამერიკელი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ჯაშუშობაში

**პაკისტანის ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა აშშ-ის მოქალაქე კრეიგ ბარეტი, რომელიც 2011 წელს დეპორტირებული იყო ჯაშუშობის გამო.**

2011 წელს პაკისტანის სამართალდამცველმა ორგანოებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ბარეტმა საიდუმლო ობიექტში შეაღწია. ამერიკელი ისლამაბადში დააპატიმრეს. მის ბინაში კი საიდუმლო ობიექტების ფოტოები და სქემები იპოვეს.

პაკისტანელი სამართალდამცველები ახლა არკვევენ, როგორ შეძლო ბარეტმა პაკისტანის ვიზის მიღება და სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტის გადალახვა, მიუხედავად იმისა, რომ მას პაკისტანში შესვლის უფლება აკრძალული ჰქონდა. ამ ინციდენტის კომენტირებისგან აშშ-ის საელჩომ თავი შეიკავა.



ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვინ ეკითხებოდა პრეზიდენტ მარგველაშვილს რომის პაპის დაპატიჟებას, რა აუცილებლობა იყო ამის?! ქვეყნის პირველი პირი ხარ და ხომ უნდა იცოდე, ვის იწვევ და რა შეიძლება ამას მოჰყვეს?! ალბათ, ნარკოტიკებითაა ეს საცოდავი გაბრუებული და ვერ აცნობიერებს, რა ნაბიჯს დგამს, ვერც კი ხვდება, რა უბედურებაში ყოფს თავს“.**

# მამა გიორგი (რაზმაძე): დღეს ერთადერთ თემაზე გვაქვს რეფერენდუმი ჩასატარებელი – გვინდა თუ არა მამათმავლური ევროპა

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).

## «ამათ არც კაცობის, არც ქართველობის და არც ქრისტიანობის არაფერი სცხიათ!»



**— მამაო, 5 აგვისტოს ევროკომისიამ ლგბტ-პირების დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სამოქმედო გეგმისა და კამპანიის დაწყების შესახებ გამოაცხადა. ეს კამპანია 2016-19 წლების პერიოდს მოიცავს და ე.წ. სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვისკენ მიმართული კონკრეტული პროგრამის განხორციელებას გულისხმობს. აღნიშნული კამპანიის დაწყებას მხარი ევროსაბჭომაც დაუჭირა. როგორ ფიქრობთ, ამ ევროპისკენ სწრაფვა საქართველოსთვის სიკეთის მომტანია და, საერთოდ, შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს მსგავს იდეოლოგიაზე დამყარებულ გეოპოლიტიკურ ოჯახთან დაახლოება?**

— მსგავსი პროგრამები ევროპაში, დიდი ხანია, ხორციელდება. ეს მათთვის სიახლე არ არის. აქ მთავარია, რა გვინდა ჩვენ. საკითხი ასე უნდა დაისვას — რას მოგვიტანს ეს ევროპა? ჯერ ერთი, იქ არავინ გვილებს, მაგრამ, რომც მიგვიღონ, გვჭირდება ასეთი გაუკუღმართებული იდეოლოგია? ჩემი აზრით, ამაზე **რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს და ხალხს უნდა ვკითხოთ — გვინდა თუ არა ის, რასაც თანამედროვე დასავლური ფასეულობები ჰქვია, გვინდა თუ არა ე.წ. ნეოლიბერალიზმი და სხვა ათასგვარი აღვირახსნილობა, რომელიც იქ, უკვე დიდი ხანია, ნორმადაა ქცეული.**

**— მოქმედი ხელისუფლება ამ საკითხს არასოდეს დააყენებს.**

— ვერც დააყენებს. იმიტომ, რომ მათ უკან სწორედ ევროპული ფსევდოლიბერალური ძალები დგანან. დავალებულნი არიან იმ ძალებისგან და იციან, რომ მათ გარეშე ძალაუფლებას ერთ თვესაც ვერ შეინარჩუნებენ. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: თანამედროვე ევროპული იდეოლოგია არის განდგომა ღმერთისგან და ამ იდეოლოგიამ საქართველო უნდა დაამსგავსოს სოდომსა და გომორს. ჩვენ ვიცით, რა ბედიც ეწია ამ ორ ქალაქს — დღემდე ცეცხლი უკიდია იმ მიწას. ასე რომ, აუცილებლად უნდა დადგეს დღის წესრიგში საკითხი — გვჭირდება თუ არა ასეთი ევროპა.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და რომის პაპის დაგეგმილ ვიზიტზეც ვიტყვი: **ვინ ეკითხებოდა პრეზიდენტ მარგველაშვილს რომის პაპის დაპატიჟებას, რა აუცილებლობა იყო ამის?! ქვეყნის პირველი პირი ხარ და ხომ უნდა იცოდე, ვის იწვევ და რა შეიძლება ამას მოჰყვეს?! ალბათ, ნარკოტიკებითაა ეს საცოდავი გაბრუებული და ვერ აცნობიერებს, რა ნაბიჯს დგამს, ვერც კი ხვდება, რა უბედურებაში ყოფს თავს.**

**— ნარკოტიკები რადგან ახსენეთ, ამას წინათ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება საერთოდ პრობლემა არ არის, არ ვნებს არც ჯანმრთელობას, არც ოჯახს და მისი მოხმარება არ უნდა ისჯებოდესო. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— ეს ადამიანები, საერთოდ, რეალობას არიან მოწყვეტილნი და არ სურთ, შეიგნონ, რომ ღმერთს ეწინააღმდეგებიან. **ნარკომანია ერთ-ერთი მძიმე ცოდვაა და კაცი, რომელიც ამბობს, ამას არ უნდა ვებრძოლოთო, არც მეტი, არც ნაკლები, გვეუბნება, რომ უნდა შევცოდოთ.** ვიღაცას შეიძლება გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ამას გაუცნობიერებლად აკეთებენ, მაგრამ **სინამდვილეში ეს ყველაფერი არის კარგად გაანალიზებული, აწონილ-დაწონილი და დროში გაწერილი გეგმა, რომელიც მოდის დასავლელი ცისფერი კომისრებისგან და მათთვის ღმერთი არ არსებობს. მათთვის ყველაფერი არის „დემოკრატია“ და „ლიბერალიზმი“, რომელსაც სინამდვილეში არაფერი აქვს საერთო არც ერთთან და არც მეორესთან.**

**რაც შეეხება უსუფაშვილის ნათქვამს, რომ მსუბუქი ნარკოტიკი პრობლემა არ არის — ეს განცხადება თავისი შვილებისთვის შემოინახოს და, თუ უნდა, ნარკოტიკით გაჟღენთოს, მაგრამ სხვის შვილებს თავი დაანებოს.** მე თუ მკითხავთ, ამხელა თანამდებობის პირი ასეთ განცხადებას რომ გააკეთებს, ქვეყნიდან უნდა გააძევო, უნდა ჩასვა თვითმფრინავში და „ნაცმოძრაობასთან“ გაუშვა...

**— „ცისფერ კომისრებში“ ვის გულისხმობთ?**

— მხედველობაში მყავს ის ევროკომისრები და ევროპარლამენტარები, რომლებიც პირდაპირ მიგვითითებენ, რომ საქართველოს კანონმდებლობა მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი. მათი მიზანი და ამოცანაა ღვთისგან კაცის განდგომა და იციან, რომ, ამას თუ შეძლებენ, მერე იოლად გადაგვივლიან.

**«უჩა ნანუაშვილი ვინც არის, ყველამ ვიცით. ის არის ბაპტისტი, რომელიც ცისფერი კომისრების მიერაა დანიშნული და, რასაც უბრძანებენ, უსიტყვოდ ასრულებს. მას სახალხო დამცველი რატომ ჰქვია, გაუგებარია. ან ვის იცავს?! ის არის მხოლოდ ლგბტ-პირების მფარველი და დამცველი»**

**— მათი პროპაგანდა და იდეოლოგია რეალურად მოქმედებს საზოგადოებაზე? რა განწყობებია მოქალაქეებში?**

— ნებისმიერი პროპაგანდა თუ იდეოლოგია გარკვეულ კვალს ყოველთვის ტოვებს, მაგრამ მათ კარგად უნდა იცოდნენ ერთი რამ: **უსუფაშვილისნაირი საცოდავი მარგინალები ბოლოს ყოველთვის მარცხდებიან. მათ არ აქვთ არანაირი პერსპექტივა და მომავალი, რადგან საზოგადოებას, ადრე თუ გვიან, ყველა ძალისთვის გამოაქვს შესაბამისი განაჩენი.** საზოგადოდ, ეს ე.წ. ნეოლიბერალები ცოტანი არიან, მაგრამ გაცილებით მეტნი ჩანან. ეს იმიტომ, რომ მედია თითქმის მთლიანად მათია და ყველგან ისინი ტრიალებენ. ისე კი, მათი ძალაუფლება მოჩვენებითია, რეალური დასაყრდენი არ აქვთ მოსახლეობის არც ერთ ნაწილში. თუ ვინმე მხარს უჭერს, ან მოსყიდულია, ან მოტყუებული და არ იცის, რეალურად რას ემხრობა. ასე რომ, კიდევ ვიმეორებ: საკმარისია, ადამიანებს მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია ე.წ. ნეოლიბერალიზმსა და თანამედროვე დასავლურ ღირებულებებზე, მათი მომხრე აღარავინ იქნება, არავინ დაუჭერს მხარს...

**— დავუბრუნდეთ ისევ ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციის საკითხს, უსუფაშვილამდე ცოტა ხნით ადრე დაახლოებით იმავე შინაარსის განცხადება გააკეთა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმაც. მან თქვა, რომ დღევანდელი ჩვენი ნარკოპოლიტიკა ეწინააღმდეგება კანონმდებლობის გარკვეულ მუხლებს. როგორ ფიქრობთ, ომბუდსმენიც დასავლური ძალების გავლენით აკეთებს მსგავს შეფასებებს?**

— რასაკვირველია. **უჩა ნანუაშვილი ვინც არის, ყველამ ვიცით. ის არის ბაპტისტი, რომელიც ცისფერი კომისრების მიერაა დანიშნული და, რასაც უბრძანებენ, უსიტყვოდ ასრულებს. მას სახალხო დამცველი რატომ ჰქვია, გაუგებარია. ან ვის იცავს?!** ის არის მხოლოდ ლგბტ-პირების მფარველი და დამცველი.

**— ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირებაც იყო 2012 წელს. როგორ ფიქრობთ, თუ ამ დაპირებას შეასრულებენ, რა შედეგს მივიღებთ?**

— ბევრი ე.წ. ლიბერალისგან მომისმენია, დასჯა გამოსავალი არ არის და, თუკი მოხდება ნარკოპოლიტიკის შემსუბუქება, ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანების რაოდენობაც შემცირდებაო. ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: ვინც ამ პროპაგანდას ეწევა, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოს მტერია. ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია პირდაპირპროპორციულად გაზრდის ნარკომომხმარებელთა რაოდენობას და ამის მაგალითია ევროპის ქვეყნები, მაგალითად, ჰოლანდია. საზოგადოდ, ჩვენ ვხედავთ, რა დღეშია ევროპა და რა მდგომარეობამდე მივიდა იქ მოსახლეობა. მე ხშირად ჩავდივარ როტერდამში, სადაც ჩემი მეგობრები ცხოვრობენ და იქ უკვე ხალხს სახლში მოჰყავს მარიხუანა. მეტიც — ვაჭრობენ ამ ნარკოტიკით... ზუსტად იქეთ მიდის საქართველოც და **ყველა, ვინც ამბობს, რომ მუხლები უნდა შემსუბუქდეს, ამ პროცესის მონაწილეა. ის ხელს აწერს საზოგადოების, ერის დეგრადირებას და ფიზიკურ განადგურებას.**

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ დაპირებას, მას სხვა უამრავი კარგი დაპირება ჰქონდა და მათი უმეტესობა დღემდე დაპირებად რჩება. რაღა ეს უნდა შეასრულონ?! თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამაზეც წავლენ, ეს, ალბათ, მხოლოდ დროის საკითხია...

**— დღევანდელ პარლამენტში არ არიან ძალები, რომლებიც ამას შეეწინააღმდეგებიან?**

— ეს ის პარლამენტია, რომელმაც ანტიდისკრიმინაციული კანონი გრიალ-გრიალით მიიღო და, როგორ ფიქრობთ, **ზვიად ძიძიგურისნაირ ადამიანებს, რომლებიც, იმ გამოთქმისა არ იყოს, უნახავმა რა ნახაო, შეესივნენ ბიუჯეტს, რამე აინტერესებთ, თავიანთი ჯიბის გასქელების გარდა?!** მათთვის არ არსებობს არანაირი ღირსება, მორალი; მათ, არჩევნები რომ მოდის, მაშინ ახსენდებათ ეროვნულობა, მაშინ ხდებიან კაცები, ქალები და ა.შ. სინამდვილეში არც კაცობის, არც ქართველობის და არც ქრისტიანობის არაფერი სცხიათ. ესენი არიან, ბოდიში და, ნაძირლების ხროვა.

**— დავაკონკრეტოთ: გულისხმობთ იმ დეპუტატებსაც, რომლებიც ხშირად ჩოხა-ახალუხით ცხადდებიან პლენარულ სხდომებზე?**

— რა თქმა უნდა. მაგათ მხოლოდ ჩოხა-ახალუხი ჰგონიათ ქართველობა და ეს რას ჰგავს, იცით? — ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს. რა მნიშვნელობა აქვს, ბიძინა გუჯაბიძე რა კანონს მოიგონებს და რა ტანსაცმლით მივა სხდომაზე, მაგისთვის ხომ სულერთია...

**— დასასრულ, ქორწინების განსასაზღვრავად რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნაზეც გკითხავთ. ეს მოთხოვნა, რომლის ავტორიც სოსო მანჯავიძის, სანდრო ბრეგაძისა და ზვიად ტომარაძის მიერ შექმნილი საინიციატივო ჯგუფია, ცესკომ თავის დასკვნასთან ერთად უკვე გაუგზავნა გიორგი მარგველაშვილს. პრეზიდენტმა გადაწყვეტილება 30 დღეში უნდა მიიღოს — ან უნდა დანიშნოს რეფერენდუმი, ან განაცხადოს მოტივირებული უარი. რას შეცვლის რეალურად ეს რეფერენდუმი?**

— თუკი ეს რეფერენდუმი ჩატარდება, რა თქმა უნდა, ხალხი ხმას მისცემს კანონში ჩანაწერის გაკეთებას, რომ სამოქალაქო ქორწინება — ეს არის ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის, მაგრამ ამას შედეგი ნაკლებად მოჰყვება, იმიტომ, რომ ხელისუფლებაში გვყავს ცისფერი კომისრების მიერ მართული მეხუთე კოლონა, რომელსაც სულაც არ აინტერესებს, სად რას ჩაწერ და რა ცვლილებებს შეიტან, ანუ ერთია, რა ეწერება ქარალდზე და მეორე — საქმე. დარწმუნებული ვარ, რომ **ცისფერი კომისრები ნებისმიერ შემთხვევაში თავისას განაგრძობენ. ეს ყველაფერი მაშინ დასრულდება, როცა მოხდება ძირეული პოლიტიკური ცვლილებები და საბოლოოდ დასრულდება გარე ძალის, ამ შემთხვევაში, დასავლეთის მიერ ხელისუფლების დანიშვნის ანტისახელმწიფოებრივი ტრადიცია.** საეროდ, ჩვენ დღეს ერთადერთ თემაზე გვაქვს რეფერენდუმი ჩასატარებელი — გვინდა თუ არა მამათმავლური ევროპა. აი, ეს არის ფუნდამენტური საკითხი, ეს არის პრინციპული მიდგომა...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ის არის „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ზონდერ-პროვოკატორი, რომელიც მსგავს პროვოკაციებში კარგადაა გაწაფული. სხვათა შორის, თავის დროზე ტელეკომპანია “კავკასიის” ეთერში ინციდენტი რომ მოხდა, მან ეთერიდანვე მოუწოდა ვანო მერაბიშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ბიჭების დაკავებისკენ. ხვდებით, რა არაკაცზეა ლაპარაკი? კაციჭამია ვირთხების გამოყვანა ხომ გახსოვთ „დათა თუთაშხიადან“, აი, ზუსტად ასეა ეს ადამიანი გამოყვანილი ნაციონალების ლაბორატორიაში.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გრიგოლ ონიანი:

# «ახლა მთავარია, «ნაციონალური მოძრაობა» თავისი სატელიტებით გავრეკოთ პოლიტიკური ველიდან და, თუ ხელისუფლება ხელს შეგვიშლის, ისიც მივაყოლოთ!»

**4 აგვისტოს თელავში სახალხო მოძრაობა „სოციალისტური საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციის დაფუძნება ახალი პოლიტიკური ცენტრის სახელით ცნობილმა „ნაცმოძრაობის“ განაყოფმა „გირჩმა“ ადგილზე რამდენიმე პროვოკატორის მიგზავნით გააპროტესტა. „სამშობლოზე გულდათუთქულმა პროტესტანტებმა“ ღონისძიების ჩაშლა კვერცხების სროლით სცადეს და საკონფერენციო დარბაზს სტვენა-სტვენით მიადგნენ. ამას მხარეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. გაწევ-გამოწევა მცირე ხანს გაგრძელდა და ბოლოს ყველაფერი სამართალდამცველების ჩარევით დასრულდა. მოკლედ, მედასავლეთე „პატრიოტებმა“ „მტერს“ ძალა დაანახვეს, მერე კი ინტერნეტში ელვის სისწრაფით გავრცელდა კადრები, რომლებზეც ნათლად ჩანს, როგორ უთავაზეს ალიყური პროვოკაციის მიზნით მიგზავნილ ერთ-ერთ „გირჩელ ლიბერასტს“. კონკრეტულად რა მოხდა 4 აგვისტოს თელავში, ვინ მოაწყო პროვოკაცია და რა მიზანს ემსახურებოდა ეს ყველაფერი, დეტალურად გვესაუბრება „სოციალისტური საქართველოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი და დამფუძნებელი გრიგოლ ონიანი.**



**— ბატონო გრიგოლ, 4 აგვისტოს ინციდენტზე მედიაში სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდა. რა მოხდა რეალურად, რა პროვოკაცია მოაწყვეს?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ჩვენი ორგანიზაცია „სოციალისტური საქართველო“ დაფუძნდა ამა წლის 22 ივნისს გორში, სამამულო ომის დაწყებიდან 75-ე წლისთავზე. ღონისძიებაზე გამოვიყენეთ დროშა, რომელიც 1945 წელს **მელიტონ ქანთარიამ** აღმართა რაიხსტაგზე, გამოვიყენეთ ომის გამოცხადების ჩანაწერები — **იური ლევიტანის** ხმა და ა. შ. ამ ღონისძიებას ესწრებოდა რუსეთის დუმის დეპუტატი **სემიაგინი**. მოკლედ, ჩვენი სათქმელი ვთქვით, ვილაპარაკეთ და გავაკეთეთ კონკრეტული განცხადებები. ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ 28-ში ჩაგვეტარებინა ასეთივე ღონისძიება ბათუმში. იქაც წარმატებით ჩაიარა ყველაფერმა. სხვათა შორის, დეპუტატი სემიაგინი ისევ იყო ჩამოსული და ბოლოს გამოვაცხადეთ, რომ შემდეგი ღონისძიება ჩატარდებოდა ქალაქ თელავში 4 აგვისტოს — გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის დღეს. ვიქირავეთ დარბაზი თელავის მუსიკალური სასწავლებლის შენობაში, დავბეჭდეთ მოსაწვევები და დავარიგეთ. ღონისძიების ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე ტელეფონით დამიკავშირდა სასწავლებლის დირექტორი, რომელიც ჩემი ნათესავია და მთხოვა, შეხვედრაზე კომუნისტური სიმბოლიკა არ გამოგვეყენებინა. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. მართლაც, არანაირი სიმბოლიკა — არც დროშა, არც სხვა რამ არ გვქონია, იყო სიტყვით გამოსვლა და სხვა არაფერი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, შეხვედრის დაწყებიდან **რამდენიმე წუთში შენობის ფოიეში შემოიჭრა ახალგაზრდა, რომელიც აშკარად პროვოკაციულად იქცეოდა და დაიწყო გაწევ-გამოწევა დაცვასთან. მას აუხსნეს, რომ შიგნით შესვლა არ შეიძლებოდა, რომ მის პროვოკაციულ ქცევას შეიძლებოდა სერიოზული დაპირისპირება მოჰყოლოდა და სთხოვეს, იქაურობა დაეტოვებინა, მაგრამ არაფერმა გაჭრა.** შემდეგ ამ გაწევ-გამოწევაში დარტყმის ხმა მომესმა და, რომ მოვიხედე, დავინახე, ეს ახალგაზრდა წაბარბაცდა. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს — **თემურ ფიფიას** სილა გაუწნია, რისთვისაც შენიშვნა მივეცით. ისე, გულში კი გამიხარდა...

**— ვინ იყო ეს პიროვნება და რას ითხოვდა?**

— როგორც შევიტყვე, **ის არის „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ზონდერ-პროვოკატორი, რომელიც მსგავს პროვოკაციებში კარგადაა გაწაფული. სხვათა შორის, თავის დროზე ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ინციდენტი რომ მოხდა, მან ეთერიდანვე მოუწოდა ვანო მერაბიშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის ბიჭების დაკავებისკენ.** ხვდებით, რა არაკაცზეა ლაპარაკი? კაციჭამია ვირთხების გამოყვანა ხომ გახსოვთ „დათა თუთაშხიადან“? აი, ზუსტად ასეა ეს ადამიანი გამოყვანილი ნაციონალების ლაბორატორიაში.

**— ინციდენტის შემდეგ, როგორც ვიცი, ღონისძიება არ გაგრძელებულა. რამ შეგიშალათ ხელი?**

— არ გვინდოდა ვითარების გამწვავება და ამიტომ დაპირისპირებას მოვერიდეთ. მერე გადავინაცვლეთ ერეკლეს მოედანზე, სადაც მივიტანეთ გვირგვინი და გავმართეთ მცირეხნიანი მიტინგი.

**— იქ არ უცდია ვინმეს პროვოკაციის მოწყობა?**

— იქ არ მოსულან, მაგრამ მიტინგის დასრულების შემდეგ შევიტყვეთ, რომ დააკავეს თემურ ფიფია. მივედით პოლიციის განყოფილებაში და ვიკითხეთ, რა ხდებოდა. გვითხრეს, რომ მსგავსი პარტიული დაპირისპირებები ხშირია და საგანგაშო არაფერია. დაგვპირდნენ, რომ დაკავებულს მალე გამოუშვებდნენ. მართლაც, არ გასულა ერთი საათი და თემური გამოუშვეს. მაშინვე თბილისისკენ დავიძარით. ამასობაში სხვადასხვა ტელევიზიიდან დაგვირეკეს, მე „ტვ პირველში“ მიმიწვიეს, **ვალერი კვარაცხელიას** „იმედი“ დაუკავშირდა და სხვებს — კიდევ სხვა მედიასაშუალებები. მოკლედ, ნახევარი გზა რომ გამოვიარეთ, დარეკეს ისევ თელავის პოლიციის განყოფილებიდან და გვეუბნებიან, თემურ ფიფია სასწრაფოდ უნდა დაბრუნდეს, კიდევ რაღაც არის გასარკვევიო. მე ავუხსენი, რომ გადაცემაში ვიყავით მიწვეული და ვერ დაბრუნდებოდა, თუ საჩქარო არ არის, ხვალ ჩამოვა-მეთქი. ისინიც დამთანხმდნენ და გზა განვაგრძეთ. **მივედი ვახო სანაიას გადაცემაში და იქ დამხვდა ვიღაც, ბოდიში და, ნეხვის კასრი, რომელმაც ნერვები ამიშალა და შავი დღე ვაყარე.**

...მეორე დღეს თემურ ფიფია გამოცხადდა თელავის პოლიციის განყოფილებაში და შევიტყვეთ, რომ აღძრულია საქმე და პროკურორი ითხოვს გირაოს სახით 5000 ლარის შეფარდებას. ეს იყო ისეთი მოულოდნელი და წარმოუდგენელი, რომ გაოგნებული დავრჩით.

**— რატომ მოითხოვა პროკურორმა ამხელა თანხის გადახდა?**

— პოლიციისკენ ნამდვილად არ გავიშვერ ხელს, მაგრამ **ამ ფაქტმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ თელავის პროკურატურა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშია. პროკურორის მოთხოვნა, მართალია, არ დაკმაყოფილდა და თემურ ფიფიას 5000-ის ნაცვლად მხოლოდ 1000 ლარი შეუფარდეს, მაგრამ ეს რა, ცოტაა? 25 წელია, კაცი უმუშევარია, საიდან მოიტანოს ამხელა თანხა? ან რის გამო აკისრებ ამ ფულს, რა დააშავა ასეთი?!**

**— თვითონ რა არგუმენტაცია ჰქონდათ?**

— არ ვიცი მათი არგუმენტები, მაგრამ მოგვივარდნენ, მოგვიწყვეს პროვოკაცია, ღონისძიება ჩაგვიშალეს და კიდევ ჩვენ ვართ დამნაშავე, ისინი კი — დაზარალებული?! იმას ერთი საკადრისი ალიყური უთავაზა კაცმა, ჩვენ კიდევ ყველაფერი თავდაყირა დაგვიყენეს, რატომ ვიმსახურებდით ამხელა სასჯელს?! ან რა, იმ ახალგაზრდის მხრიდან კვერცხის სროლა შეურაცხყოფა არ არის?

**მივმართავ ხელისუფლებას და ყველა შესაბამის უწყებას, რომ შეისწავლოს თელავის პროკურატურის მდგომარეობა, კერძოდ, ეს საკითხი და, თუ ჩვენ მეტი სასჯელი გვეკუთვნის, მზად ვართ, მივიღოთ, თუ არა და გამოავლინონ ის ნაცისტური ორგანიზაცია, რომელიც ჩაბუდებულია პროკურატურაში.**

**— გაქვთ იმედი, რომ ხელისუფლება დაინტერესდება ამით? პარლამენტით დაწყებული, დამთავრებული მთავრობითა და სასამართლო ხელისუფლებით — სავსეა მედასავლეთე „ლიბერალებით“, რომლებიც თავის დროზე სამართლებრივ დონეზე მოითხოვდნენ საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვას.**

— მე ხომ სიმბოლიკა არ ვარ, მე ვარ პიროვნება. თუნდაც სტალინი ავიღოთ, ის იყო პროლეტარიატის ბელადი, რა შუაშია სიმბოლიკა?

**— მათ გართულება კომუნისტურ დროშაზე აქვთ, რომელზეც ნამგალი და ურო გამოსახული.**

— მაშინ ასე ვიზამ: რადგან ჩაქუჩსა და ნამგალზე აქვთ გართულება, შევცვლი და ამის ნაცვლად გადავაჯვარედინებ ცელს და დიდ „კლუჩს“. აი, ამას დავახატავ ცისფერ დროშაზე და ამ დროშის ქვეშ გამოსულები ვიტყვით, რომ გვინდა სოციალური თანასწორობა. რა შეიცვლება?!

**რაც შეეხება ნაციონალების თეთრ დროშას, რომელიც სამარცხვინოდ მიმაჩნია, ამ დროშაზე ოთხივე მხარეს ჯვრების ნაცვლად ჩავსვამ სხვა გამოსახულებებს: ერთ კუთხეში — პატიმრის გაუპატიურების სცენას, მეორეში — დეპუტატის ცემის სცენას, მესამეში — ცოცხსა და მეოთხეში — იატაკის საწმენდ ჯოხს. თუ ურჩევნიათ, ამ დროშით გამოვალ და, საერთოდ, არ ვახსენებ აწი ნამგალსა და უროს.**

**— რაც დრო გადის, ანტისტალინური პროპაგანდა სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ისე ებრძვიან მის სახელს, თითქოს ცოცხალი იყოს და ეშინიათ, არჩევნები არ მოიგოს. რა ინტერესი დგას ამის უკან, რატომ ებრძვიან სტალინის კულტს დღეს ასე გაშმაგებით?**

— ებრძვიან იმიტომ, რომ კაპიტალიზმის კრახი დაიწყო. ეს აშკარაა და, როდესაც ნატოს წევრი დიდი სახელმწიფო თურქეთი ამ ორგანიზაციის სულისჩამდგმელ ამერიკას აკრიტიკებს, ყველაფერი ნათელია. **კიდევ ვიმეორებ: კაპიტალიზმისა და ამერიკის საქმე დამთავრებულია. ეს მხოლოდ ჩვენ ვერ შევიგნეთ, თორემ უკვე ყველასთვის ცხადია.**

რაც შეეხება სტალინსა და მის იდეებს, დავიკავოთ უოლ სტრიტიო, რომ დაიძახეს შარშან ამერიკაში და ერთი მილიონი კაცი გამოვიდა უოლ სტრიტზე, ეს არ იყო „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით?!“. ან ინგლისი ავიღოთ, ტრაფალგარის მოედანი რომ მომიტინგეებით გაივსო, იქ არ დადიოდა სტალინის აჩრდილი?! არაფერს ვამბობ ელისეს მინდვრებზე გამოსულ სამ მილიონ მომიტინგეზე.

**დადგება დრო და ყველა პასუხს აგებს, ოღონდ არა ისე, როგორც ეს ივანიშვილმა გააკეთა, არამედ ისე, როგორც სტალინმა აგებინა პასუხი სამშობლოს მოღალატეებს...**

**— ორ თვეში საპარლამენტო არჩევნებია. არსებობს შანსი, რომ ეს არჩევნები მოიგოს ძალამ, რომელიც არ იქნება დასავლეთიდან მართული?**

— ამ არჩევნებისგან არაფერს უნდა ველოდოთ. ჩვენ, კომუნისტები, არც ვაპირებთ მასში მონაწილეობას. **დღეს ჩვენი მთავარი მოწოდება ხალხისადმი არის ის, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ დაუჭირონ მხარი. ამ ნაძირალებს არ უნდა მიეცეთ ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი და ისევ იმ უბედურების დატრიალების, რომელიც ერთხელ უკვე დაატრიალეს.**

**— ეს გასაგებია, მაგრამ თითქმის მთელი პოლიტიკური სპექტრი ერთი ცენტრიდან — ამერიკიდან იმართება. რა განსხვავებაა, ნაციონალებს მისცემს ხალხი ხმას, რესპუბლიკელებს თუ „თავისუფალ დემოკრატებს“ ან ბურჭულაძის პარტიას, საბოლოო ჯამში, ხომ ყველა ერთია?!**

— გეთანხმებით, მაგრამ ახლა მთავარია, „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი სატელიტებით გავრეკოთ პოლიტიკური ველიდან და, თუ ხელისუფლება ხელს შეგვიშლის, ისიც მივაყოლოთ. ისე, ერთი კია — საქართველოს ვერ გაათავისუფლებს მილიონერი, საქართველოს გაათავისუფლებს კაცი, რომელსაც არაფერი აქვს დასაკარგავი, ბორკილების გარდა. აი, ის კაცი უნდა გაუძღვეს ამ მშიერ, მართლაც პროლეტარიატად ქცეულ მოსახლეობას და ყველამ ერთად ტაშისცემით უნდა გამოვუძეღოთ ყურები ამ ნაძირალებს, რათა ქვეყნიდან სამუდამოდ გავაქციოთ.

## «დადგება დრო და ყველა პასუხს აგებს... ისე, როგორც სტალინმა აგებინა პასუხი სამშობლოს მოღალატეებს!»

## «საქართველოს ვერ გაათავისუფლებს მილიონერი, საქართველოს გაათავისუფლებს კაცი, რომელსაც არაფერი აქვს დასაკარგავი, ბორკილების გარდა»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნებისმიერი პარტია სატელევიზო გამოსვლებისას თუ ქუჩაში ამომრჩეველთან შეხვედრისას უპირველეს მიზნად სწორედ „კოაბიტაციის მახინჯი პროცესის დასრულებას“ და „სამართლიანობის აღდგენის პროცესის რეალურად დაწყებას“ ქადაგებს, ხოლო იქვე, პარალელურად, თავიანთი პარტიის „ახალ სახეებად“ წარმოგვიდგენენ ხოლმე ყოფილ ბოგბოლა ნაცებს და დაგვიწყებენ ჭკუის სწავლებას, რომ „წარსულს არ აქვს მნიშვნელობა და მომავალზე უნდა ვიფიქროთ“, ხოლო ადამიანში, „წარსულში მისი პოლიტიკური მრწამსი“ კი არა, „მისი პოროფესიული საქმიანობა და კონკრეტრული საქმის კეთების უნარი“ უნდა შევაფასოთ.**

# თქვენ ვის ეკაიფებით, ბიჭო?
# ანუ ანტიკოაბიტანტების კოაბიტაციურობა

**საზოგადოდ, პოლიტიკა პარადოქსების სავანეაო, — ნათქვამია. ქართული პოლიტიკაც არ ყოფილა გამონაკლისი და დამოუკიდებლობის ისტორიის 30 წლის განმავლობაში უამრავი პარადოქსი შემოგვთავაზა. მაგრამ იმას, რაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ხდება, უკვე პარადოქსიც აღარ ჰქვია და უფრო ხალხის ნების, საქართველოს თითოეული მოქალაქის, ყველასი და ყველაფრის უხეშ, უტიფარ და აშკარა ფეხებზე დაკიდებას უფრო ჰგავს.**

ერთი ძველი ანეკდოტია ასეთი:

ენაბლუ კაცი შედის ლუდის ბარში და დახლიდარს ეუბნება:

— ერერერთითი კაკაკაკათხათხათხა ლულუდიდიდიდი რარარა ღიღირს?

— ოთხმომომომოციციციცცი კაპკაპკაპკაპკაპკაპიკიკიკიკი, — პასუხობს დახლიდარი.

— დამისხისხისხისხი, თუ შეშეშეიძლელელელება, — ეუბნება ენაბლუ.

— ახახახახახლალალავევევევე, ბატოტოტონონონო, — და უსხამს.

ენაბლუმ დაიწყო ლუდის დალევა და ამ დროს შემოდის კიდევ ვიღაც ტიპი და მიმართავს დახლიდარს:

— ერთი კათხა ლუდი რა ღირს?

— ოთხმოცი კაპიკი, — ჩვეულებრივად პასუხობს დახლიდარი.

— დამისხი თუ შეიძლება.

— ახლავე, ბატონო, — ასევე ჩვეულებრივად პასუხობს დახლიდარი და უსხამს.

ენაბლუმ ეს რომ მოისმინა, რა თქმა უნდა, დაიძაბა და დახლთან მივარდა.

— შეშეშეშეშენ, ბიბიბიბიჭოჭოჭო, ვივივივის ეკაკაკაკაკაიფეფეფეფებიბიბიბი, ჰა? — უყვირის დახლიდარს.

— შშშეშეშენ არა, ძმაძმაძმაძმაო, იმას ვევევევევეკაკაკაკაიფეფეფეფებიბიბიბი, — დაამშვიდა დახლიდარმა ენაბლუ და ნორმალურად მოსაუბრე ტიპისკენ გაახედა.

**აი, დაახლოებით ამას მაგონებს ჩვენი პოლიტიკური პარტიების ლიდერთა საქციელი. ნამდვილად ვერ გამიგია, საკუთარ თავს ეკაიფებან, პოლიტიკურ ოპონენტებს თუ ხალხს?**

უფრო სავარაუდოა — ხალხს, რომელიც მათ, როგორც ჩანს, ენაბლუც ჰგონიათ, ბრმაც და გონებაჩლუნგიც.

არადა, როდესაც ტელესტუდიაში პირდაპირ ეთერში დარეკვით, ანდა ქუჩაში გამართული წინასაარჩევნო შეხვედრებისას მოსახლეობა მათ დაახლოებით მსგავს კითხვას უსვამს, — თქვენ, ბიჭო, ვის ეკაიფებითო, — ამ უტიფარ პოლიტიკურ ლიდერებს, ზემოთ მოყვანილი ანეკდოტისა არ იყოს, უტიფარი პასუხი მზად აქვთ: თქვენ არა, იმათ ვეკაიფებითო და ხან ხელისუფლებისკენ გაიშვერენ ხელს, ხან — „ნაციონალური მოძრაობისკენ“ და ხანაც — გაურკვეველი მიმართულებით.

ყველაზე ნათელი მაგალითი ამისა არის კოაბიტაციის ახალი და ყველაზე უნამუსო ტალღა, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ აზვირთდა და, რომელსაც უტიფარი გულმოდგინებით ნიღბავენ, როგორც სახელისუფლო, ასევე ძველი და ახალი ე. წ. ოპოზიციური პარტიები.

**წინასაარჩევნო პოლიტიკური არიის შემსრულებელი პაატა ბურჭულაძე ყველაზე გამოკვეთილ ბანს აძლევდა თავის დროზე „სამართლიანობის აღდგენის“ ოპერას და ხალხის გულის მოსაგებად მღეროდა — „ქართულმა ოცნებამ“ ხალხს დაპირება არ შეუსრულა და, თუ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა, დიქტატორულ რეჟიმთან კოაბიტაციის მახინჯ პროცესს მოვსპობ და სამართლიანობას აუცილებლად აღვადგენო.**



**გადაწყვიტა ბატონმა ბანმა პოლიტიკაში მოსვლა, დიდი აურზაურით ახალი პარტიაც წარმოგვიდგინა შთამბეჭდავი სახელწოდებით «სახელმწიფო ხალხისათვის», მაგრამ ამ სახელმწიფოს ამშენებლებად, ანუ თავისი პარტიისგან წარმოდგენილ დეპუტატობის კანდიდატებად იმავე ხალხისთვის სრულიად მიუღებელი პერსონები, «ნაციონალური მოძრაობის» ყოფილი სახეები, სხვებზე არანაკლებ გასვრილი, დიქტატორული და მანიაკური რეჟიმის არავისზე ნაკლებად ხელშემწყობები დაგვისახელა**

გადაწყვიტა ბატონმა ბანმა პოლიტიკაში მოსვლა, დიდი აურზაურით ახალი პარტიაც წარმოგვიდგინა შთამბეჭდავი სახელწოდებით „სახელმწიფო ხალხისათვის“, მაგრამ ამ სახელმწიფოს ამშენებლებად, ანუ თავისი პარტიისგან წარმოდგენილ დეპუტატობის კანდიდატებად იმავე ხალხისთვის სრულიად მიუღებელი პერსონები, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი სახეები, სხვებზე არანაკლებ გასვრილი, დიქტატორული და მანიაკური რეჟიმის არავისზე ნაკლებად ხელშემწყობები დაგვისახელა.

ოპერის ლიბრეტოც შეიცვალა — თუკი აქამდე ნაცებთან თანამშრომლობა დანაშაული და მიუღებელი საქციელი იყო, ახლა უკვე, თურმე ნუ იტყვით და, **„არავის წარსულს არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ადამიანებს ვაფასებთ მათი პროფესიული ცოდნით, საქმიანი გამოცდილებით და მომავლის სწორი ხედვით და არა იმით, წარსულში ვინ რომელ პოლიტიკურ ძალას მიეკუთვნებოდა ან რომელ პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობდა“**, — ასეთია პაატა ბურჭულაძის აზრი.

აი, ეს „ოპერა“ უკვე ჩვეულ სიუჟეტად გადაიქცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის.

თუმცა, **ვერავინ გვიხსნის, თუკი „წარსულში პოლიტიკურ კუთვნილებას არ აქვს მნიშვნელობა“ და ისინი ითანამშრომლებენ ყველასთან, ვინც „თავისი საქმის პროფესიონალია“, ასე მოდური „კოაბიტაციის დასრულება“ და „სამართლიანობის აღდგენის პროცესის რეალურად დაწყება“ რაღა ჯანდაბას ნიშნავს?!**

ვგულისხმობ იმას, რომ **ნებისმიერი პარტია სატელევიზო გამოსვლებისას თუ ქუჩაში ამომრჩეველთან შეხვედრისას უპირველეს მიზნად სწორედ „კოაბიტაციის მახინჯი პროცესის დასრულებას“ და „სამართლიანობის აღდგენის პროცესის რეალურად დაწყებას“ ქადაგებს, ხოლო იქვე, პარალელურად, თავიანთი პარტიის „ახალ სახეებად“ წარმოგვიდგენენ ხოლმე ყოფილ ბოგბოლა ნაცებს და დაგვიწყებენ ჭკუის სწავლებას, რომ „წარსულს არ აქვს მნიშვნელობა და მომავალზე უნდა ვიფიქროთ“, ხოლო ადამიანში, „წარსულში მისი პოლიტიკური მრწამსი“ კი არა, „მისი პოროფესიული საქმიანობა და კონკრეტრული საქმის კეთების უნარი“ უნდა შევაფასოთ.**

**ჯერ ერთი**, ნამდვილად ვერ ვხვდები, რა ისეთი „პროფესიული უნარები“ და „საქმის განსაკუთრებულად კარგად კეთების ნიჭი“ დაუნახეს ამ ყოვლად უვარგის ადამიანებს და სად ნახეს მათი გაკეთებული საქმე, გარდა მართლა საქმიანი ადამიანებისთვის მილიონების სრულიად უკანონოდ წართმევის გზით საკუთარი ჯიბის გასქელებისა.

**მეორეც** — კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას — **თუკი მხოლოდ „მომავლით“ უნდა შევაფასოთ ადამიანები და მათ წარსულს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ, მაშ, რაღას ნიშნავს „კოაბიტაციის დასრულება“ და „სამართლიანობის აღდგენის პროცესი“? როგორ თავსდება ყოველივე ეს ერთმანეთთან?**

რა გამოდის? — **ყველა პარტიას, უბრალოდ, თავისი წილი „გასაპრავებელი ნაცი“ ჰყავს ამორჩეული და „სამართლიანობის აღდგენის პროცესი“ და „კოაბიტაციის მახინჯი პროცესის დასრულება“ მხოლოდ „სხვის ნაცებს“ ეხებათ და „მათ ნაცებს“ არა?**

რა თქმა უნდა, სათქმელია, რომ ასეთი მართლა მახინჯი ორმაგი სტანდარტი სწორედ **„ქართულმა ოცნებამ“** და პირადად მისმა ლიდერმა **ბიძინა ივანიშვილმა** დაამკვიდრა ქვეყანაში და 2016 წლის არჩევნებისთვისაც ეს პოლიტიკური ძალა მისი ბელადიანად კვლავ განაგრძობს ოთხი წლის განმავლობაში დამკვიდრებულ „საუკეთესო ტრადიციებს“.

**ამ საარჩევნოდ „ოცნებამ“ უამრავი ყოფილი „ნაცკანდიდატურა“ შემოგვთავაზა „მამა აბრამის ბატკნებად“. არადა, არაერთი მათგანი ჯერ კიდევ 2012 წლამდე ედგა მხარში ნაცებს, აფინანსებდა და ხელს უმართავდა მათ და, მაშინდელ არჩევნებში „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ გაემარჯვა, „ოცნების“ ახლანდელი წარმომადგენლები სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მოგვევლინებოდნენ პარლამენტში.**

ეგეც რომ არ იყოს, მგონი, წესიერი ადამიანებისთვის ბევრ რამეზე უნდა მეტყველებდეს ცნობილი გამოთქმა: „აწმყო წარსულისაგან იბადება და მომავალს ბადებს!“

დიახ! **სწორედ ადამიანთა წარსულს აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა, რადგან ბინძური წარსულის მქონე ადამიანები სუფთა აწმყოს ვერ შექმნიან და, მით უფრო, ვერანაირად განაპირობებენ სუფთა მომავალს.**

**ხოლო ბინძურ ძალასთან 10 წლის განმავლობაში მოთანამშრომლე პერსონები რანაირად შეიძლება არ იყვნენ ბინძურები — ეს სწორედ ამ ბრძენი სახით მოსახლეობის დამმოძღვრელ კოაბიტაციის წინააღმდეგ მებრძოლ კოაბიტანტებს უნდა ვკითხოთ.**

ამ მიმართულებით გასულ კვირაში ყველანაირი რეკორდი დაამხეს **„ახალმა მემარჯვენეებმა“.**

**ეს პოლიტიკური ძალა, რომელიც, ოთ-** ▶



**გასულ კვირაში ყველანაირი რეკორდი დაამხეს «ახალმა მემარჯვენეებმა». ეს პოლიტიკური ძალა, რომელიც, ოთხი წელიწადია, ხელისუფლებას, ანუ «ოცნებას» თითქმის ყოველდღიურად ამუნათებდა და ნამუსზე აგდებდა — როგორ ბედავთ, რომ კოაბიტაციას ეწევით და ყოფილ ნაცებთან თანამშრომლობთო, ადგა და საარჩევნო ალიანსში შევიდა ვაშაძის პოლიტიკურ მოძრაობასთან და ნაცების მეორე ანასხლეტ, პოლიტიკურ ცენტრ «გირჩთან»**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პატრიოტიზმის თამაში იოლი გგონიათ იმ ადამიანისთვის, რომელსაც სინამდვილეში მთელი სიგრძე-სიგანით სულ ერთ ადგილზე ახატია სამშობლო? ეს ქალი კი, აგერ უკვე თითქმის 20 წელიწადია, წარმატებით ახერხებს პატრიოტის როლის მორგებას!**

# თინა ხიდაშელმა თინა ხიდაშელს თინა ხიდაშელი გადასცა

**ხი წელიწადია, ხელისუფლებას, ანუ „ოცნებას“ თითქმის ყოველდღიურად ამუნათებდა და ნამუსზე აგდებდა — როგორ ბედავთ, რომ კოაბიტაციას ეწევით და ყოფილ ნაცებთან თანამშრომლობთო, ადგა და საარჩევნო ალიანსში შევიდა ვაშაძის პოლიტიკურ მოძრაობასთან და ნაცების მეორე ანასხლეტ, პოლიტიკურ ცენტრ „გირჩთან“.**

უტიფრობის გაკვეთილი ჩაგვიტარა „მემარჯვენეების“ ლიდერმა **მამუკა კაციტაძემ:** „ჩვენ ამ ორ პოლიტიკურ ძალასთან კატეგორიულად ვერ ვთანხმდებით წარსულზე, მაგრამ სრულიად იდენტური ხედვები გვაქვს მომავლისა, ამიტომ ჩვენს გაერთიანებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ“, — განაცხადა მან ტელეინტერვიუში და ამით საბოლოოდ დაადასტურა „ახალი მემარჯვენეების“ ძიირითადი მიზანი პოლიტიკაში — ფულის კეთება(!).

თუმცაღა, რაიმე სხვა მიზანს პოლიტიკაში აქტიურობისა, ვერც სხვა რომელიმე პოლიტიკურ ძალას დავწამებთ. **თვით ყველაზე მდიდარი სახელისუფლო პოლიტიკური ძალაც კი მაჟორიტაროზის კანდიდატების შერჩევისას აშკარად მათი „ბევრფულიანობის“ პრინციპით მოქმედებს — არჩევს ისეთ კანდიდატებს, რომლებიც პარტიას კი არ მოსთხოვენ, არამედ თავად დახარჯავენ ფულს ამ არჩევნებში და პარტიასაც გაუმართავენ ხელს.**

აი, ეს არის მთავარი კრიტერიუმი და არავის არაფერში აინტერესებს, ეს „ფულიანი ტიპები“ წარსულში რისთვის ხარჯავდნენ ამ ფულს და რა ჯოჯოხეთს აფინანსებდნენ ქვეყანაში პირადი კეთილდღეობის მოპოვების მიზნით.

არა, ძმაო, წარსული რა სახსნებელია! მთავარია, მომავალში გამოგადგეს კაცი! — აი, ამ პრინციპს რომ ამკვიდრებს საზოგადოებაში, ასეთ პოლიტიკოსებს რომელ ზნეობაზე უნდა ელაპარაკო და ამ ნაგვების აშენებულ ქვეყანაში როგორ უნდა იცხოვრო ნორმალურმა ადამიანმა?!

თუნდაც კაციტაძის სიტყვები გავშიფროთ, — წარსულის ამბებში კატეგორიულად არ ვეთანხმებით მათო, — ანუ ყოფილმა ნაცებმა რამე კი არ მოინანიეს, კი არ მოიბოდიშეს, არამედ მაინც თავისაზე დგანან და იმ 10-წლიანი წარსულის გამო ოდნავ სინდისის ქენჯნასაც არ გრძნობენ!

**მიუხედავად ამისა, კაციტაძე მაინც ხედავს მათთან საერთო მომავალს; ისე, როგორმა ადამიანმა შეიძლება დაინახოს საერთო მომავალი ისეთ მეორე ადამიანთან ერთად, რომელსაც თავზე განავლის დიდი და სუნიანი ულუფა ადევს და გარშემო ყველაფერს აყროლებს? — აი, ეს რიტორიკული კითხვა პასუხის გასაცემად ისევ და ისევ ივანიშვილს, ბურჭულაძეს, ნათელაშვილს, კაციტაძესა და მათნაირი დაბალი ზნეობის მქონე „ლიდერებს“ დავუტოვოთ...**

ჩვენ კი, რა ვიცი, თუკი აქვს რამე აზრი, გული მაინც მოვიფხანოთ ერთი ომახიანი შეძახილით: თქვენ ვის ეკაიფებით, ბიჭო, ჰა?

**სრულიად საქართველო გააოგნა თავდაცვის ყოფილი მინისტრის განცხადებამ — „ქართულ ოცნებას“ თავდაცვის მინისტრის კანდიდატურის სწორად შერჩევა არ შეუძლიაო! ეს განცხადება თინა ხიდაშელმა ახალი თავდაცვის მინისტრის — ლევან იზორიას წარდგენის შემდეგ გააკეთა და, რა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმა, რომ „ოცნებამ“ მხოლოდ მაშინ იცოდა თავდაცვის მინისტრის კანდიდატურის სწორად შერჩევა, როდესაც თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელი შეარჩიეს.**

ფაქტია, რომ ყოველთვის სწორად არჩევს ყველგან ყველაფრის კანდიდატურას ის, ვინც ირჩევს **თინა ხიდაშელს.** სხვამ არავინ არაფრის კანდიდატურის სწორად შერჩევა არ იცის.

აბა, **წარმოგიდგენიათ რომელიმე სფერო თინა ხიდაშელის გარეშე.**

თინა ხიდაშელია ყველგან, ყოველთვის, ყველაფრის საუკეთესო კანდიდატურა.

ჩვენ ოფიციალური შეკითხვით მივმართეთ სტატისტიკის დეპარტამენტს და, **ჩვენდა სამწუხაროდ, გაირკვა, რომ საქართველოში ერთადერთი თინა ხიდაშელია და არა, დავუშვათ, ასი. არა, მართალია, არც ასი გვეყოფოდა და, ალბათ, არც ათასობით თინა ხიდაშელი ეყოფოდა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ორი მაინც ყოფილიყო, რა იქნებოდა?!**

არა! ის ერთადერთია და,




ალბათ, ასე ინება განგებამ, რათა უფრო მეტად დავაფასოთ, მოვუფრთხილდეთ და ხელის გულზე ვატაროთ!

შეუძლებელია, არ ვახსენოთ საქართველოს პარლამენტის უკვე, ფაქტობრივად, ყოფილი თავმჯდომარე, ბატონი **დავით უსუფაშვილი.** კაცი, რომელსაც შეიძლება გაბედულად მივანიჭოთ „საუკეთესო შემრჩევის“ წოდება — მან ხომ ცოლად თვით თინა ხიდაშელი შეარჩია!

განა არ იყო ეს ბრძნული არჩევანი?! აბა, წარმოიდგინეთ ვინმე სხვა მის გვერდით, გარდა თინა ხიდაშელისა! წარმოიდგენთ? მე — ვერა!

სწორედ დავით უსუფაშვილსა და თინა ხიდაშელზეა ნათქვამი „ფერი ფერსო“ (უკაცრავად, აქ ღმერთს ვერ ვახსენებ, რადგან ღმერთი მიწყენს).

დიახ, ასეა! განა მხოლოდ „ახალგაზრდა იურისტად“, დიად რესპუბლიკელად, უნარიან პარლამენტარად ან გენიოს თავდაცვის მინისტრად, **თინა ხიდაშელი საუკეთესო კანდიდატურაა ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში, მით უფრო იქ, სადაც ამერიკის ხსენება და გავლენა მეფობს. ამერიკის კინოაკადემიის უმთავრესი ჯილდოს მფლობელის როლშიც კი ყველაზე ღირსეულ კანდიდატად სწორედ თინა ხიდაშელი მიგვაჩნია.**

ვისზე ნაკლები მსახიობია ვითომ? — **პატრიოტიზმის თამაში იოლი გგონიათ იმ ადამიანისთვის, რომელსაც სინამდვილეში მთელი სიგრძე-სიგანით სულ ერთ ადგილზე ახატია სამშობლო? ეს ქალი კი, აგერ უკვე თითქმის 20 წელიწადია, წარმატებით ახერხებს პატრიოტის როლის მორგებას!**

ამიტომ წარმოუდგენელი არ არის, თინა ხიდაშელი მალე მართლაც მოხვდეს „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიაზე.

ოღონდ ამ შემთხვევაში მთავარ პრიზს, ანუ „ოსკარს“ აუცილებლად უნდა გადაერქვას სახელი და დაერქვას „თინა ხიდაშელი“.

გარდა ამისა, **ნომინაციასაც უნდა ეწოდოს „საუკეთესო თინა ხიდაშელი“, ხოლო მასში გამარჯვებულ თინა ხიდაშელს „ოქროს თინა ხიდაშელი“ აუცილებლად თინა ხიდაშელმა უნდა გადასცეს და დარბაზიდანაც თინა ხიდაშელმა უნდა დაუკრას ტაში!**

ასეა, ბატონო, აბა! ვინმე სადმე შეარჩევს თინა ხიდაშელზე უკეთეს წამყვანს, თინა ხიდაშელზე უკეთეს შემსრულებელს, თინა ხიდაშელზე უკეთეს პრიზს, თინა ხიდაშელზე უკეთეს მაყურებელს?

ან განა არის სადმე თინა ხიდაშელზე უკეთესი თინა ხიდაშელი?

**მასე აბარავა**

# თინა ნატომ «ფეისბუქიდან» წაშალა!

**გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე თვის წინათ თინა ხიდაშელისა და მისი პარტიის წევრების საიდუმლო ვიზიტი მთავრობის კანცელარიაში, როდესაც მის თანამდებობას საფრთხე დაემუქრა. იმჟამინდელმა ღამემ დიდი ლეწვა-გლეჯით ჩაიარა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ჩაწყნარდა. როგორც ამბობენ, თინას ისტერიკამ ამჯერად ველარ გაჭრა და ისიც მიხვდა, რომ, სადაც არ სჯობდა, გაცლა სჯობდა. აიკრა გუდა-ნაბადი ქმართან და მეგობრებთან ერთად და კარიც გაიჯახუნა — მეხიც დაგცემიათ თავზეო!**

ნეტავ, რა მოხდა იმ საღამოს, როდესაც თინა სამსახურიდან გაუშვეს?

ეს კითხვა არ ასვენებდა და დღემდე არ ასვენებს ჩვენს ცნობისმოყვარე კორესპონდენტს და, რომ არა ჩვენი მეორე, ფანტაზიორი კორესპონდენტი, ალბათ, საბოლოოდ დაკარგავდა მოსვენებას. ჩვენმა ფანტაზიორმა კორესპონდენტმა კი, არ ვიცით საიდან და როგორ მოიგონა, მაგრამ, აი, რა მოგვიყვა:

საღამო იყო, წინწკლავდა, ეზოში „ტაქსი“ გაჩერდა, იქიდან თინა გადმოვიდა, მძღოლს სულ მადლობას უხდიდა, დაემშვიდობა და სადარბაზოში ლიფტთან გაჩერდა, თან 5-თეთრიანს ეძებდა. სანამ ლიფტი მოვიდოდა, სევდიანად ამოიხვნეშა, ამასობაში კარი ჭრიალით გაიღო და თინამაც ჩააგდო ფული.

შევიდა შინ, კარის დაჯახუნების ისეთი საშინელი ხმა იყო, თითქოს აფეთქდა. აშკარად ცუდ განწყობაზე იყო, მაგრამ ცდილობდა, არ გამოემჟღავნებინა.

— მოხვედი, თინ? — ჰკითხა მეუღლე დავითმა

— ჰო, მოვედი, დავწერე განცხადება და წამოვედი, — სევდიანად უპასუხა თინამ.

— ჩვენებიდან ნახე ვინმე? — ჰკითხა დავითმა.

— ლევანი და დათო დავტოვე ავტობუსის გაჩერებაზე, მე „ტაქსის“ გამოვყევი. ისეთი დათრგუნვილები იყვნენ... 5 ლარი ჰქონდა ორივეს და ჩქარობდნენ, მაღაზიაში პური არ გათავდესო.

დავითმა სინანულის გამომეტყველება მიიღო და მეუღლეს ჟოლოს ჩაი შესთავაზა, თან უთხრა, საინტერესო პროექტი მაქვს, შევაგდოთ და იქნებ დაგვაფინანსონო.

— რა პროექტია? — ჰკითხა თინამ.

— ამაზე მოგვიანებით, ახლა შხაპი მიიღე და დაისვენე, მძიმე დღე გქონდა, — უპასუხა მზრუნველმა მეუღლემ.

თინამ გაიხადა ფეხსაცმელი, ტახტის ქვეშ შეყარა და წამოწვა, შემდეგ პულტი მოიმარჯვა და 9-საათიან „კურიერს“ ჩაუჯდა. დავითი მშვიდი სახით, მაგრამ მაინც ბოლთას სცემდა — გადიოდა, გამოდიოდა, ხან აივანზე გავიდოდა, ხან ფანჯარაში გაიხედავდა.

უცებ ძილბურანში წასულმა თინამ მეუღლეს უთხრა:

— ნატოს წავუშლივარ „ფეისბუქიდან“, ნახე?

— რას ამბობ?! — შეიცხადა დავითმა.

— ჰოო, არც კი ამიხსნა, რატომ გააკეთა ასე. გამიკვირდა, აღარც ლაიქები იყო, არც — კომენტარები. გადავამოწმე და ვნახე, რომ აღარ ვართ მეგობრები.

— და შენზე უკეთესი ვინ უნდა დაემატებინა — მეჭიაური თუ ბურჭულაძე?

— არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ, რაც გამომიშვეს, რუსულმა გავლენამ იმატა ნატოზე. მე რომ ვიყავი, ვერ ბედავდა ასეთ რაღაცებს და, დღეს რომ ვნახე, შუფუტინსკის სიმღერა ჰქონდა გაზიარებული, ალბათ, იმიტომ წამშალა, რომ არ მენახა.

ამ ლაპარაკში თინას დაღლილობისგან ჩათვლიმა, დავითმა მას სათვალე მოხსნა და შუქი ჩაუქრო, თვითონ კი სამუშაო კაბინეტში გავიდა და პროექტზე მუშაობა განაგრძო.

ღამის 3 საათი იქნებოდა, ცაზე მოულოდნელად თეთრი ნათება გამოჩნდა და პირდაპირ თინას ფანჯარაში შეიჭრა.

— ვაიმეე! — იყვირა თინამ.

— დაწყნარდი თინა, მე ვარ! – უთხრა ნათებამ.

— ბატონო ბიძინა? — შეიცხადა თინამ.

— ჰო, მე ვარ, ვიცი, ახლა რა მდგომარეობაშიც ხარ, შენ ძალიან კარგი გოგო ხარ და ისე არ დაგტოვებ, ცოტა მოითმინე, თორემ შემჭამეს რუსებმა, — ამ ქალმა მოსვენება დაგვიკარგაო. ცოტა დაისვენე, ისინიც დაწყნარდებიან, ამასობაში რამეს მოვიფიქრებთ, ფულზე არ ინერვიულო, ხელფასს ყოველთვე გამოგიგზავნი, — უთხრა ნათების სახით მოვლენილმა ბიძინამ, თან გააფრთხილა, ჩემ მოსვლაზე არავის უთხრა, ჩვენ შორის დარჩესო.

შემდეგ გამოაღო ფანჯარა და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა.

**გრიგოლ ინგაძე**

**თინამ გაიხადა ფეხსაცმელი, ტახტის ქვეშ შეყარა და წამოწვა, შემდეგ პულტი მოიმარჯვა და 9-საათიან «კურიერს ჩაუჯდა. დავითი მშვიდი სახით, მაგრამ მაინც ბოლთას სცემდა — გადიოდა, გამოდიოდა, ხან აივანზე გავიდოდა, ხან ფანჯარაში გაიხედავდა. უცებ ძილბურანში წასულმა თინამ მეუღლეს უთხრა: — ნატოს წავუშლივარ «ფეისბუქიდან», ნახე?**

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„განგაშის ზარებს რომ რეკენ, — ერი ბერდება და 2050 წლისთვის, ფაქტობრივად, აღარ ვიარსებებთო, დაეხმარონ ჩემნაირ მრავალშვილიანებს და ეს ხომ სხვებისთვისაც ერთგვარი სტიმული იქნება? აბა, მე რომ შემომხედავენ, გული ხომ გაუტყდებათ და ბევრი შვილის ყოლის სურვილი ვიღას გაუჩნდება?!“**

# მრავალშვილიანი ომის ვეტერანი დახმარებას სთხოვს ხელისუფლებასა და ბიზნესმენებს

**ათი შვილის მამა და აფხაზეთის ომის ვეტერანი ვეფხვია ღვალაძე რამდენიმე თვის წინათ სახელმწიფო კანცელარიის წინ პროტესტის ნიშნად შიმშილობის დაწყებას აპირებდა, მაგრამ, როგორც ამბობს, მთავრობის წარმომადგენლები ვითარების გამოსწორებას დაჰპირდნენ და შიმშილობა გადაიფიქრა. მას შემდეგ დაპირებების შესრულებას უშედეგოდ ელის.
ვეფხვია ღვალაძე თბილისში, ფონიჭალაში, ერთოთახიან ბინაში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ათი შვილიდან მხოლოდ ერთია სრულწლოვანი. ყველაზე უმცროსი, დაუნის სინდრომით დაავადებული კი, ჯერ თვეებისაა და განსაკუთრებული მკურნალობა სჭირდება.
თავის გასაჭირზე სასაუბროდ ვეფხვია ღვალაძე „საქართველო და მსოფლიოს“ დაუკავშირდა.**



## ვეფხვია ღვალაძე: უნდა მოვმკვდარიყავი, რომ ჩემს შვილებს დახმარებოდნენ?

— ერთადერთი ომის ვეტერანი ვარ, რომელსაც ათი შვილი ჰყავს. ვარ ბატალიონ „ავაზას“ მეომარი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, **ტრისტან წითელაშვილი** გახლდათ ჩემი ბატალიონის უფროსი. შეიძლება ითქვას, რომ მე ვარ, ფაქტობრივად, ამ სახელმწიფოს სახე. მცირეწლოვანი შვილები მყავს, უფროსი ახლახან შესრულდა 18 წლის, დანარჩენები პატარები არიან. **მივმართავ ჩვენს პრემიერს: ან ერთჯერადი კომპენსაციის სახით დამეხმაროს, როგორც ერთადერთ მრავალშვილიან ვეტერანს, ან დამინიშნონ თვეში 1 800-ლარიანი დახმარება, ნუ დამიქვითავენ საშემოსავლოს და ნურც კომუნალურ გადასახადებს გადამახდევინებენ.** ეს არის ჩემი თხოვნა. ამ შემთხვევაში ვიგრძნობ თავს ჩემს სახელმწიფოში დაცულად. დღეს, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ერის გამრავლებაზე საუბრობენ, თუ მართლა სურთ, სხვამაც მომბაძოს და ბევრი შვილი გააჩინოს, ასე უნდა მოიქცნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხს ნუ ატყუებენ. **განგაშის ზარებს რომ რეკენ, ერი ბერდება და 2050 წლისთვის, ფაქტობრივად, აღარ ვიარსებებთო, დაეხმარონ ჩემნაირ მრავალშვილიანებს და ეს ხომ სხვებისთვისაც ერთგვარი სტიმული იქნება?** აბა, მე რომ შემომხედავენ, გული ხომ გაუტყდებათ და ბევრი შვილის ყოლის სურვილი ვიღას გაუჩნდება?!

როდესაც კანცელარიის წინ შიმშილობის დაწყება გადავწყვიტე, ეს ამბავი მხოლოდ ტელეკომპანია „ობიექტივს“ შევატყობინე, რადგან თავი შევიკავე აჟიოტაჟისგან.

**— თქვენი პროტესტის შემდეგ ვინმე თუ გამოგეხმაურათ ხელისუფლებიდან ან ვეტერანების დეპარტამენტს თუ მიმართეთ?**

— დიახ, პირადად შემხვდა ვეტერანების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე **კობა კობალაძე;** ფულითაც დამეხმარა და დამპირდა, რომ თხოვნას შემისრულებდა. მე ომის ვეტერანი ვარ, კობალაძე დეპარტამენტის თავმჯდომარეა, პატივს ვცემ ამ კაცს და ამიტომ გავჩერდი, თორემ ვერავინ გამაჩერებდა. უმუშევარი ვარ, სამსახურსაც შემპირდა, მაგრამ უკვე რამდენი თვე გავიდა და დღემდე უშედეგოდ ველოდები.

**— სახლი თუ გაქვთ, სად ცხოვრობთ?**

— თბილისში, ფონიჭალაში, 47 კვ მეტრი ფართობის ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობთ 12-სულიანი ოჯახი. ეს ბინა სახელმწიფოს ბალანსზეა, კარგა ხანია, გვპირდებიან და არ გვიმტკიცებენ ბინას. ბავშვებს სწავლა მოუნდებათ თუ მუშაობას დაიწყებენ, მინდა, ქალაქში ჰქონდეთ სახლი. რადგან ათი შვილი მყავს, იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ძროხების მწყემსი უნდა ვიყოთ. ზოგს რატომღაც ასე ჰგონია და ამრეზით გვიყურებს, ფიქრობს, რადგან მრავალშვილიანი ოჯახი გვაქვს, წერა-კითხვაც არ ვიცით.

ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში მაქვს სახლი, მაგრამ, იქ რომ გადავიდეთ საცხოვრებლად, ის დახმარებაც მოგვეხსნება, რომელსაც ახლა ვიღებთ. ამიტომ ვფიქრობ, თუ სოფელში წავალ, მეურნეობას გავაკეთებ, თხებსა და ძროხებს მოვაშენებ. რისი საშუალებაც ამჟამად არ მაქვს და მინდა მივმართო ბიზნესმენებს: **დამეხმარონ, ფული არ მინდა, თხები და ძროხები მიყიდონ და მერე მე მივხედავ ოჯახს...**

თუ არავინ დამეხმარება, იძულებული ვიქნები, ბიძინა ივანიშვილთან მივიდე და დარწმუნებული ვარ, ეს კაცი ხელს არ მკრავს.

**— ბიძინა ივანიშვილი ხომ აღარ არის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი?**

— დიახ, მაგრამ მას შევახსენებ მისივე ნათქვამს, — მე ვიცი, რასაც ნიშნავს მრავალშვილიანი ოჯახიო. უმადური ნამდვილად არ ვარ, მადლობელი ვარ, რომ ამ კაცმა ის „შავი ჭირი“, სააკაშვილის ხელისუფლება, მოგვაშორა და, პრეტენზია კი არა, მასთან მხოლოდ თხოვნა მაქვს. სხვათა შორის, სანამ ხელისუფლება შეიცვლებოდა, ჯერ კიდევ არჩევნებამდე, ბოლნისში შევხვდი ბიძინა ივანიშვილს და მაშინ მკითხა — რა გიჭირთ, რით დაგეხმაროთო? ვუთხარი, ოღონდ თქვენ იყავით კარგად და ეს ჭირი, ნაციონალები, მოგვაშორეთ და არაფერი მინდა-მეთქი. კაცი ამხელა ომში იყო ჩაბმული, როგორ ვიკადრებდი, ჩემთვის რაიმე მეთხოვა?!

ნაციონალების წინააღმდეგ ვიბრძოდი, რადგან ვფიქრობდი, რომ ხელისუფლების შეცვლით ვითარებაც შეიცვლებოდა. თორემ იმხანად მითხრეს, თუ სააკაშვილს მისცემ ხმას, პირობით სასჯელს მოგიხსნითო, მე კი სწორედ მაშინ, ხალხი შიშით გარეთ რომ ვერ გამოდიოდა, მოვკიდე ხელი ჩემს ორსულ მეუღლეს და „ქართულ ოცნებაში“ წევრი გავხდი. პირობითი სასჯელი, იცით, რისთვის მომისაჯეს? — ტაქსის მძღოლს შემთხვევით მინა გავუბზარე. არც კი მიჩხუბია და მეტი რომ ვერაფერი მომიხერხეს, საჩივარი დააწერინეს ჩემზე, რადგან ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ ყველა საპროტესტო აქციაში ვმონაწილეობდი. 2011 წლის მაისის აქციებშიც, 22 მაისს, გენერალი უჩავა რომ გაიტაცეს, იქაც ვიყავი, სასწაულით გადავრჩი დაჭერას. როცა სპეცრაზმელები მოვიდნენ, ვუთხარი მრავალშვილიანი მამა ვარ, თუ გინდათ, ახლავე მომკალით-მეთქი და ერთმა სპეცრაზმელმა გამომიშვა; მითხრა, — ადექი და გაიქეციო. ამის შემდეგ კარგა ხანს ვიმალებოდი. კუდი ყოველდღე დადიოდა ჩემთან სახლში, დარწმუნებული ვარ, „ყინწვისის ამბებში“ უნდოდათ ჩემი გარევა. ამ სასამართლოს მერე მეუღლეს, 4 თვის ორსულს, მუცელი მოეშალა. ბოლოს ეს ნასამართლეობა მომიხსნეს, მაგრამ ამდენი რამ გადაიტანა ჩემმა ოჯახმა...

**— როგორც ომის ვეტერანი, დახმარებას არ იღებთ?**

— არა, ადრე სპეციალურად არ ვიღებდი საბუთს, არ მინდოდა, ამით მესარგებლა, მხოლოდ 2008 წლის მერე გავაკეთე საბუთი და მათ, ვისაც 2008 წლის შემდეგ აქვს აღებული საბუთი, ის 22 ლარი, რომელსაც ვეტერანები იღებენ, არ ეკუთვნის.

წარმოიდგინეთ, კანონით, ომში მარჩენალდაკარგულებს ათასი ლარით ეხმარებიან. აუცილებლად უნდა მოვმკვდარიყავი, რომ ჩემს შვილებს დახმარებოდნენ?

არადა, ჩემი სამშობლოსთვის არასდროს უკან არ დამიხევია. ტამიშში, ბესლახუბაში ვიბძოდი, ტანკისტი ვიყავი. 2008 წლის ომის დროსაც მივედით კომისარიატში 130 კაცი, ვეხვეწებოდით, ეს ახალგაზარდები დააბრუნეთ და ომში ჩვენ გაგვიშვით-თქო, მაგრამ საბრძოლველად არ გაგვიშვეს. სააკაშვილი რატომღაც არ გვენდობოდა, ყველას რუსების აგენტს გვეძახდა, ვინც აფხაზეთის ომში ვიბრძოდით.

**— ამჟამად რამე დახმარებას თუ იღებთ ხელისუფლებისგან?**

— თითოეულ ბავშვზე თბილისის მერიისგან ვიღებ 50 ლარს, რომელიც სოფელში გადასვლისთანავე გაგვიუქმდება. ამას გარდა, როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი, ვიღებთ სოციალურ დახმარებას და, თუ ეს დახმარება მოგვეხსნება, ათი ბავშვი 500 ლარით როგორ ვარჩინო? არადა, თბილისში ველარ ვარჩენ ოჯახს და სხვა გამოსავალიც არ მრჩება. ამიტომ მინდა სოფელში პატარა მეურნეობა გავაკეთო და, როგორც აღვნიშნე, ბიზნესმენებს დახმარებას სწორედ ამიტომ ვთხოვ.

რამდენიმე ხნის წინათ, როგორც ტრადიციული ქართული ოჯახი, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გია ჯაჯანიძის შოუში მიგვიწვიეს. წავედით, რადგან ამ გადაცემაში სულ არატრადიციული ორიენტაციის ხალხი დადის და იქნებ ტრადიციული ხალხიც გამოჩნდეს-მეთქი. მოძღვარსაც ვთხოვე კურთხევა და გამიშვა. ამ გადაცემაში ტყუილიც კი ვთქვი, მეხმარება მთავრობა-მეთქი, რადგან იქ ხელისუფლების კრიტიკას არ დავიწყებდი. აქედან გამომდინარე, გადაცემის შემდეგაც არავინ გამოგვხმაურებია და დაგვხმარებია. მხოლოდ ადვოკატი **მარიამ კუბლაშვილი** დამეხმარა 3 ათასი ლარით. ახლაც გამოუვალ მდგომარეობაში რომ არ ვიყოთ, არაფერს ვიტყოდი. ბოლნისში მაღაზია არ არის, ვალი რომ არ გვქონდეს, ამიტომ **ვთხოვ ხელისუფლებას, ბიზნესმენებს დამეხმარონ, რათა ჩემი მრავალშვილიანი ოჯახის რჩენა შევძლო და უმადურივით არ მოვიქცევი, გაზეთის მეშვეობით ყველას საჯაროდ გადავუხდი მადლობას.**

**«ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში მაქვს სახლი, მაგრამ იქ რომ გადავიდეთ საცხოვრებლად, ის დახმარებაც მოგვეხსნება, რომელსაც ახლა ვიღებთ. ამიტომ ვფიქრობ, თუ სოფელში წავალ, მეურნეობას გავაკეთებ, თხებსა და ძროხებს მოვაშენებ, რომლის საშუალებაც ამჟამად არ მაქვს და მინდა მივმართო ბიზნესმენებს: დამეხმარონ, ფული არ მინდა, თხები და ძროხები მიყიდონ და მერე მე მივხედავ ოჯახს»**

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

**P.S.** ვისაც ბატონი ვეფხვია ღვალაძის მრავალშვილიანი ოჯახის დახმარება გსურთ, დაუკავშირდით ნომერზე — 558 111 873

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელოვნებას ეროვნება არ აქვს. რუსული ხელოვნება მსოფლიოს მონაპოვრად მიმაჩნია, ისევე, როგორც ევროპული და ქართული. საქართველოსა და რუსეთს შორის უთანხმოება არ ნიშნავს, რომ რუსული კულტურა და ხელოვნება არ ვაღიაროთ“**

# «საააკაშვილმა ინტელიგენცია გამოაინდაურა»

**უნდა აისახოს თუ არა ხელოვნებაში პოლიტიკურ-სოციალური თემები, მით უმეტეს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი პერიოდის, როდესაც ქვეყანაში განუკითხაობა იყო, ამ ყველაფერზე ვინმემ რამე შექმნა? სად არიან მომღერლები, რეჟისორები, მსახიობები, მწერლები, რომლებმაც ეს ყველაფერი ისტორიას უნდა შემოუნახონ? „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ხელოვანი ადამიანები ხშირად აპროტესტებდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, დღეს რა ხდება, ყველაფერი რიგზეა და გასაპროტესტებელი არაფერია? — ამ თემებზე გვესაუბრება პოეტი თემურ ჩალაბაშვილი.**



## «ქართულ ოცნებას» ურჩევნია, გონს მოეგოს, სანამ «ნაციონალური მოძრაობის» ბედს გაიზიარებს»

**— ბატონო თემურ, მართებულად მიგაჩნიათ ხელოვანი ადამიანების პოლიტიკაში ჩართვა?**

— ხელოვანი ადამიანის პოლიტიკაში ჩართვა სასურველი არ არის, მაგრამ, როცა ქვეყანას ისე გაუჭირდება, როგორც უჭირს საქართველოს, ამას შეიძლება გამართლება მოუძებნო. ხელოვანმა სამშობლოზე უნდა იზრუნოს და, ეს ზრუნვა თუ პოლიტიკაში წასვლით გამოიხატება, მისაღებია. ადამიანი პოლიტიკაში თუ მიდის, ეროვნული სული უნდა ჰქონდეს. როდესაც ქვეყანას გაუჭირდება, ყველამ, რითაც შეგვიძლია, იმით უნდა ვუშველოთ.

**— ჩვენ გვახსოვს „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი პერიოდი, მედიასაშუალებებით ხშირად ვკითხულობდით, ვუსმენდით ხელოვანი ადამიანების პროტესტს, დღეს რა ხდება — სად არიან ხელოვანები, ყველაფერი კარგადაა ქვეყანაში და გასაპროტესტებელი არაფერია?**

— ხელოვანი ადამიანები იმხანადაც და ახლაც აპროტესტებენ ბევრ რამეს. მე, პირადად, მთელი ათი წელი ვაპროტესტებდი. ცხრაწლიანი რეჟიმის დაბრუნებისგან კი ღმერთმა დაგვიფაროს, **„ნაციონალური მოძრაობა“ დიდი ხნის წინათ მოკვდა; პოლიტიკური გვამები კი, როგორც წესი, არ ცოცხლდებიან,** მაგრამ არც ამ ხელისუფლებას ვუკრავ ტაშს, „ქართულ ოცნებასაც“ ბევრი ნაკლი აქვს. პოლიტიკოსს მაშინ აქვს ძალა, როცა ხალხი მიჰყვება და მოსახლეობაში მათ სიტყვას ფასი აქვს.

**— საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაძაბულია. ხელოვან ადამიანებს, რომლებიც რუსეთში კონცერტებს მართავენ, ფილმებს იღებენ, სპექტაკლებს დგამენ, პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ, საზოგადოების ნაწილი ქვეყნის მოღალატეებს უწოდებს, როგორია თქვენი თვალსაზრისი ამ საკითხზე?**

— **ხელოვნებას ეროვნება არ აქვს. რუსული ხელოვნება მსოფლიო მონაპოვრად მიმაჩნია, ისევე, როგორც ევროპული და ქართული. საქართველოსა და რუსეთს შორის უთანხმოება არ ნიშნავს იმას, რომ რუსული კულტურა და ხელოვნება არ ვაღიაროთ, დიახ, უნდა ჩავიდეთ და ჩვენი პროტესტი ჩვენი საქმით გადმოვცეთ. უნდა შეგვეძლოს ხელოვნებისა და პოლიტიკის ერთმანეთისგან გარჩევა.**

**— ჩვენი სასიქადულო მწერლები სამშობლოსადმი სიყვარულსა და წუხილს ლექსებსა და მოთხრობებში გამოხატავდნენ. დღეს თუ იწერება სამშობლოზე ლექსები, მოთხრობები, სიმღერები?**

— დიახ, იწერება ლექსებიც, მოთხრობებიც... დღესაც იწერება და ყოველთვის იწერებოდა. უბრალოდ, ახლა არაფერი ჩანს და ძალიან რთულია ამათ ხელში რაიმეს გამოჩენა. მთავრობამ არ იცის, რომ ხელოვნების გარეშე ქვეყანა ფონს ვერ გავა.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ „ინდაურით რომ მოისყიდი, ის კაცი ინტელიგენტი არ არისო“. ვის გულისხმობდით?**

— დიახ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ინდაურები ჩამოურიგა ინტელიგენციას, ინდაურით გააჩუმეს ის ხალხი, **სააკაშვილმა გამოაინდაურა ინტელიგენცია.** კონკრეტულად არავის ვგულისხმობდი, ხალხი დამშეული იყო და „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ ისარგებლა ამით. სამწუხაროდ, ხშირად ეშლებათ ხელოვანებს.

**— რას ურჩევთ ამჟამინდელ ხელისუფლებას?**

— ვურჩევ, ცოტა გონივრულად მოიქცნენ, მიხედონ ხალხს, ხალხის გულისთქმას დაუკვირდნენ. ყველა ხელისუფლება ხალხის არჩეულია და ხალხივე გადააგდებს, მაგრამ ხელისუფლების შეცვლა-შემოცვლა ბევრის არაფრის მომტანია. ეგებ ის შეცდომები, რომლებიც ამ ხელისუფლებამ დაუშვა, აღარ განმეორდეს. **„ქართულ ოცნებას“ ურჩევნია, გონს მოეგოს, სანამ „ნაციონალური მოძრაობის“ ბედს გაიზიარებს.** პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ იმას, რაც დღეს ხდება, ბევრი ანალიზი არ სჭირდება, დღეს საშველი არაფერი გვაქვს, მაგრამ არც ისეა ყველაფერი, როგორც უნდა იყოს.

ესაუბრა **ნანა ფოფხაძე**

# «სახელმწიფოს სათავეში მოსვლის დღიდანვე, იმ ავბედით სავარძელში ჩაჯდომისთანავე, ყველა საკუთარი ცხოვრების მოწყობას ცდილობს»



**შორეულ არგენტინაში მცხოვრები 57 წლის გელა გელაშვილი პროფესიონალი მუსიკოსია — არტისტი, მუშაობს სიმებიან კვარტეტში, აგრეთვე, კამერულ და სიმფონიურ ორკესტრებში. ასწავლის არგენტინის ხელოვნების უნივერსიტეტში. ამჟამად ცხოვრობს ქალაქ ხენერალ-როკაში, რიო-ნეგროს პროვინციაში.**



გელა გელაშვილი მეუღლესთან — ნინო ცქიტიშვილთან ერთად

— არგენტინაში საკონტრაქტო მიწვევით წავედი, სიმებიანი კვარტეტის შექმნის მიზნით. არასდროს მიფიქრია, საქართველოდან სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლა თუ მომიწევდა, კონტრაქტზე დათანხმებაც დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე. აქ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ: მეუღლე — **ნინო ცქიტიშვილი** კლასიკური საბალეტო დასის აკომპანიატორად მუშაობს; შვილი — სოფიკო, რომელიც არგენტინის ხელოვნების უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, ესპანური ცეკვისა და ფლამენკოს სპეციალობით, დასის სოლისტია და აქვე ასწავლის. პარალელურად დაამთავრა ნაციონალური უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. მყავს შვილიშვილი ლუსია, მისი სახელი ქართულად ითარგმნება, როგორც ნათია. ის თავისი დეიდის სეხნიაა, რომელიც, სამწუხაროდ, აქ 2002 წელს გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო. 2008 წელს მთელი ოჯახი დავბრუნდით საქართველოში, მაგრამ სამსახური ვერსად ვიპოვე და არგენტინაში დაბრუნება მომიწია, სადაც კვლავ სიამოვნებით მიგვიღეს. საქართველოდან წამოსვლამდე ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრში ვმუშაობდი, აგრეთვე, — რადიო-ტელევიზიის ორკესტრსა და კონსერვატორიის საოპერო სტუდიაში, მიწვევით — ოპერის თეატრშიც, მაგრამ ვერც ერთ ძველ სამუშაო ადგილას ვერ მოვახერხე მუშაობის დაწყება. მივხვდი, რომ უკვე „ძველი“ ვიყავი და არავის ვჭირდებოდი...

**— არგენტინაში ბევრნი ხართ ქართველები?**

— არგენტინაში, ძირითადად, დიდი ხნის წინათ წამოსული ქართველები ცხოვრობენ — **ფაღავები, ჭეიშვილები, პატარქალიშვილები**. თუმცა არიან შედარებით ახალჩამოსული ოჯახებიც. ქალაქ მენდოსასა და სალტაში ცხოვრობენ ქართველები, რომლებიც ჩემი დიდი ხნის მეგობრები და კოლეგები არიან საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრიდან — **თემო ქებაძე** და **ზურა ჭრიკიშვილი** ოჯახებით. როკაში ცხოვრობს **ვიტალი ბუჯიაშვილის** ოჯახი. ერთხელ სამსახურიდან შინ დაღლილი დავბრუნდი და, როდესაც მეუღლემ კარი გამიღო, დიდ ოთახში, მაგიდასთან მჯდომი საშუალო ასაკის ულვაშიანი მამაკაცი შევამჩნიე, რომელიც ალალი ღიმილით მიყურებდა და გამომცდელი თვალებით მეუბნებოდა, თუ მიხვდები, სადაური ვარო? ის ბატონი **გურამ პატარქალიშვილი** აღმოჩნდა, ბუენოს-აირესელი ბიზნესმენი, უაღრესად კეთილი, ყურადღებიანი, უკელთილშობილესი პიროვნება, რომლის მსგავსიც იშვიათად შემხვედრია. შეუტყვია, რომ ჩვენს პატარა ქალაქში ქართველები ცხოვრობენო და მოგვაგნო, რათა ჩაგვხუტებოდა. ჩვენი დიდი მეგობრობა, საუბედუროდ, უკურნებელმა სენმა შეწყვიტა. მისი დამსახურებით მქონდა პატივი, გამეცნო ბუენოს-აირესში მცხოვრები ქართველები — **პაპავები, ჭეიშვილები** და სხვა ბევრი ჭეშმარიტი მამულიშვილი.

**— ბატონო გელა, თუ ინტერესდებით საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით?**

— მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოსგან მოშორებით ვცხოვრობ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალს ყოველთვის ვადევნებ, სხვანაირად წარმოუდგენელია. ინტერნეტით ვუყურებ სატელევიზიო გადაცემებს და საქმის კურსში ვარ. ერთი ნათლად ჩანს: **ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე, იმ ავბედით სავარძელში ჩაჯდომისთანავე, ყველა საკუთარი ცხოვრების მოწყობას ცდილობს. სამწუხაროდ, საქართველოში იშვიათად თუ გვყოლია ხელისუფალი, რომელიც სახელოვან ადამიანად შემორჩენია ისტორიას.**

**— რას ფიქრობთ „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიან რეჟიმზე? თქვენ თუ მოგიწიათ მაგ პერიოდში საქართველოში ყოფნა...**

— **საოცარი ხალხი ვართ ქართველები, სადაც მოთმინება და ნებისყოფის გამოვლენა, ცივი გონებით მართვა გვჭირდება, იქ ბომბივით ვფეთქდებით, ხოლო, სადაც თავიდანვე თუ არა, მეორე ან მესამე წელს მაინც უნდა გამოგვეტანა დასკვნები, ცხრა წელიწადი ვითმინეთ და, რაც მოვიმკეთ, ყველამ კარგად ვიცით.** დადგა დრო, საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ.

**— როგორი ხალხი არიან არგენტინელები, თუ იციან, სად არის საქართველო, რას ამბობენ ქართველებზე?**

— არგენტინელები შესანიშნავი ხალხია. სადაც კი დავდივართ გასტროლებზე, მაქსიმალურად ვაცნობთ ხალხს საქართველოს, არა მხოლოდ ქართული მუსიკით, არამედ ტრადიციებით და ა.შ. ერთხელ კონცერტი გვქონდა არგენტინის სამხრეთში მდებარე მენავთობეების ქალაქ კომოდორორივადავიაში. საშინელი სიცივე იყო, დარბაზი არ თბებოდა, ფაქტობრივად, თითებგაყინულებმა დავუკარით, ერთადერთი, რამაც გაგვათბო, იყო ფრაზა, ქართულად წარმოთქმული: გმადლობთ, შვილებო, ბრწყინვალე კონცერტისა და დიდი სითბოსთვის! — ეს იყო ქართველი ქალბატონის — **ცისანა მაჭარაშვილის სიტყვები.** იქ, ქვეყნის დასალიერში, ნამდვილად არ ველოდით ჩვენს სისხლსა და ხორცთან ჩახუტებას...

**— როგორია თქვენი სამომავლო პროფესიული გეგმები...**

— სამომავლო პროფესიული გეგმები ძირითადად უცვლელი რჩება, ვასწავლი და განვაგრძობ პროფესიულ მოღვაწეობას, ეს არის ჩემი საქმე, რომელსაც მივუძღვენი ჩემი ცხოვრება და ბედნიერი ვარ ამით, ვაკეთებ იმას, რაც სულით ხორცამდე მიყვარს. საქართველოში შეძლებისდაგვარად ჩამოვდივარ, ახლა უკვე საპენსიო ასაკს ვუახლოვდები და, როგორც კი მივაღწევ, უფლის წყალობით, ალბათ, გაცილებით მეტი ხნით ჩამოვალ ხოლმე. საერთოდ კი, ალბათ, ვერა, რადგან უკვე აქაც მყავს ჩემი შვილის ოჯახი და მათთან განშორება იოლი არ იქნება.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოცულობითი აფეთქების საავიაციო ბომბი (არაოფიციალურად — ვაკუუმური ბომბი), ანუ „ყველა ბომბის მამა“, რომელსაც ეს სახელი რუსებმა ამერიკული ვაკუუმური ბომბის — GBU-43/B-ს სახელის —„ყველა ბომბის დედა“— ანალოგიურად დაარქვეს, ყველაზე მძლავრ არაბირთვულ საბრძოლო მასალად ითვლება. ამერიკულ ანალოგთან შედარებით რუსული ბომბი წონით ნაკლებია, მაგრამ ნანოტექნოლოგიების გამოყენებით 4-ჯერ მძლავრია — შეუძლია 2-ჯერ მეტი ფართობი დააზიანოს, ვიდრე ამერიკულ „ყველა ბომბის დედას“.**

# რუსეთის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა ტერორისტების წინააღმდეგ ვაკუუმური ბომბები გამოიყენეს



**„რუსეთის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა დაბომბეს პოზიციები სირიული „ელიტური“ დაჯგუფებისა, რომლის წევრებსაც ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებთან“ საბრძოლველად ამზადებენ ამერიკელები და ბრიტანელები“, — იუწყებოდა რამდენიმე კვირის წინათ Daily Telegraph-ი.**



რუსული ვაკუუმური ბომბი



1 აგვისტოს კი რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს ქალაქ იდლიბიდან 33 კმ-ის დაშორებით, მაარეთ-ელ-ნუმანში განლაგებული თავისუფალი სირიის არმიის „მე-13 დივიზიის“ პოზიციები. ავიადარტყმების შედეგად ჯიჰადისტების ბაზა აღიგავა პირისაგან მიწისა. გავრცელებული ინფორმაციით, რუსებმა მოცულობითი (ვაკუუმური) აფეთქების საბრძოლო მასალები გამოიყენეს.

თავისუფალი სირიის არმიის „მე-13 დივიზია“ ე.წ. ზომიერ ამბოხებულებს მიეკუთვნება, მაგრამ მისი მებრძოლები „ან-ნუსრას“ ექსტრემისტებთან ერთად გაერთიანებულნი არიან კოალიცია „ფათჰ ჰალებში“, რომელიც სირიის სამთავრობო ძალების წინააღმდეგ იბრძვის ალყაშემორტყმულ ალეპოში. ამ სამხედრო ქვედანაყოფებს მფარველობს და იარაღით ამარაგებს აშშ.

აღსანიშნავია, რომ რფ-ის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა ჯიჰადისტების წინააღმდეგ ადრეც გამოიყენეს მოცულობითი აფეთქების საბრძოლო მასალები — თერმობარული ბომბებით გაანადგურეს „ისლამური სახელმწიფოს“ ავტოკოლონა და ბაზა კაფრ ჰამრის რაიონში.

### რა არის მოცულობითი აფეთქების ბომბი

მოცულობითი აფეთქების საავიაციო ბომბი (არაოფიციალურად — ვაკუუმური ბომბი), ანუ „ყველა ბომბის მამა“, რომელსაც ეს სახელი რუსებმა ამერიკული ვაკუუმური ბომბის — GBU-43/B-ს საახელის — „ყველა ბომბის დედა“ — ანალოგიურად დაარქვეს, ყველაზე მძლავრ არაბირთვულ საბრძოლო მასალად ითვლება.




ამერიკული ვაკუუმური ბომბი

ამერიკულ ანალოგთან შედარებით რუსული ბომბი წონით ნაკლებია, მაგრამ ნანოტექნოლოგიების გამოყენებით 4-ჯერ მძლავრია — შეუძლია 2-ჯერ მეტი ფართობი დააზიანოს, ვიდრე ამერიკულ „ყველა ბომბის დედას“.

ამ ბომბის წონა 7100 კგ-ია, აფეთქების სიმძლავრე — ტროტილის ეკვივალენტში — 44 ტ (ამერიკული ბომბის მაჩვენებელი 11 ტონაა). დაზიანების ფართობის რადიუსი 300 მ-ს შეადგენს (ამერიკულის — 150 მ-ს)

# სირიაში ამერიკელთა საიდუმლო ბაზა აღმოაჩინეს

**რუსმა სამხედროებმა სირიის ჩრდილოეთში, ქურთებით დასახლებულ რაიონ ქობანიში, სირია-საფრანგეთის ცემენტის ქარხანა „ლაფარჟის“ ტერიტორიაზე ამერიკული სპეცდანიშნულების რაზმის ბაზა აღმოაჩინეს. კადრებზე კარგად ჩანს აშშ-ის შეიარაღებული ძალების 2 სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენი, 2 სადესანტო კონვერტოპლანი (თვითმფრინავი — ვერტმფრენი) და ერთი მოიერიშე ვერტმფრენი.**

## აშშ-ის სპეცრაზმის საიდუმლო ბაზა ქობანიში






V-22 OSPREY



AH-64 APACHE

ვერტმფრენები და კონვერტოპლანი ამერიკელთა ბაზაზე ალეპოში

* **AH-64 APACHE** — აშშ-ის არმიის ძირითადი ვერტმფრენი 1980-იანი წლებიდან.
* **BLACK HAWK** („შავი ქარი“) — ამერიკული მრავალფუნქციური ვერტმფრენი, რომლის დანიშნულებაა სპეციალური ოპერაციების შესრულება.
* **V-22 OSPREY** — ამერიკული კონვერტოპლანი, რომელშიც გაერთიანებულია ვერტმფრენისა და თვითმფრინავის საუკეთესო თვისებები. შეიძლება 24-დან 32-მდე მედესანტის გადაყვანა.
* **CHINOOK** — „ბოინგი“ CH-47 („ჩინუკი“) — ამერიკული მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო ვერტმფრენი.

ქარხანა, რომელიც „ისლამურ სახელმწიფოსთან“ თანამშრომლობს

ცნობილია, რომ სირიის ცემენტის ქარხანა „ჯალაბია“ ყველაზე თანამედროვე და დიდია ახლო აღმოსავლეთში, შედის ჰოლდინგ „ლაფარჟის“ შემადგენლობაში, რომელიც ფრანგული „ლაფარჟისა“ და შვეიცარიული „ჰოლსიმის“ გაერთიანების შემდეგ მსოფლიოს ლიდერია ცემენტის წარმოებაში“.

„ლაფარჟმა“ სირიული ცემენტის ქარხანა 2007 წელს შეისყიდა, როცა მშენებლობა დასრულებული არ იყო. სირიელი ბიზნესმენი **ფირას თლასი**, რომელიც ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს, „ლაფარჟის“ პარტნიორია სირიაში.

ცოტა ხნის წინათ საფრანგეთში გახმაურდა ინფორმაცია კომპანია „ლაფარჟისა“ და ყველაზე სისხლიანი დაჯგუფების თანამშრომლობის შესახებ.

„ისლამური სახელმწიფოს“ შეტევების შემდეგ ჰოლდინგ „ლაფარჟის“ ხელმძღვანელობა ამ ორგანიზაციასთან ელექტრონულ მიმოწერას აწარმოებდა. ეს გრძელდებოდა 2014 წლამდე.

თავის წერილებში „ლაფარჟის“ ხელმძღვანელობა ითხოვდა მუშაობის გაგრძელებას, სანაცვლოდ კი ტერორისტებს სხვადასხვა პრეფერენციას სთავაზობდა. ამას გარდა, „ლაფარჟის“ დირექტორებმა რამდენჯერმე გამართეს მოლაპარაკება ტერორისტებთან. ეს ყველაფერი გრძელდებოდა 2014 წლის 19 სექტემბრამდე, ვიდრე „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ხელში ჩაიგდებდნენ ცემენტის ქარხანას. მას შემდეგ ქარხანა გაჩერებულია. 2015 წლის თებერვალში კი ტერიტორიაზე კონტროლი დაამყარეს ქურთების სამხედრო ქვედანაყოფებმა.

ადრე ადგილობრივები ამბობდნენ და ახლა ზუსტად არის ცნობილი, რომ ამ **ფრანგული კომპანიის ცემენტის ქარხნის ტერიტორიას სამხედრო ბაზად იყენებდნენ ქურთი და უცხოელი სამხედროები — ამერიკელები, ფრანგები, ინგლისელები და სხვ. ფრანგული მედიის ცნობით, აღნიშნული სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს კომპანია „ლაფარჟმა“ ოფიციალურად დართო ნება, თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზა მოეწყო.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**გერმანელ გადასახადის გადამხდელთა ფულით დაფინანსებული სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში სულ უფრო ხშირად ჩანს სოდომისტური პორნოგრაფია. ასე აჩვევენ გერმანიის მოსახლეობას გარყვნილებას. ბევრი სპეციალისტი ამას მორგში მუშაობას ადარებს — მიცვალებულს ყოველდღე ხედავ და უკვე რეაქცია აღარ გაქვს.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## როგორ აყალიბებენ გერმანელებს სოდომისტებად და გარყვნილებად

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...



**ტელეარხ ZDF-ის კამერის წინ სოდომისტები აჩვენებენ სხვადასხვა ინტიმურ ხერხსა და მეთოდს. ამ ბაკქანალიას კი შეაფასებს დანიელი ფსიქოლოგი ან-მარლენ ჰენინგი, რომელიც ამბობს, რომ ასეთ გადაცემებზე ახალგაზრდების დიდი მოთხოვნაა.**

მსგავსი გადაცემები წლიდან წლამდე იხვეწება და გერმანელ გადასახადის გადამხდელთა ფულით დაფინანსებული სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში სულ უფრო ხშირად ჩანს სოდომისტური პორნოგრაფია. ასე აჩვევენ გერმანიის მოსახლეობას გარყვნილებას. ბევრი სპეციალისტი ამას მორგში მუშაობას ადარებს — მიცვალებულს ყოველდღე ხედავ და უკვე რეაქცია აღარ გაქვს.

მაგრამ, მორგისგან განსხვავებით, ამ სოდომისტურ გადაცემაში არავინ კვდება. ყველა ბედნიერია! აი, ეს არის ნეოლიბერალთა საზოგადოების ცხოვრების საზრისი: გააკეთე ყველაფერი, რაც მოგესურვება, ოღონდ ძალადობის გარეშე და კანონის ფარგლებში.

**გერმანელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ჰომოსექსუალიზმი მამაკაცებში, ყველაფერთან ერთად, აგრესიას აცხრობს. მუსლიმანთა ოჯახების ახალგაზრდა მამაკაცები ბოლო ხანს ძალიან აგრესიულად იქცევიან — ძალადობენ ქალებზე და ზოგჯერ ქუჩაში გამვლელებსაც კლავენ... ხომ შეიძლება, რომ ასეთი გადაცემებით არაბული სამყაროს წარმომადგენლები უფრო კეთილი გახდნენ? — ვარაუდობენ გერმანელი პროპაგანდისტები**

გერმანელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ჰომოსექსუალიზმი მამაკაცებში, ყველაფერთან ერთად, აცხრობს აგრესიას. მუსლიმანთა ოჯახების ახალგაზრდა მამაკაცები ბოლო ხანს ძალიან აგრესიულად იქცევიან — ძალადობენ ქალებზე და ზოგჯერ ქუჩაში გამვლელებსაც კლავენ... ხომ შეიძლება, რომ ასეთი გადაცემებით არაბული სამყაროს წარმომადგენლები უფრო კეთილი გახდნენ? — ვარაუდობენ გერმანელი პროპაგანდისტები. **„სიყვარული გადაარჩენს მსოფლიოს! უფრო მომთმენი უნდა ვიყოთ ერთმანეთის მიმართ!“** — ამბობენ ეს გიჟი პროპაგანდისტები, რომლებიც არად აგდებენ ქრისტიანულ მორალსა და სწავლებას.



# ლუდი შარდისგან

**ბელგიელმა მეცნიერებმა შექმნეს მზის სხივების ენერგიაზე მომუშავე მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია სასმელ წყლად გარდაქმნას... შარდი. მათ უკვე გამოსცადეს თავიანთი გამოგონება ბელგიის ქალაქ გენტში გამართულ 10-დღიან მუსიკალურ-თეატრალურ ფესტივალზე.**

ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა და მეცნიერებმა შარდისგან მიიღეს ათასი ტონა წყალი, რომელსაც ახლა ბელგიური ლუდის დასამზადებლად გამოიყენებენ. ისინი შარდს ატარებენ მემბრანიან დისტილატორში, რომელიც ამონიუმის 95 პროცენტს ანადგურებს. სითხეს აგროვებენ დიდ რეზერვუარში და აცხელებენ მზის ენერგიაზე მომუშავე ბოილერის მეშვეობით. შემდეგ ადუღებული ურინა გაივლის მემბრანას და გამოიყოფა წყალი, აგრეთვე, სასარგებლო ბიოლოგიური ნივთიერებები, მაგალითად, კალიუმი, რომელსაც სასუქად იყენებენ. ბელგიელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მათი გამოგონება პოპულარული იქნება ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც სასმელი წყლის დეფიციტია.



# 81 წლის მამაკაცი პორნოფილმის ყურებისას გარდაიცვალა




**საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში, ქალაქ ტულუზის სექსშოფში მისული 81 წლის მამაკაცი პორნოგრაფიული ფილმის ყურებისას გულის შეტევით გარდაიცვალა, — იუწყება ტულუზური ვებგვერდი La Depeche.**

ინციდენტი მოხდა 31 ივლისს, დღის მეორე ნახევარში, ბელფორტის რაიონში. მაღაზიის მენეჯერმა მედიკოსები გამოიძახა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მოხუცის გადარჩენა.

მომხდარს ადგილობრივ ფორუმზე ბევრი ინტერნეტმომხმარებელი გამოეხმაურა: „თუკი არსებობს სანახაობა, რომელიც აკრძალულია მცირეწლოვანებისთვის, უნდა არსებობდეს სანახაობა, რომელიც აკრძალული იქნება ხანში შესულთათვის“, — წერს ერთ-ერთი მომხმარებელი.

ფრანგების უმრავლესობამ ეს შემთხვევა შესაშურ სიკვდილად ჩათვალა: „ლამაზი სიკვდილია, — დაწერა ერთ-ერთმა, — იმაზე უკეთესი, ვიდრე მოხუცთა თავშესაფარში“.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის თებერვალში ტაივანის დედაქალაქ ტაიბეის 74 წლის მცხოვრები გარდაიცვალა იმის გამო, რომ პროთეზი გადაეყლაპა 62 წლის მეძავთან სექსის დროს.



# ჰომოსექსუალური ოლიმპიადა — რიოს ოლიმპიადაზე გეები დათვალეს

**რიო დე ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებში სექსუალური უმცირესობის 44 წარმომადგენელი მონაწილეობს.** როგორც ამბობენ, ეს რაოდენობა რეკორდულია. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაზე ლგბტ-თემის წარმომადგენელი მეტია, ვიდრე, მაგალითად, მონგოლეთის (42 სპორტსმენი) ოლიმპიური დელეგაციის წევრი. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის 44 წარმომადგენლიდან 11 მამაკაცია.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„მე, სტალინის გარდა, არავინ მყოლია ხელმძღვანელი თუ უფროსი, რომელსაც უნდა დავმორჩილებოდი. არც გენერალური შტაბი, არც თავდაცვის სამინისტრო, არც უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილეებს არავითარი შეხება არ ჰქონდათ ჩემთან სამხედრო საკითხებზე და არც ჩემი არმიის განვითარების საკითხი ეხებოდა მათ. არმიის გაძლიერებისა თუ განთავსების ადგილი ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ სტალინს და მას ვემორჩილებოდი ოფიციალური დადგენილებით. ჩემს საქმიანობაში სხვა პირის ჩარევა არ მახსენდება“.

# სტალინი და მარშალი გოლოვანოვი

## «მზად ვარ, სიმართლისთვის დავიკისრო პასუხისმგებლობა!»

დასასრული. დასაწყისი იხ. №22-29 (251-258)

### ნაწილი IX

**ფრონტზე მყოფი მარშალი გოლოვანოვი სასწრაფოდ გამოიძახეს მოსკოვში. ცუდი გზის, ავდრისა და ომის პირობებში მეტად რთული აღმოჩნდა დანიშნულ დროს დედაქალაქში ჩასვლა, მაგრამ მიზანი მაინც მიღწეული იქნა.**

სარდალი ჯერ არმიის შტაბში გამოცხადდა. გაეცნო უახლოეს მოვლენებს და თავის მოსაწესრიგებლად შინ გაეშურა. შტაბში მორიგეობდა ყველაზე დისციპლინებული და დავალების უზადო შემსრულებელი **ევგენი უსაჩევი**, რომელსაც გოლოვანოვმა დაუბარა, რომ აუცილებლად დაურეკავდნენ და ამ ზარის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინა მისთვის. გოლოვანოვს უსაჩევმა აცნობა, თქვენმა მეუღლემ იმშობიარია და გოგონა შეგეძინათო. გახარებული სარდალი ეფერებოდა არა მხოლოდ მეუღლესა და შვილებს, არამედ ახლობლებსა და ნათესავებს, რომლებიც უმალ შეიკრიბნენ ფრონტიდან ჩამოსული ახლობლის სანახავად.

უკვე სამი საათი გავიდა, მაგრამ შტაბის მორიგე სარდალს არ ურეკავდა. ცოტა ხნის შემდეგ თვითონ დაუკავშირდა უსაჩოვს, — „ნუთუ ჩემთვის აქამდე არავის დაურეკავს?“

უსაჩევმა უპასუხა, დარეკეს და, როცა შეიტყვეს, შინ წახვედით, კატეგორიულად გამაფრთხილეს, თქვენთვის არ დამერეკაო.

— როგორ შეძელი, რომ არ შემატყობინე? — განრისხდა სარდალი.

— სასტიკად გამაფრთხილეს, — გაუმეორა უსაჩევმა.

— ვის შეეძლო, გაეფრთხილებინე, რომ ჩემთვის არ დაგერეკა? — ჰკითხა გოლოვანოვმა შტაბის მორიგეს.

— ამხანაგ სტალინს, — იყო პასუხი.

„როგორც შემდეგ ამიხსნა უსაჩევმა, — იგონებს გოლოვანოვი, — სტალინს მასთან დილის 8 საათზე დაურეკავს და, როცა შეუტყვია, შინ ვიყავი წასული, მორიგე ოფიცრისთვის უკითხავს:

— თქვენი გვარი, ოფიცერო?

— უსაჩევი.

სტალინი დაინტერესებულა, რა თანამდებობაზე მუშაობდა და რა ჩინი ჰქონდა უსაჩევს. როდესაც ეს დააზუსტა, შემდეგ მიუმართავს:

— აი რა, ამხანაგო უსაჩევ! გოლოვანოვს არ დაურეკო და არ შეაწუხო, სანამ თვითონ არ დარეკავს. ბრძანების შეუსრულებლობისთვის დაკარგავ სამხედრო ჩინსა და თანამდებობას. გასაგებია, ოფიცერო?

— არის, ამხანაგო სტალინ, ყველაფერი გასაგებია!

— ნახვამდის! — და ამით საუბარიც დასრულებულა.

— ამხანაგო სარდალო, განა ამის შემდეგ შემეძლო, თქვენთვის დამერეკა?

— არა, მართალი ხარ, — უთხრა სარდალმა და ის იყო, გასასვლელად მოემზადა, რომ ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. პოსკრებიშჩევი რეკავდა — გოლოვანოვი სასწრაფოდ უნდა გამოცხადებულიყო მოლოტოვის აგარაკზე.

**გზად მიმავალი სარდალი ფიქრობდა, სტალინი, ალბათ, ჩემი დაგვიანების გამოა გაბრაზებული და მოლოტოვი თავის აგარაკზე იმიტომ მიბარებსო. ათას რამეზე ფიქრობდა სარდალი, როდესაც მოლოტოვის აგარაკის კარი შეაღო და... მასპინძლის გვერდით გულიანი ღიმილით სტალინი მიესალმა:**

— რა მოგილოცოთ — ბიჭი თუ გოგო?

— გოგონაა, ამხანაგო სტალინ. გამიკვირდა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ბავშვი შემეძინა.

— ეს, მგონი, თქვენთვის პირველი შვილი არ არის, შვილები ბევრი უნდა გყავდეთ, სამშობლოს სჭირდება. გოგონას რა დაარქვით?

— ვერონიკა, ამხანაგო სტალინ.

— ეს სადაური სახელია? — იკითხა სტალინმა.

— ვერონიკა ბერძნული სახელია და რუსულად გამარჯვებას ნიშნავს.

— ეს კარგია, ძალიან კარგი. კიდევ ერთხელ გილოცავთ!“

სტალინი დაინტერესდა ბრძოლის ველზე მიმდინარე მოვლენებით და გოლოვანოვს ჰკითხა, როგორი შთაბეჭდილება დატოვა მასზე იმ ფრონტის სარდალმა, რომელზეც იმყოფებოდა.

„ფრონტის სარდალზე ჩემი უარყოფითი შთაბეჭდილების თქმისგან თავი შევიკავე და მოვახსენე, რომ ჩემთან ერთად იყო მარშალი **ვორონოვი** და ის უკეთესად დაახასიათებს ფრონტის სარდლის საბრძოლო თვისებებს-მეთქი.

სტალინმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და ნელა წარმოთქვა:

— თავისუფალი ხართ, დღეს ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს“.

„საღამოს სტალინის აგარაკზე მივედი, — ყვება გოლოვანოვი, — მასპინძელი მარტო იყო. საუბარი კვლავ ფრონტის სარდალზე წამოიწყო:

— რაღაცნაირი, უცნაური კაცია. ბევრს გპირდება და ძალიან ცოტას აკეთებს. ომში ყველაფერი ხდება — ცუდიც და კარგიც. კაცი ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის, არ შეუძლია. ერთს ფიქრობს და სულ სხვა რამ გამოდის. ვერ გავარკვიე, რა ხდება.

აგვისტოში მასთან ფრონტის ხაზზე ვიყავი, დამახვედრა უამრავი რეპორტიორი, ფოტოგრაფი. ვკითხე, რა ხდება, რაშია საქმე-მეთქი? — სამახსოვრო სურათი უნდა გადავიღოთო. ვეუბნები, — არა, თქვენთან ჩამოვედით საქმის გასარკვევად, თქვენი საქმიანობის შესასწავლად, აიღეთ სმოლენსკი და შემდეგ, რამდენიც გინდათ, იმდენი სამახსოვრო ფოტო გადაიღეთ-მეთქი.

— ჩათვალეთ, ამხანაგო სტალინ, რომ სმოლენსკი აღებულია, — დაუფიქრებლად მიპასუხა.

— შენ კი გინდა, მაგრამ ჯერ აიღეთ! — კვლავ გავუმეორე. მან ისევ მიპასუხა: — ავიღებთ, ამხანაგო სტალინ, უეჭველად ავიღებთ“.

შენც ხომ კარგად იცი, ამხანაგო გოლოვანოვ, რომ სმოლენსკი მას არ აულია. სმოლენსკის გათავისუფლება **სოკოლოვსკის** დავავალეთ და გაათავისუფლა კიდეც... რამდენჯერ გადაიყვანეს ახეთ-იქეთ. მისგან არაფერი გამოვიდა. რატომ ვაწვალებთ ან მას, ან საკუთარ თავს, — თავისთვის ჩაილაპარაკა სტალინმა“.

გოლოვანოვი სულგანაბული უსმენდა სტალინისგან არცთუ ხშირად ნათქვამ ასეთ მონოლოგს.

**„სტალინი, ალბათ, ხვაშიადს გამოთქვამდა. ის სხვა საკითხებსაც შეეხო და შეაფასა. ვხედავდი მთავარსარდლის უტყუარ ალღოს, განვლილის შეუცდომელ ანალიზს და მომავლის ჭვრეტას. შეუძლებელია სტალინის აზროვნების სიღრმისა და სიმაღლის გაზომვა, ის უძირო და უსასრულოა“,** — ასკვნის გოლოვანოვი.

„საუბარმა დიდხანს გასტანა. სტალინთან გამოძახებას და შეხვედრას ყოველთვის კონკრეტული მიზანი ჰქონდა. ვფიქრობდი, ნუთუ ყოველივე ამის სათქმელად გამომიძახა ფრონტიდან მთავარსარდალმა?“. პაუზა დიდხანს გაგრძელდა. სტალინი გოლოვანოვს წინ გაუჩერდა, თვალებში ჩახედა და ყოველგვარი შესავლის გარეშე უთხრა:

— მივფრინავთ თეირანში, რუზველტთან და ჩერჩილთან შესახვედრად.

თავი ვერ შევიკავე და გამეღიმა. გამეღიმა იმიტომ, რომ სტალინმა თეირანში წასვლა და რუზველტთან და ჩერჩილთან შეხვედრა ისე მსუბუქად და იუმორნარევი ხმით თქვა, რომ თითქოს ბავშვობაში მათთან იზრდებოდა და ახლა გარკვეული ხნის შემდეგ უნდა შეხვედროდა.

სტალინი ნელი ნაბიჯით მიმოდიოდა. შეჩერდა. გადმომხედა და ცნობისმოყვარედ შემეკითხა:

— რატომ იღიმით?

არაფერი მქონდა საპასუხო, თვითონაც არ ვიცოდი, რატომ ვიღიმოდი. ალბათ, როდესაც ვიხსენებ, ეს სიხარულის ღიმილი უფრო იყო.

ცოტა ხნის შემდეგ სტალინი კვლავ მომიახლოვდა და ჩუმი ხმით მითხრა:

— **ამის შესახებ არავინ უნდა იცოდეს, შენმა უახლოესმა ადამიანებმაც კი. გააკეთე ისე, რომ მფრინავები იყვნენ მზად, მაგრამ მათ არ უნდა იცოდნენ, როდის მიფრინავენ და სად. საქმე ისე მოაწყვე, რომ გამზადებული იყოს თვითმფრინავები თავისი ეკიპაჟებით როგორც ბაქოში, ისე თეირანში, მაგრამ არავინ უნდა იცოდეს, სად მიფრინავს და არც ის, ვინ მგზავრობს ამ თვითმფრინავებით.** იფიქრეთ. დრო გაქვთ. ჩვენ ხვალ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

მალე ისევ აგარაკზე გამომიძახეს, მაგრამ იქ მხოლოდ სტალინი არ დამხვედრია, მასთან ერთად **ბერიაც** იყო.

— აი ბერია გვთავაზობს, — შესვლისთანავე მომახალა სტალინმა, — ბაქოდან თეირანში ფრენა განახორციელოს მისმა შეფ-პილოტმა, რომელიც ნამყოფია თეირანში და კარგად იცის ეს საჰაერო ტრასა. თქვენ რას იტყვით?

— ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო სტალინ, მე არ ვიცი, ვინ არის ამხანაგი ბერიას შეფ-პილოტი.

— ბერია ამტკიცებს, რომ მისი შეფ-პილოტი თქვენ კარგად გიცნობთ, მითხრა სტალინმა.

— ადვილი შესაძლებელია. მე ბევრ მფრინავს ვიცნობ და მეც ბევრი მიცნობს.

— გვარი გრაჩევი გეუბნებათ რამეს? — იკითხა სტალინმა.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უარყოფის ნიშნად თავი გადავაქნიე, მაგრამ იქვე დავამატე, — შეიძლება ვიცნობ კიდეც, მაგრამ ჩემს ხელში იმდენმა მფრინავმა გაიარა, რომ გვარით შეიძლება ყველა ვერ გავიხსენო.

— ის ამბობს, რომ თქვენთან ერთად ფრენდა მონღოლეთში, — დაჟინებით თქვა სტალინმა.

— გრაჩევი, რომელიც მონღოლეთში ჩემს ეკიპაჟში იყო, მახსოვს, როგორც კარგი მფრინავი. სიმართლე გითხრათ, დიდი დრო გავიდა და მას შემდეგ თითქმის არ შევხვედრივარ, მაგრამ შთაბეჭდილება მის პროფესიონალიზმზე დღემდე შემომრჩა. ამხანაგო სტალინ, მე ვიცნობ **ვიქტორ გრაჩევს**, რომელიც ჩემი ეკიპაჟის წევრი იყო.

— და ეს სწორედ ის გრაჩევია, — განმარტა ბერიამ.

— მე ვთვლი ვიქტორ გრაჩევს კარგ მფრინავად, რომელიც ბაქოდან თეირანში უნაკლოდ გადაფრინდება, — განაცხადა გოლოვანოვმა.

— ნუ იჩქარებთ დასკვნების გაკეთებას. გრაჩევი განიხილეთ ერთ-ერთ ვარიანტად. ყოველ შემთხვევაში ფრენაზე პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად გეკისრებათ თქვენ და არა — ბერიას. როგორც თქვენ გადაწყვეტთ, ისე იქნება, — ბრძანა მთავარსარდალმა.

**გრაჩევზე მოქიებული იქნა ათასგვარი ცნობა თუ რეკომენდაცია. ბოლოს გოლოვანოვმაც დაწერა თავისი დასკვნა და საბოლოოდ სტალინის შეფ-პილოტად ბაქო-თეირანისა და თეირან-ბაქოს მარშრუტზე ვიქტორ გრაჩევი დამტკიცდა.**

**მე ჩემი ეკიპაჟით ადრე უნდა ჩავფრენილიყავი ბაქოში, რათა სტალინის ეკიპაჟი გა-** ▶



**გრაჩევზე მოქიებული იქნა ათასგვარი ცნობა თუ რეკომენდაცია. ბოლოს გოლოვანოვმაც დაწერა თავისი დასკვნა და საბოლოოდ სტალინის შეფ-პილოტად ბაქო-თეირანისა და თეირან-ბაქოს მარშრუტზე ვიქტორ გრაჩევი დამტკიცდა**



ვიქტორ გრაჩევი

**ომის მიმდინარეობისას გოლოვანოვი მუშაობდა ძალების უკიდურესი დაძაბვით — ზოგჯერ რამდენიმე დღე-ღამე არ სძინებია. ამ გოლიათის ორგანიზმმაც კი ვერ გაუძლო არაადამიანურ დატვირთვას და საავადმყოფოს საწოლზე აღმოჩნდა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოიყვანეს ყველაზე ცნობილი და გამოცდილი ექიმები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს მარშლის ფეხზე დასაყენებლად. შეძლეს კიდეც, მაგრამ გააფრთხილეს, დატვირთვების გარეშე განეგრძო ცხოვრება. მისგან კატეგორიულად მოითხოვდა ნორმირებულ მუშაობას სტალინიც, მაგრამ ომი მიმდინარეობდა და გოლოვანოვს ყველასთვის აკრძალული ჰქონდა ძალების დაზოგვაზე საუბარიც კი.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ საფრენად მომემზადებინა. ყველა სამუშაო ზესაიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა, იქ არავინ არაფერი იცოდა, ჩემ გარდა.**

დილის 4 საათი იქნებოდა, ტელეფონის ზარმა რომ გამაღვიძა. მიბრძანეს, რკინიგზის სადგურზე გავსულიყავი. სასწრაფოდ სადგურის ბაქანზე გავჩნდი. მატარებელი გაჩერებული არ იყო, რომ ერთ-ერთი ვაგონიდან ჩემი გვარი დაიძახეს. კურსი იმ ვაგონისკენ ავიღე და სალონში ავედი.

სალონში სტალინთან ერთად იყვნენ ვოროშილოვი, მოლოტოვი და ბერია. მისალმების შემდეგ სტალინმა მკითხა, — იყო თუ არა ყველაფერი რიგზე. დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ამინდზე მკითხა, ვუპასუხე, რომ ამინდი, როგორც იტყვიან, თითქოს შეკვეთილია — ტრასა ხშირად არ არის ასეთი სუფთა და ხელსაყრელი ფრენისთვის-მეთქი.

— დრო საკმარისი გვაქვს. ჩვენ თეირანში ხვალ უნდა ვიყოთ. თქვენ შეგიძლიათ ამ დილითვე გაფრინდეთ თეირანში, საღამოს კი დაბრუნდეთ. ხვალ კი ერთად ვიმგზავროთ გაკვალულ გზაზე, — მითხრა სტალინმა

სტალინის ეს რჩევა გოლოვანოვისთვის მიულებელი აღმოჩნდა:

**— ამხანაგო სტალინ, ასეთი ამინდი, ასეთ რთულ ტრასაზე იშვიათი შემთხვევაა, რატომ უნდა გავუშვათ იგი ხელიდან და გადავდოთ ხვალისთვის. საუკეთესო ამინდია, წყნარი. ეკიპაჟი მზადაა. მცირე ხანში დანიშნულების ადგილას ვიქნებით. ჩემი რჩევაა, ახლავე გავფრინდეთ.**

— ესე იგი, თქვენ გვაძალებთ, რომ საჩქაროდ გავფრინდეთ? — იკითხა სტალინმა.

— დიახ, ამხანაგო სტალინ, ნამდვილად გაჩქარებთ.

— იცით, რომ მხოლოდ და მხოლოდ თქვენ აგებთ პასუხს ამ მგზავრობაზე?

— დიახ, ვიცი, ამხანაგო სტალინ, და ამიტომაც გაჩქარებთ დროულად დაიწყოთ მგზავრობა.

— რა გაეწყობა, — ცოტა ხნით შეყოვნების შემდეგ წარმოთქვა სტალინმა, — რადგან თქვენ გაკისრიათ სრული პასუხისმგებლობა ჩვენს მგზავრობაზე, უნდა დაგემორჩილოთ.

ცოტა ხნის შემდეგ ვაგონის სალონიდან პირდაპირ აეროდრომზე აღმოვჩნდით, სადაც ეკიპაჟები და თვითმფრინავები გველოდებოდნენ.

სტალინის თეირანში გაფრენის თაობაზე შეფ-მფრინავმა ვიქტორ გრაჩევმა მაშინ შეიტყო, როდესაც სტალინი აეროდრომზე მანქანიდან გადმოვიდა.

*** შენიშვნა:**

**უამრავი მასალა, რომელიც სხვადასხვა მემუარსა და მხატვრულ ლიტერატურაშია თავმოყრილი სტალინის გადაწყვეტილების თაობაზე, რომ თითქოს ის მარშალ გოლოვანოვს არ ენდობოდა და ფიქრობდა, ბაქოდან თეირანში პოლკოვნიკის თანხლებით ეფრინა, მტკნარი სიცრუეა, რადგან სტალინის შეფ-მფრინავად სწორედ გოლოვანოვმა დაამტკიცა ვიქტორ გრაჩევი, რომელმაც შეასრულა კიდეც ფრენა ბაქოდან თეირანში და უკან — თეირანიდან ბაქოში.**

ვასრულებ რა მარშალ გოლოვანოვზე თხრობას მისივე მემუარებისა და სხვა მასალების მოხმობით, დასკვნით ნაწილში უნდა მოგითხროთ გოლოვანოვის სწრაფი აღზევებისა და სტალინის სიკვდილის შემდეგ მისი ცხოვრების წესის შეცვლის თაობაზე.

**1941 წელს გოლოვანოვი სამოქალაქო ავიაციის უბრალო შეფ-მფრინავი იყო. ის საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, გენერალმა სმუშკევიჩმა აიძულა, სტალინისათვის წერილი მიეწერა ავიაციის განვითარების საკითხზე. მისივე ინიციატივით მოხდა რიგითი ოფიცრისა და მთავარსარდლის შეხვედრა. სტალინმა გოლოვანოვი 1941 წელს პოდპოლკოვნიკის ჩინით გაამწესა ავიაპოლკის მეთაურად. იმავე წლის აგვისტოში პოლკოვნიკი გახდა და საავიაციო დივიზიას ჩაუდგა სათავეში. იმავე წლის 25 ოქტომბერს გენერალ-მაიორობა მიანიჭეს, ხოლო 1942 წლის 5 მაისს — გენერალ-ლეიტენანტობა. 1943 წლის 26 მარტს გოლოვანოვი უკვე გენერალ-პოლკოვნიკია, ხოლო იმავე წლის 2 აგვისტოს — ავიაციის მარშალი. 1944 წლის 19 აგვისტოს მან ავიაციის მთავარი მარშლის მუნდირი მოირგო.**

ეს სამხედრო საქმეებში მოღვაწეობისა და წარმატების რეკორდია. გოლოვანოვის ხელში აღმოჩნდა უმძლავრესი თანამედროვე საჰაერო არმადა, 2000-მდე შორსმოქმედი ბომბდამშენითა და მათი გამცილებელი გამანადგურებლებით. **გოლოვანოვი განაგებდა 16 საავიაციო სარემონტო ქარხანას, რამდენიმე საავიაციო სასწავლებელს, სამოქალაქო ავიაციის ფლოტს, ყველა საჰაერო-სადესანტო შენაერთს, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდა სამი საჰაერო-სადესანტო კორპუსი. სწორედ ამ უმძლავრესმა ძალამ შეასრულა უდიდესი როლი მეორე მსოფლიო ომის დასკვნით ეტაპზე.**

ბუნებრივია, შეუძლებელი იყო, გოლოვანოვის წარმატებებს არ ემოქმედა სხვა მხედართმთავრებზე, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ ფრონტზე.

მარშალი გოლოვანოვი ამბობს:

**„მე, სტალინის გარდა, არავინ მყოლია ხელმძღვანელი თუ უფროსი, რომელსაც უნდა დავმორჩილებოდი. არც გენერალურ შტაბს, არც თავდაცვის სამინისტროს, არც უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილეებს არავითარი შეხება არ ჰქონდათ ჩემთან სამხედრო საკითხებზე და არც ჩემი არმიის განვითარების საკითხი ეხებოდათ მათ. არმიის გაძლიერებისა თუ განთავსების ადგილი ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ სტალინს და მას ვემორჩილებოდი ოფიციალური დადგენილებით. ჩემს საქმიანობაში სხვა პირის ჩარევა არ მახსენდება".**

საჰაერო-სადესანტო არმიის სარდლად **ჟუკოვმა** სტალინს თავისი ფრონტის შტაბის უფროსი სოკოლოვსკი წარუდგინა და მისცა კიდეც დახასიათება ამ ადგილზე დასამტკიცებლად. გოლოვანოვი სტალინთან გამოიძახეს. სტალინმა მას საჰაერო-სადესანტო არმიის სარდლად სოკოლოვსკის კანდიდატურა შესთავაზა.

**ავიაციის მთავარი მარშალი ალექსანდრე გოლოვანოვი**



1930-იანი წლები | ომის დაწყების წინ | 1960-იანი წლები

**1800-მანეთიანი პენსიის ამარა დარჩენილი გოლოვანოვი, რომელიც მოსკოვში, კუტუზოვის პროსპექტზე ყველაზე პრესტიჟულ სახლში, სტალინის ბრძანებით მიცემულ 5-ოთახიან ბინაში, ცხოვრობდა, ყოველთვიურად 500 მანეთს იხდიდა ბინის ქირასა და კომუნალურ გადასახადებში, ხოლო 500 მანეთს სიდუხჭირეში მყოფ მშობლებსა და დას უგზავნიდა. 800 მანეთის ამარა დარჩენილი დიდი ოჯახი იძულებული შეიქნა, მიეტოვებინა ფეშენებლური საცხოვრებელი და აგარაკზე გადასულიყო. 1 ჰექტარი მიწის ნახევარზე მარშალს თავისი ხელით მოჰყავდა კარტოფილი, ნახევარზე კი — სხვადასხვა კულტურა. ჰყავდათ ორი ძროხა, რომლებსაც მისი ულამაზესი მეუღლე უვლიდა, ამოყავდა ყველი, ამზადებდა კარაქს და ოჯახს თავი ასე გაჰქონდა**

**გოლოვანოვი შეურაცხყოფილი დარჩა, მისთვის დაქვემდებარებული არმიის სარდლის კანდიდატურა ჟუკოვმა რომ წარადგინა და სოკოლოვსკის დანიშვნაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, სტალინს თავისი კანდიდატი წარუდგინა — გენერალ-მაიორი ივანე ზატევახინი და მისი საგმირო საქმეების შესახებ მოახსენა.**

1944 წლის 27 სექტემბერს სტალინმა თავისთან დაიბარა გოლოვანოვი და ზატევახინი და იმ შეხვედრაზე გადაწყდა არმიის სარდლის დანიშვნის საკითხიც. 4 ოქტომბერს ზატევახინი არმიის სარდლად დაინიშნა, ერთი თვის შემდეგ კი მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს.

**ომის მიმდინარეობისას გოლოვანოვი მუშაობდა ძალების უკიდურესი დაძაბვით — ზოგჯერ რამდენიმე დღე-ღამე არ სძინებია. ამ გოლიათის ორგანიზმმაც კი ვერ გაუძლო არაადამიანურ დატვირთვას და საავადმყოფოს საწოლზე აღმოჩნდა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოიყვანეს ყველაზე ცნობილი და გამოცდილი ექიმები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს მარშლის ფეხზე დასაყენებლად. შეძლეს კიდეც, მაგრამ გააფრთხილეს, დატვირთვების გარეშე განეგრძო ცხოვრება. მისგან კატეგორიულად მოითხოვდა ნორმირებულ მუშაობას სტალინიც, მაგრამ ომი მიმდინარეობდა და გოლოვანოვს ყველასთვის აკრძალული ჰქონდა ძალების დაზოგვაზე საუბარიც კი.**

უძილობამ, არასწორმა კვების რეჟიმმა და დაძაბულობამ კვლავ იჩინა თავი და 1944 წლის 6 ნოემბერს გოლოვანოვი კვლავ ჩავარდა ლოგინად. თვითონაც მიხვდა, რომ მის ორგანიზმს მეტი აღარ შეეძლო, იმაშიც ეჭვი ეპარებოდა, ოდესმე თუ წამოდგებოდა საწოლიდან.

**თავმოყვარეობით სავსემ, სამშობლოს ერთგულმა და პატრიოტმა სარდალმა, სტალინს ჯერ თხოვნა გაუგზავნა ჰოსპიტლიდან, შემდეგ კი — პატაკი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე, რათა გიგანტურ საავიაციო გაერთიანებას საფრთხე არ დამუქრებოდა მისი ხანგრძლივი მკურნალობის პერიოდში.**

სტალინმა ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, შორსმოქმედი ავიაცია გარდაექმნა მეთვრამეტე არმიად, რომელიც დაექვემდებარებოდა სამხედრო ავიაციას და ამით პასუხისმგებლობა მოეხსნებოდა დამოუკიდებელი არმიის სარდალს, ხოლო ამ არმიის სარდლობა კვლავ გოლოვანოვს დაავალა. საწოლზე მიჯაჭვულ გოლოვანოვს ტელეფონის ყურმილი ყურთან მიუტანეს. სტალინმა ის კვლავ მამაშვილურად დაარიგა:

**„უსაქმოდ და უსამხრეებოდ დიდხანს ვერ გაძლებ, არმიას კიდევ სჭირდები. მალე გამოჯანმრთელდებით და ნორმალურ რეჟიმში უხელმძღვანელებთ არმიას".** აეროფლოტი გადაეცა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს. ასე დაიშალა უამრავ შემადგენელ ნაწილად საწოლზე მიჯაჭვული მარშალ გოლოვანოვის მიერ ერთ მუჭად შეკრული უძლიერესი ძალა, რომელიც შიშის ზარს სცემდა ფაშისტ ოკუპანტებს. ასეთი დიდი ძალის დამოუკიდებელ ერთეულად მოქმედება ისეთი საიმედო და ახლობელი ადამიანის გარეშე, როგორც გოლოვანოვი იყო, სტალინისთვის, ალბათ, მიუღებელი აღმოჩნდა.

1944 წლის 23 ნოემბერს სტალინმა ხელი მოაწერა ბრძანება №0379-ს, რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა ძლევამოსილი წითელი არმიის ისტორიაში. იქმნებოდა სრულიად ახალი ვერტიკალი სამხედრო სფეროში, რომელიც შეეხო ყველას — მარშლიდან ოფიცრამდე.

სტალინის სიკვდილისთანავე, 1953 წელს, გოლოვანოვი ლავრენტი ბერიამ მიიწვია თავის განსაკუთრებულ კომიტეტში სამუშაოდ, მაგრამ ბერიას წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის შემდეგ, დაუყონებლივ გაათავისუფლეს და ბეწვზე გადაურჩა დაპატიმრებას.

**1800-მანეთიანი პენსიის ამარა დარჩენილი გოლოვანოვი, რომელიც მოსკოვში, კუტუზოვის პროსპექტზე ყველაზე პრესტიჟულ სახლში, სტალინის ბრძანებით მიცემულ 5-ოთახიან ბინაში, ცხოვრობდა, ყოველთვიურად 500 მანეთს იხდიდა ბინის ქირასა და კომუნალურ გადასახადებში, ხოლო 500 მანეთს სიდუხჭირეში მყოფ მშობლებსა და დას უგზავნიდა. 800 მანეთის ამარა დარჩენილი დიდი ოჯახი იძულებული შეიქნა, მიეტოვებინა ფეშენებლური საცხოვრებელი და აგარაკზე გადასულიყო. 1 ჰექტარი მიწის ნახევარზე მარშალს თავისი ხელით მოჰყავდა კარტოფილი, ნახევარზე კი — სხვადასხვა კულტურა. ჰყავდათ ორი ძროხა, რომლებსაც მისი ულამაზესი მეუღლე უვლიდა, ამოყავდა ყველი, ამზადებდა კარაქს და ოჯახს თავი ასე გაჰქონდა.**

გოლოვანოვი ხშირად იხსენებდა სტალინის სიტყვებს. გადაბრუნებულ ვედროზე ჩამომჯდარ მარშალს ჩამავალი მზის სხივებით განათებულ საკარტოფილე ნაკვეთში თითქოს ჩურჩულით ჩაესმოდა:

**„ისინი ფიქრობენ, რომ ძალაუფლება თაფლია, — მსჯელობდა სტალინი. არა, როცა ძალაუფლება გაქვს, შეუძლებელია, ვინმე გიყვარდეს — აი, რა არის ძალაუფლება. ადამიანმა შეიძლება განვლოს მთელი ცხოვრება ისე, რომ არავინ უყვარდეს. ის ამით ხდება უბედური, რადგანაც იცის, რომ არ აქვს უფლება, ვინმე უყვარდეს.**

**თუ გაქვს ძალაუფლება, არ გაქვს სიყვარულის უფლება. იმიტომ, რომ ვერც კი ასწრებ ვინმეს შეყვარებას, ისე უცხადებ მას ნდობას, მაგრამ, ადრე თუ გვიან, მისგან ზურგში მახვილს მიიღებ. დიახ, დიახ, მე ეს ვიცი... წყეული ცხოვრება. ადამიანის წყეული ბუნება! კარგი იქნებოდა, შესაძლებელი იყოს, გიყვარდეს და არ ენდობოდე, მაგრამ ეს შეუძლებელია. თუკი გიწევს, მოსპო ის, ვინც გიყვარს, სამართლიანობა მოითხოვს, ასევე მოექცე მათ, ვინც არ გიყვარს — საქმის მტრებს".**

— დიახ, საქმე, — გაიფიქრა გოლოვანოვმა, — რა თქმა უნდა, საქმე, ყველაფერი კეთდება საქმისთვის...

მზე ნელ-ნელა იკარგებოდა ჰორიზონტს მიღმა, არემარეს ბინდი ეფარებოდა, ცაზე კი ერთი ვარსკვლავი გამორჩეულად კაშკაშებდა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპელთათვის ერთადერთი შესაძლებლობა, თავიდან აიცილონ ატომური მესამე მსოფლიო ომის გაჩაღება, განაგრძონ ცხოვრება და დატკბნენ იმით, რაც დარჩა მათი კულტურისგან, იმით, რის განადგურებაც ამერიკელებმა ვერ მოასწრეს თავიანთი სექსის, ძალადობისა და სიხარბის კულტურით, – არის ის, რომ მიბაძონ ბრიტანელებს და დატოვონ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შექმნილი ევროკავშირი. აგრეთვე, გამოვიდნენ ნატოდან, რომლის არსებობის აუცილებლობა სსრკ-ის დაშლის შემდეგ აღარ არსებობს და რომელიც დღეს მსოფლიოზე ვაშინგტონის ჰეგემონიის ინსტრუმენტად იქცა.**

# ამერიკის ევროპული შტატები ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ შექმნა

## «ევროკავშირი და ნატო კორუფცირებული სტრუქტურებია. ისინი აშშ-ის ძვირად ღირებული მეძავები არიან»

**მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპა დაპყრობილ იქნა, ოღონდ არა ბერლინის, არამედ ვაშინგტონის მიერ. ეს, რა თქმა უნდა, სწრაფად არ მომხდარა. ვაშინგტონმა, რომელსაც ეშინოდა სტალინის წითელი არმიის, ევროპა „მარშალის გეგმის“ რეალიზაციის შედეგად დაიპყრო. იმხანად აშშ-მა ევროპის ქვეყნებს თავს მოახვია გადაწყვეტილება, მიეღოთ მისი მფარველობა და თავიანთი სამხედრო ძალები ნატოსთვის დაექვემდებარებინათ. ეს, აგრეთვე, იყო მსოფლიოს სარეზერვო ვალუტად, ბრიტანული გირვანქა სტერლინგის ნაცვლად, დოლარის დაწესების შედეგი. ეს იყო ევროპის ცალკეული ქვეყნების დამორჩილებისა და ევროკავშირში გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი, რომელიც წარიმართა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვოს სამმართველოს ინიციატივით, რათა ერთი უპასუხისმგებლო და მმართველი მთავრობის მეშვეობით უზრუნველეყო კონტროლი სრულიად ევროპაზე.**

იშვიათი გამონაკლისის გარდა, რომელიც მხოლოდ დიდი ბრიტანეთია, ევროკავშირის წევრობა ფინანსური დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს. როდესაც ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ევროკავშირის ფინანსურმა ინსტიტუტმა, ევრო შექმნა, ქვეყნები ისეთი არაშორსმჭვრეტელნი აღმოჩნდნენ, რომ ეს ვალუტა თავიანთ ტერიტორიაზეც დააკანონეს და ამით დაკარგეს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საკუთარი წყაროები.

ევროს მიერთებულები ახლა მხოლოდ კერძო ბანკების იმედით არიან დეფიციტის დასაფინანსებლად. შედეგად, **მას, ვისაც დიდი ვალი აქვს, უკვე აღარ შეუძლია ამ ვალის გადახდა, ფულის დაბეჭდვა; ისინი არიან ლოდინის რეჟიმში, რომ ვალს ჩამოაწერენ. შედეგად საბერძნეთი, პორტუგალია, ლატვია და ირლანდია გაძარცვულნი აღმოჩნდნენ კერძო ბანკების მიერ.**

**ამ ქვეყნების ფსევდომთავრობები ევროკავშირმა აიძულა, ვალები გადაეხადათ ჩრდილოევროპული კერძო ბანკებისთვის და ეს მოხდა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებისა და სახელმწიფო აქტივების უმნიშვნელო ფასად პრივატიზაციის ხარჯზე.**

ასე შემცირდა პენსიები, სახელმწიფო სექტორში დაკავებულთა რაოდენობა, მომსახურება განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, ფული კი გადაირიცხა კერძო ბანკებში. **ახლა პრივატიზებულია წყალმომარაგების მუნიციპალური კომპანიები, შედაგად მოიმატა წყლის ტარიფმა და ა.შ.**

**ევროკავშირში შესვლა არ ითვალისწინებს ჯილდოს, მხოლოდ სასჯელს.** მაშ, რატომ გადადგეს ეს ნაბიჯი მთავრობებმა, მიუხედავად თავიანთი ხალხების ერთმნიშვნელოვანი პოზიციისა?

საქმე ის არის, რომ მათ ვაშინგტონმა არჩევანი არ დაუტოვა. **ევროპელების მიერ ევროკავშირის დაარსება მითია. ევროკავშირს ვაშინგტონი აკონტროლებს. რამდენიმე წლის წინათ გამომზეურებული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დოკუმენტები ამტკიცებს, რომ ევროკავშირი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინიციატივაა.**

1970-იან წლებში ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელმა, მოგვიანებით ვაშინგტონის მაღალჩინოსანმა, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებს აკონტროლებდა, საზღვარგარეთ საიდუმლო ოპერაციის ჩატარება მთხოვა. მე ვიუარე. მიუხედავად ამისა, მან მაინც უპასუხა ჩემს კითხვას **როგორ აიძულებს ვაშინგტონი სხვა ქვეყნებს, გააკეთონ ის, რაც მისთვის საჭიროა?**

**„საქმე ფულშია, მიპასუხა მან, ჩვენ უამრავ ფულს ვაძლევთ ევროპელ ლიდერებს. ისინი ჩვენი ერთგულები არიან“.**

**აშკარაა, რომ ევროკავშირი აშშ-ის ინტერესებს ემსახურება და არა ევროპის. მაგალითად, საფრანგეთის მოსახლეობა და მთავრობაც გენმოდიფიცირებული ორგანიზმის წინააღმდეგ გამოდიან, მაგრამ ევროკავშირმა დაუშვა „პროფილაქტიკური სარეგისტრაციო მოწმობა“ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების დანერგვის შესახებ, ალბათ, კომპანია „მონსანტოს“ მეცნიერების „სამეცნიერო აღმოჩენების“ იმედით.**

როდესაც აშშ-ის ვერმონტის შტატში მიიღეს კანონი, რომელიც ითხოვდა გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით დამზადებული პროდუქტების შესაბამის მარკირებას, „მონსანტომ“ ვერმონტის შტატს სასამართლოში უჩივლა.

**ერთ დღესაც ევროკავშირის მაღალჩინოსნები, რომლებსაც ამერიკელები ფულს უხდიან, ხელს მოაწერენ ამერიკული გლობალური კორპორაციების მიერ შედგენილ ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის ხელშეკრულებას და „მონსანტო“ დაეპატრონება ევროპის სოფლის მეურნეობას.**

ვაშინგტონი ევროკავშირს იყენებს იმისთვის, რომ ევროპის ქვეყნები დაუპირისპიროს რუსეთს — მძლავრ ატომბირთვულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია, რამდენიმე წუთში გაანადგუროს არა მხოლოდ ევროპა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებიც.

ასე იმიტომ ხდება, რომ **ევროპის მოსყიდული ლიდერები მოკლევადიან პერსპექტივაში უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი ვაშინგტონის ფულით, ვიდრე გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპელთა ცხოვრების დონის ამაღლებით.**

ევროპელი პოლიტიკოსები ისეთი გონებაჩლუნგები არ არიან, რომ დაიჯერონ: რუსეთი უკრაინას დაესხა თავს და ნებისმიერ მომენტში იმავეს ჩაიდენს პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც; ან პუტინი ეს არის საბჭოთა იმპერიის აღდგენაზე მეოცნებე „ახალი ჰიტლერი“.




**ვაშინგტონი ევროკავშირს იყენებს იმისთვის, რომ ევროპის ქვეყნები დაუპირისპიროს რუსეთს — მძლავრ ატომბირთვულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია, რამდენიმე წუთში გაანადგუროს არა მხოლოდ ევროპა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებიც. ასე იმიტომ ხდება, რომ ევროპის მოსყიდული ლიდერები მოკლევადიან პერსპექტივაში უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი ვაშინგტონის ფულით, ვიდრე გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპელთა ცხოვრების დონის ამაღლებით**



**ეს უაზრო ბრალდებები, ვაშინგტონის პროპაგანდის ნაყოფი, მოკლებულია ჭეშმარიტებას. ის სრულიად გამჭვირვალეა და იდიოტიც კი არ დაიჯერებს. ამის მიუხედავად, ევროკავშირი თუთიყუშივით იმეორებს, ისევე, როგორც ნატო. რატომ? პასუხი ვაშინგტონის ფულში იმალება. ევროკავშირი და ნატო კორუფცირებული სტრუქტურებია, ისინი ვაშინგტონის ძვირად ღირებული მეძავები არიან.**

ევროპელთათვის ერთადერთი შესაძლებლობა, თავიდან აიცილონ ატომური მესამე მსოფლიო ომის გაჩაღება, განაგრძონ ცხოვრება და დატკბნენ იმით, რაც დარჩა მათი კულტურისგან, იმით, რის განადგურებაც ამერიკელებმა ვერ მოასწრეს თავიანთი სექსის, ძალადობისა და სიხარბის კულტურით, ეს არის მიბაძონ ბრიტანელებს და დატოვონ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შექმნილი ევროკავშირი. აგრეთვე, გამოვიდნენ ნატოდან, რომლის არსებობის აუცილებლობა სსრკ-ის დაშლის შემდეგ აღარ არსებობს და რომელიც დღეს მსოფლიოზე ვაშინგტონის ჰეგემონიის ინსტრუმენტად იქცა.

რატომ არიან მზად ევროპელები, სიცოცხლე გაწირონ მსოფლიოზე ვაშინგტონის ბატონობისთვის? ეს ხომ მათზე ბატონობასაც ნიშნავს? რატომ უჭერენ მხარს ვაშინგტონს მაშინაც კი, როცა მისი მაღალჩინოსნები, ისეთები, როგორც არის **ვიქტორია ნულანდი**, ამბობენ: „ეშმაკსაც წაუღია ევროკავშირი, „ევროკავშირის დედაც…“ („Fuck the EU“)?

ევროპა ძალიან ზარალობს იმ სანქციების გამო, რომელთა დაწესებაც რუსეთსა და ირანის მიმართ მათმა მბრძანებელმა ვაშინგტონმა აიძულა. **რატომ სურთ ევროპელებს, რუსეთთან ომში განადგურდნენ? ნუთუ სურთ, დაიღუპონ? ნუთუ გაამერიკელდნენ და აღარ აფასებენ თავიანთ ისტორიულ მემკვიდრეობას, მხატვრულ და არქიტექტურულ შედევრებს, ლიტერატურულ და მუსიკალურ მიღწევებს, რომლებიც მათ ქვეყნებშია დაცული?**

მართლაც, არ აქვს მნიშვნელობა, რას ფიქრობენ ევროპელები, რადგან **ევროპის მთავრობები ევროპელთა სურვილის საწინააღმდეგოდ შექმნა ვაშინგტონმა.**

**ევროკავშირის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მხოლოდ ვაშინგტონის ფულის წინაშე. მათ, ვინც კანონებს ქმნის, ხელფასს ვაშინგტონი უხდის, ევროპის ყველა ხალხი ვაშინგტონის მონაა.**

თუ ევროპელები კვლავაც განაგრძობენ მიამიტების, უზრუნველებისა და ბრიყვების როლის თამაშს, ისინი მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად განწირულნი იქნებიან, მაგრამ, თუ ისინი გონს მოვლენ, გამოვლენ მატრიციდან, რომელშიც ვაშინგტონმა ჩასვა; თუ იბრძოლებენ ვაშინგტონის კონტროლს დაქვემდებარებული აგენტების წინააღმდეგ, მაშინ თავსაც გადაირჩენენ და სხვებსაც.

**პოლ კრეიგ რობერტსი**

**Pravda.ru**

**უკრაინის უშიშროების სამსახური, რომელსაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები ხელმძღვანელობენ, გესტაპოს მსგავს ორგანიზაციად გადაიქცა. ათასობით ადამიანი სასამართლოს ვერდიქტის გარეშეა გამომწყვდეული ციხეებში, ასეულობით კი — უგზო-უკვლოდაა დაკარგული.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პაიეტის მემკვიდრეობა. THE UKRAINE ახალი მმართველის მოლოდინში

**აშშ-ის ელჩი უკრაინაში ჯეფრი პაიეტი, რომლის გარეშეც კიევში არც ერთი სერიოზული პრობლემა არ წყდებოდა, უკრაინაში სამი წლის მუშაობის შემდეგ თავის მისიას ასრულებს.**

პროექტ The Ukraine-ს არაფორმალური ხელმძღვანელის კისერზეა: **სახელმწიფო გადატრიალების მომზადება; ხელისუფლების სათავეში ნაკლებად პოპულარული პოლიტიკოსის, მაგრამ წარმატებული ბიზნესმენის — პოროშენკოს მოყვანა; დონბასში სამხედრო ავანტიურის ორგანიზება; უკრაინის მრეწველობისა და მეცნიერების მაღალტექნოლოგიური დარგების განადგურებაში აქტიური მონაწილეობა.**

ორი წლის განმავლობაში ქვეყანა გადაიქცა სამხედრო ბანაკად, რომელიც იარაღს აჟღარუნებს რუსეთის წინააღმდეგ. უკრაინის მასობრივი დეზინფორმაციის უკლებლივ ყველა საშუალებაში რუსეთი მოიხსენიება, როგორც „მტერი", „აგრესორი", „ოკუპანტი".

**ხელისუფლების ბევრ საკვანძო პოსტზე დანიშნულნი არიან უკრაინელები — ცოტა ხნის წინათ ამერიკული ფირმების ხელმძღვანელები. ზოგიერთი კი აშშ-ის მოქალაქეა ან, უბრალოდ, სააკაშვილის მსგავსი გასტროლიორ-აფერისტი.** აშშ-ის ახალგამომცხვარი ტერიტორიის იდეოლოგიად იქცა ინტეგრალური ნაციონალიზმი, გმირების რანგში არიან აყვანილნი ბოროტმოქმედები. პაიეტს დაქვემდებარებული ტერიტორიის საინფორმაციო სააგენტოების ცნობები დახუნძლულია „რუსი აგენტების", „სეპარატისტებისა" და „ტერორისტების" მხილების ახალ-ახალი სიუჟეტებით.

**უკრაინის უშიშროების სამსახური, რომელსაც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები ხელმძღვანელობენ, გესტაპოს მსგავს ორგანიზაციად გადაიქცა.**

ათასობით ადამიანი სასამართლოს ვერდიქტის გარეშეა გამომწყვდეული ციხეებში, ასეულობით კი — უგზო-უკვლოდაა დაკარგული.

დაპატიმრების მორიგ ტურში მოხვდა პარტია „რეგიონების" საპარლამენტო ფრაქციის ყოფილი ხელმძღვანელი **ალექსანდრე ეფრემოვი**, რომელმაც სოციალურ ქსელში გაავრცელა მოწოდება დონბასში მშვიდობის დამყარების შესახებ. თვით **ნადეჟდა სავჩენკოც** კი აღმოჩნდა შერისხულთა სიაში, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის მოლაშქრეებთან დიალოგის გამართვის მცდელობის გამო.

პაიეტი რამდენიმე დღის წინათ პირადად ეახლა პოროშენკოს ოფიციალურად დასამშვიდობებლად. კიევში ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყოთ: ჩვეულებრივ, **პაიეტთან აუდიენციაზე თვითონ პოროშენკო დარბოდა ხოლმე, როცა მის მიღებაზე თანხმობას განაცხადებდა აშშ-ის ელჩი.**

უკრაინის დედაქალაქში ყოფნის ბოლო დღეებში პაიეტი შეეცადა, ჭკუა დაერიგებინა უკრაინის ხელისუფლებისთვის:

„ეს არ არის გაყინული კონფლიქტი, თუკი ერთ მშვენიერ დღეს კლავენ 2 ადამიანს, შემდეგ — სამს. პირიქით — უსაფრთხოება უარესდება... რუსეთი შორს არის მინსკის შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან", — განაცხადა ჯეფრი პაიეტმა ავსტრიულ გაზეთ Der Standard-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. **თითქოს არ იცოდა ამ დიპლომატმა, რომ რუსეთი საერთოდ არ არის მინსკის შეთანხმებაში მხარე, და რომ ადამიანებს უკრაინის შეიარაღებული ძალებისა და სადამსჯელო ბატალიონების წარმომადგენლები ხოცავენ.**

ამ დღეებში პაიეტი „ნეზალეჟნაიას" თავდაცვის მინისტრ **პოლტარაკსაც** ესაუბრა. პოლტარაკმა განუცხადა: „უკრაინის შეიარაღებულ ძალებს ყველაზე დიდ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატები უწევს და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს პირადად თქვენი დამსახურებაა". პაიეტი, თავის მხრივ, დაჰპირდა, რომ „უკრაინა მარტო არ დარჩება მტრის პირისპირ: აშშ განაგრძობს შეურიგებლობის პოლიტიკას რუსეთის აგრესიის მიმართ და მხარს დაუჭერს უკრაინას სხვადასხვა დონეზე".

სინამდვილეში, პაიეტის მისია უკრაინაში ჩაფლავებულად უნდა ჩაითვალოს. უკრაინის დანიშნული (მათ შორის, პაიეტის მითითებით) ქურდბაცაცა ბელადები ერთმანეთში ვერ მორიგებულან და არცხვენენ სახელმწიფოს, რომელმაც მათი მეურვეობა დაიკისრა. დროდადრო გახმაურდება ხოლმე კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალები, მიმდინარეობს ჯერ კიდევ სრულად გაუძარცვავი სახელმწიფო ქონების გაყოფა — ამ პროცესების წინაშე პაიეტი უძლური აღმოჩნდა, ამიტომაც ტოვებს კიევს.

**აშშ-ის საელჩო დიდხანს უტრიალებდა უკრაინის გენერალურ პროკურატურას, ცდილობდა, იქ სასურველი კაცი დაესვა,** მაგრამ მხოლოდ წელს შეძლეს ამერიკელებმა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე პირველი „ნარინჯისფერი მაიდნის" საველე მეთაურის — **იური ლუცენკოს** გაყვანა. ეს არის კაცი, რომელიც მსჯავრდებული იყო კორუფციის გამო, რომელმაც სახელი გაითქვა უცხოეთში დებოშის ატეხვით, კერძოდ, გერმანელ პოლიციელებთან დაპირისპირებით ფრანკფურტის აეროპორტში, მაგრამ ამას აშშ-ის ელჩ ჯეფრი პაიეტისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მან საჯაროდ განაცხადა, რომ უკრაინაში აშკარაა პროგრესი კორუფციასთან ბრძოლაში და იქვე შეაქო „ლუცენკოს პრინციპულობა" უკრაინის პარლამენტის დეპუტატის — **ალექსანდრე ონიშჩენკოს** წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გამო.

**„ახალ გენპროკურორს ჩვენთან კარგი კავშირი აქვს, — ამბობს პაიეტი, — აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ექსპროკურორი მის მრჩევლად მუშაობს, — ეს პრეზიდენტმა პოროშენკომ გვთხოვა. ლუცენკოს ოფისში, აგრეთვე, მუშაობენ ევროკავშირის ყოფილი მაღალჩინოსნები. უკრაინელი საზოგადოება ახლა უფრო აქტიურად ებრძვის კორუფციას, ვიდრე ოდესმე".**

და უცებ ჰორიზონტზე გამოჩნდა **ნათან როზენბერგი**, იგივე **ედუარდ სტავიცკი** — უკრაინის საწვავისა და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, რომელზეც ძებნაა გამოცხადებული. მან მოისურვა, ინტერვიუ მიეცა ერთ-ერთი სკანდალური უკრაინული ინტერნეტგამოცემისთვის და რეპორტიორები ისრაელში მიიწვია. **სტავიცკი-როზენბერგის მიერ გახმაურებული ფაქტები ნათელს ფენს უკრაინის ერთ-ერთი მდიდარი დეპუტატის — ალექსანდრე ონიშჩენკოს ისტორიას.**

ონიშჩენკო, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ძებნა იყო გამოცხადებული, დაუბრკოლებლად გაფრინდა კიევიდან დიდ ბრიტანეთში. სტავიცკი-როზენბერგის მიერ მოყვანილი ფაქტები სრულიად აბათილებს პაიეტის მიერ „კორუფციასთან მებრძოლი" უკრაინელებისა და მათი ამერიკელი მეურვეებისადმი გამოთქმულ ქება-დიდებას.

სტავიცკი ხელმძღვანელობდა უკრაინის ეკონომიკის ყველაზე კორუფცირებულ დარგს, რომლიდანაც მილიარდებს აღნობდა ბევრი, მათ შორის, ონიშენკოც. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სტავიცკი კიევში დარჩა — იმედოვნებდა, რომ „ახლებს" მოელაპარაკებოდა, სწორედ ამაზე ისაუბრა ინტერვიუში: „თებერვლის ბოლო დღეებში (2014 წლის — რედ.) მშვიდად ვიყავი კიევში... საქმეები **პროდანს** (იური პროდანი — უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი 2014 წელს — რედ.) გადავაბარე... თუ გახსოვთ, იმ პერიოდში ქაოსი იყო... იმ დღეებში ვესაუბრე **ტურჩინოვს** (უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი. — რედ.). მან მითხრა, რომ „ჩვენ სახელმწიფო მოხელეები ვართ და ყველა სხვა საკითხები შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ". **ერთი თვის შემდეგ ტურჩინოვის მითითებით, სტავიცკის სახლსა და ოფისში გამომძიებლები შევიდნენ და 42 კგ ოქრო, 4,8 მლნ დოლარი და რამდენიმე მლნ დოლარად ღირებული ძვირფასეულობა იპოვეს.** ამის შემდეგ ყოფილი მინისტრი სასწრაფოდ გაემგზავრა ისრაელში და იქ ნათან როზენბერგად იქცა. „არ ვმალავ, რომ ჩემი სახელია ნათანი, გვარი — როზენბერგი. აგრეთვე, არ ვმალავ, რომ მე ვარ ედუარდ სტავიცკი. ეს გამოგონილი სახელია", — განუცხადა გაოგნებულ ჟურნალისტებს რესპონდენტმა.

შემდეგ კი განაცხადა, რომ მასთან ისრაელში ჩავიდნენ პოროშენკოსა და ტურჩინოვის მალემსრბოლები და „საკითხების მოგვარება" შესთავაზეს; ასახელებდნენ თანხას 50 ათასიდან რამდენიმე მილიონამდე და... არანაირი კორუფცია. სწორედ აქ დაიწყო ლაპარაკი ონიშჩენკოს საქმეზე, სტავიცკი-როზენბერგის ყოფილ მრჩეველზე:

**„— რას ფიქრობთ ონიშჩენკოზე? უკრაინის გენპროკურატურა ონიშჩენკოს ადანაშაულებს კრიმინალური დაჯგუფების შექმნაში, რომელიც ფულს ქაჩავდა სახელმწიფო კომპანია „უკრგაზვიდობუვანიადან" და 1,6 მლრდ გრივნის დატაცებაში. ონიშჩენკო თვლის, რომ ეს მისთვის ბიზნესის წართმევისა და ამერიკელებისთვის გადაცემის მცდელობაა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ჩემი აზრით, ონიშჩენკოსგან ქმნიან რაღაც ურჩხულს. ზოგჯერ წინასწარმეტყველურ სიზმრებს ვნახულობ ხოლმე — დამესიზმრა, რომ ერთმა მეწარმემ, ინვესტორმა, რომელიც ონიშჩენკოს ჰგავდა, დაიწყო ხვრელების ძებნა თავისი მოგების მოსამატებლად. სად უნდა წახვიდე, თუ ამის გაკეთება გინდა? სიზმარში ვნახე, რომ ინვესტორი ყველაზე მაღალ კაბინეტში შევიდა, იქ ბევრი პიროვნება დახვდა და მოილაპარაკა უბრალო საკითხებზე.

— **დაასახელეთ „ყველაზე მაღალი კაბინეტის" მფლობელი.**

— ალბათ, ბანკის... ჩემს სიზმარში ამას ჰქვია „ვერ გაიყვეს". ონიშჩენკოს მფარველები რომ არ ჰყოლოდა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, გამომძიებლები ქვეყნიდან არ გაუშვებდნენ.

— **რა ვერ უნდა გაეყოთ?**

— რა თქმა უნდა, ფული. იქ მილიარდებია მითითებული. ალბათ, ვიღაცას დააკლდა. საქმე სერიოზულია. აუცილებლად გამჟღავნდება, რაც ხდება ბუნებრივი აირის საქმის გარშემო. სიზმარში ვნახე, რომ ყველა მაღალჩინოსანი და ძლიერნი ამა ქვეყნისა სერიოზულად დაზარალდნენ, გამჟღავნდება ამ საქმეში მათი მონაწილეობის ფაქტები. ონიშჩენკოს საქმე ნიქსონის დონის სკანდალია".

აი ასე! როგორც ამბობენ, კომენტარი ზედმეტია. თუმცა, ეს ყველაფერი წლების წინათ აღწერა **ო. ჰენრიმ** მოთხრობაში „მეფეები და კომბოსტო". მის მიერ გამოგონილი ქვეყანა ანჩურია ძალიან ჰგავს The Ukraine-ს, რომელშიც ახალი ამერიკელი მმართველი უნდა ჩავიდეს.



პაიეტი და მარი იოვანოვიჩი

**«კოლჩუგას» სკანდალის ინიციატორი იოვანოვიჩი არ ყოფილა. ეს სკანდალი სხვებმა ააგორეს, მაგრამ ივანოვიჩის სამუშაო «კოლჩუგას» საქმეში მნიშვნელოვანი უბანი იყო ლეონიდ კუჩმას დისკრედიტაციის სპეცოპერაციაში. ეს იყო აგური «ნარინჯისფერი რევოლუციის» შენობის კედელში. მოგვიანებით გაირკვა და ოფიციალურადაც გაცხადდა, რომ ინფორმაცია ერაყისთვის რადარების კომპლექს «კოლჩუგას» მიყიდვის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, მაგრამ ეს უკვე აღარავის აინტერესებდა**

ჯეფრი პაიეტს შეცვლის **მარი იოვანოვიჩი**, რუსეთიდან ემიგრირებული ოჯახის შვილი, პრინსტონის უნივერსიტეტისა და ნაციონალური სამხედრო კოლეჯის კურსდამთავრებული. ის უკვე მუშაობდა აშშ-ის ელჩის მოადგილედ უკრაინაში 2000-იანი წლების დასაწყისში. სახელი გაითქვა იმით, რომ პირველმა წამოწია საკითხი ერაყისთვის დაწესებული სანქციების უკრაინის მიერ დარღვევის შესახებ, — სადამ ჰუსეინს რადიოსალოკაციო სისტემა „კოლჩუგას" პარტია მიჰყიდესო. იოვანოვიჩი აქტიურად იყო ჩართული „ღონღაძის საქმეშიც", დაუფარავად ემუქრებოდა უკრაინის იმჟამინდელ პრეზიდენტ **კუჩმას**. კიეველი ჟურნალისტი **ვიაჩესლავ პიხოვშეკი**, რომელიც კუჩმასთან დაახლოებული პირია, ამბობს: „ღონღაძისა" და „კოლჩუგას" საქმეების გარშემო სკანდალი იოვანოვიჩს არ აუგორებია — ის საგარეო პოლიტიკური თამაშის რიგითი მონაწილე იყო ვაშინგტონისა, რომელიც „ნარინჯისფერ რევოლუციას" ამზადებდა. „კოლჩუგას" სკანდალის ინიციატორი იოვანოვიჩი არ ყოფილა. ეს სკანდალი სხვებმა ააგორეს, მაგრამ ივანოვიჩის სამუშაო „კოლჩუგას" საქმეში მნიშვნელოვანი უბანი იყო ლეონიდ კუჩმას დისკრედიტაციის სპეცოპერაციაში. ეს იყო აგური „ნარინჯისფერი რევოლუციის" შენობის კედელში.

მოგვიანებით გაირკვა და ოფიციალურადაც გაცხადდა, რომ ინფორმაცია ერაყისთვის რადარების კომპლექს „კოლჩუგას" მიყიდვის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

მაგრამ ეს უკვე აღარავის აინტერესებდა.

**დმიტრი არტემიევი**
**Fondsk.ru**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკადრო კრიზისი დიდი ბრიტანეთის სასკოლო განათლების მწვავე პრობლემად იქცა. ექსპერტთა თქმით, კონსერვატორების მთავრობის არაშორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ საშუალო განათლების ხარისხის მკვეთრი დაცემა გამოიწვია, ამასთანავე, საზოგადოებაში შეიმჩნევა მასწავლებლის პროფესიის მარგინალიზაციის ტენდენცია.**

# რა იმალება ბრენდ «ბრიტანული განათლების» ფასადს მიღმა

**ბრიტანულმა განათლებამ, წლებია, მსოფლიოს ბრენდის წოდება მოიხვეჭა, მაგრამ, როგორც ბრიტანელი დამკვირვებლები აღნიშნავენ, დღეს უკვე თვალსაჩინოა უკიდურესად საგანგაშო ნეგატიური ტენდენციები, რომლებიც ბრიტანული განათლების სისტემაში ჩამოყალიბდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, თუ ეს საგანგაშო სიგნალები უნივერსიტეტებში მხოლოდ სპეციალისტებისთვის არის შესამჩნევი, ზოგადად საგანმანათლებო სკოლებში უკვე ნაციონალური მასშტაბის კატასტროფაა.**



მკაცრმა საბიუჯეტო პოლიტიკამ, რომელსაც, ბოლო წლებია, კონსერვატიული მთავრობა აწარმოებს, გამოიწვია ის, რომ მისი თვალთახედვის არედან ამოვარდა მასწავლებლის პროფესიაზე მზარდი მოთხოვნის ფაქტორი, რომელიც გამოწვეული იყო ბოლო წლებში იმიგრაციისა და შობადობის დონის მკვეთრი მატებით. შედეგად, **საკადრო კრიზისი დიდი ბრიტანეთის სასკოლო განათლების მწვავე პრობლემად იქცა. ექსპერტთა თქმით, კონსერვატორების მთავრობის არაშორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ საშუალო განათლების ხარისხის მკვეთრი დაცემა გამოიწვია, ამასთანავე, საზოგადოებაში შეიმჩნევა მასწავლებლის პროფესიის მარგინალიზაციის ტენდენცია.**

ნაციონალური სააუდიტორო ბიუროს დასკვნით, განათლების სამინისტრო ვერ წყვეტს პრაქტიკანტი მასწავლებლების საჭირო რაოდენობის მოგროვების ამოცანას. **პირობებში, როდესაც მასწავლებლობის მსურველი პრაქტიკულად არ არსებობს, სკოლები იძულებულნი არიან, შეამცირონ პროფესიული მოთხოვნები პედაგოგების მიმართ. შედეგად, სკოლების 78%-ში საკვანძო საგნებს (მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინგლისური ენა) ასწავლიან პირები, რომლებსაც შესაბამისი სპეციალური მომზადება არ აქვთ. სკოლების 70%-ს დროებით ჰყავს დაქირავებული ძვირად ღირებული პერსონალი, 50%-ში საკლასო ოთახებში დასაშვებზე (30 ბავშვი) მეტი მოსწავლე მეცადინეობს.**

სკოლებისა და კოლეჯების დირექტორთა ასოციაციის მონაცემებით, **პროფესიონალი პედაგოგების დეფიციტმა სასწავლო დაწესებულებების 84%-ში განათლების ხარისხის დაქვეითება გამოიწვია**. ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო 6 წლის განმავლობაში მზარდი დატვირთვის ფონზე განუხრელად მცირდებოდა მასწავლებელთა ანაზღაურება.

2016-2017 წლებში კი განათლების სისტემისთვის გამოყოფილი თანხა უპრეცენდენტოდ მცირე იქნება. **საშუალო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტი დაკავშირებულია უნივერსიტეტებთან, რომლებშიც პედაგოგიურ ფაკულტეტებს აუქმებენ არარენტაბელურობის გამო. ამით ზარალდებიან საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც, როგორც წესი, არც დრო აქვთ და არც რესურსი ახალგაზრდა სპეციალისტების მოსამზადებლად, და მომავალი მასწავლებლები იძულებულნი არიან, მიიღონ უსისტემო განათლება საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში.** ექსპერტები აღნიშნავენ, რომ განათლების სახელმწიფო სისტემაში გამოცდილი მასწავლებლების დაკავება ძალიან რთული ამოცანაა, რადგან საერთოდ არ არსებობს მოტივაცია, ახალგაზრდა მასწავლებლების მხარდაჭერა (მაგალითად, დედობის შემთხვევაში). ამას გარდა, სკოლები ახლა გარდაიქმნება თვითმმართველობის მქონე აკადემიებად, რომლებშიც პედაგოგებს დამატებითი დატვირთვები აქვთ. ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ **კარგი სპეციალისტები გარბიან სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც გაცილებით მაღალი ანაზღაურება აქვთ საერთაშორისო სკოლებში.**

საუნივერსიტეტო განათლება ნაკლებად ხელმისაწვდომი ფუფუნებაა ბრიტანულ სკოლადამთავრებულთათვის. არადა, დიდი ბრიტანეთის თანამედროვე შრომის ბაზარზე დიდია უმაღლესი განათლების მუშაკებზე მოთხოვნა. არადა, **ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების მასშტაბურად დანერგვის გამო, არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, არამედ სრულიად მსოფლიოში უმაღლესი განათლების მქონე პირებზე მოთხოვნა მხოლოდ მოიმატებს.** ამიტომ ექსპერტები სრულიად ლოგიკურად წინასწარმეტყველებენ პრობლემების წარმოქმნას დიდი ბრიტანეთის შრომის ბაზარზე. ამასთანავე, ისინი შეშფოთებით აღნიშნავენ, რომ ბრიტანეთში უნივერსიტეტის რაოდენობის მატების ფონზე კატასტროფულად ეცემა სწავლების ხარისხი ამ სასწავლებლებში.

**რაოდენობა ყოველთვის არ იძლევა ხარისხის გარანტიას: უმრავლესობა ახალგახსნილი „უნივერსიტეტებისა" მოქმედებს საბაზრო კანონებით და სტუდენტებს, უბრალოდ, სთავაზობენ პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას, ოღონდ უფრო ძვირად ღირებული შეფუთვით და ნებისმიერი სახის დიპლომით.**

ბრიტანელი ექსპერტები მიუთითებენ კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემაზე: ჰუმანიტარულ დისციპლინებს ყურადღება თითქმის არ ექცევა. 2010-2015 წლებში იმჟამინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით, ჰუმანიტარულ მიმართულებებს საერთოდ შეუწყდათ სახელმწიფო სუბსიდიები. **წამყვანი ბრიტანული უნივერსიტეტების ჰუმანიტარული მეცნიერების პედაგოგები ერთხმად ამბობენ, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია კულტურული კატასტროფა: ბრიტანელები დაკარგავენ კლასიკური განათლების აქტივებს — ერუდიციას, არასტანდარტულ შემოქმედებით აზროვნებას, რთული სოციალური და კულტურული მოვლენების გათვალისწინებისა და გაანალიზების უნარს. არადა, სწორედ განათლების ეს ასპექტი განასხვავებდა ბრიტანულ უმაღლეს სასწავლებლებს, მაგალითად, ჩინური უმაღლესი სასწავლებლებისგან, რომლებიც დღეს მსოფლიოს სარეიტინგო სიებში სწრაფად მიიწევს წამყვანი პოზიციებისკენ** და ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ STEM-ის (Science, Tecnolojy, Engineering and Matematics — საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ტექნოლოგიები, საინჟინრო საქმე და მათემატიკა) სფეროში ხარისხიანი მუშაობით.

ბრიტანულ უმაღლეს სასწავლებლებს ჯერჯერობით მაინც კარგი შედეგები აქვს მსოფლიოს სარეიტინგო სიებში, მაგრამ 2016 წელს პრესტიჟულ QS World University Rankings-ის ცხრილში მცირე ცვლილება მოხდა. ისეთ პარამეტრს, როგორიც არის „სამეცნიერო კვლევებიდან ციტირება", დაემატა ჰუმანიტარული და საზოგადოებრივ-სამეცნიერო მიმართულების მუშაობის ხარისხი. სწორედ ამ ცვლილებამ მისცა ექსპერტებს შესაძლებლობა, გამოევლინათ ნეგატიური ტენდენციები ბრიტანეთის უმაღლესი განათლების სისტემაში.

მაგალითად, კემბრიჯის უნივერსიტეტმა წამყვანი უნივერსიტეტის ლიგაში პირველი ადგილი დაკარგა, მას გადაუსწრო მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა და ჰარვარდის უნივერსიტეტმა. ლონდონის საიმპერიო კოლეჯი მე-2 ადგილიდან მე-8-ზე ჩამოქვეითდა.

ერთი პუნქტით დაქვეითდა ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის რეიტინგი. ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც სარეიტინგო სიაში 71-დან 35-ე ადგილზე გადაინაცვლა, არის ეკონომიკის ლონდონური სკოლა.

ნათელია, რომ კონსერვატული მთავრობის მიდგომების გამო ბრიტანეთი ნელ-ნელა კარგავს განათლების სფეროში „ოქროს სტანდარტის" იმიჯს და გადაწყვეტა ხელისუფლების მიერ დასახული ამბიციური ამოცანისა — ბრიტანეთის გადაქცევა მსოფლიოს ინტელექტუალურ ცენტრად, ძალიან საეჭვოა ჩინეთში, იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და სინგაპურში სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინდუსტრიის განვითარების გათვალისწინებით. ამასთანავე, განათლების ბაზარზე ბრძოლაში კვლავ ანგარიშგასაწევ ძალად რჩებიან ბრიტანელთა ევროპელი კონკურენტები — **გერმანია, საფრანგეთი და შვეიცარია**.

**ნანა იაკოვენკო**
**inosmi.ru**

**წამყვანი ბრიტანული უნივერსიტეტების ჰუმანიტარული მეცნიერების პედაგოგები ერთხმად ამბობენ, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია კულტურული კატასტროფა: ბრიტანელები დაკარგავენ კლასიკური განათლების აქტივებს — ერუდიციას, არასტანდარტულ შემოქმედებით აზროვნებას, რთული სოციალური და კულტურული მოვლენების გათვალისწინებისა და გაანალიზების უნარს. არადა, სწორედ განათლების ეს ასპექტი განასხვავებდა ბრიტანულ უმაღლეს სასწავლებლებს, მაგალითად, ჩინური უმაღლესი სასწავლებლებისგან, რომლებიც დღეს მსოფლიოს სარეიტინგო სიებში სწრაფად მიიწევს წამყვანი პოზიციებისკენ**



# პარიზისა და ბრიუსელის ტერაქტების ორგანიზატორები სოციალურ დახმარებას იღებდნენ

**„პარიზსა და ბრიუსელში მოწყობილ ტერაქტებში ეჭვმიტანილთაგან, სულ ცოტა, 52 ადამიანმა სახელმწიფოსგან სოციალური დახმარების სახით 50 ათას ევროზე მეტი მიიღო. ამ თანხით ცხოვრობდნენ ისინი საფრანგეთსა და ბელგიაში", — იუწყება The Wall Street Journal-ი.**

პარიზში ტერაქტების სავარაუდო ორგანიზატორს წარმოშობით მაროკოელ **სალაჰ აბდესლამს** უმუშევრობის გამო სოციალური დახმარება 2015 წლის 14 ნოემბერს პარიზში განხორციელებულ ტერაქტებამდე მხოლოდ სამი კვირით ადრე შეუწყდა. ამასთანავე, აბდესლამი სუბსიდიის მიღების პერიოდში იყო ბარის მმართველი და თანამფლობელიც, ასეთ შემთხვევაში კი, კანონით, დახმარება არ ეკუთვნოდა.

10 სექტემბერს დანიშნული ღონისძიების ორგანიზატორმა მონაწილეებს მოუწოდა, მკაცრად დაიცვან მუსლიმანური მორალის წესები: „ვიმედოვნებ, რომ თქვენ დაიცავთ აურატს (აურატი — სხეულის ნაწილი, რომელიც მუსლიმანებმა, ვალდებული არიან, უნდა დაიფარონ; ქალებისთვის აურატი არის მთელი სხეული, სახისა და ხელის მტევნების გარდა)“ — წერია აფიშაზე, აგრეთვე, ნათქვამია, რომ შესვლის უფლება ექნებათ მხოლოდ ქალებსა და ბავშვებს (10 წელზე უფროსი ბიჭები არ დაიშვებიან).

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# პარიზში საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი გაძარცვეს

**საუდის არაბეთის პრინცესა პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე გაძარცვეს. პრინცესამ სამართალდამცველებს განუცხადა, რომ პარიზის მეორე ოლქის ერთ-ერთ ქუჩაზე თავს დაესხა ორი მამაკაცი და ბრენდ Richard Mill-ის 1,1 მლნ დოლარად ღირებული „პრემიუმ კლასის“ საათი გასტაცა.**

პარიზში ანალოგიური ინციდენტი მოხდა 2 წლის წინათაც. 2014 წლის 18 აგვისტოს შეიარაღებულმა უცნობმა პირებმა საუდის არაბეთის პრინცს წაართვეს 250 ათასი ევრო და საელჩოს ავტომობილი, რომლითაც მგზავრობდა.



# ავღანელმა მამაკაცმა თავისი 6 წლის გოგონა საკვებსა და თხაში გაცვალა

**ავღანელმა მამაკაცმა გადაწყვიტა, თავისი 6 წლის გოგონა 55 წლის მამაკაცისთვის მიეთხოვებინა, სანაცვლოდ კი მომავალი სიძისგან თხა, მზესუმზირის ზეთი, ჩაი, შაქარი და ტომარა ბრინჯი უნდა მიეღო.** ეს საქორწინო გარიგება ჩაშალეს სამართალდამცავებმა, რომლებაც ხანში შესული სასიძო დააპატიმრეს. გოგონას მამა კი გაიქცა.

აღსანიშნავია, რომ ავღანეთში ქალს შეუძლია გათხოვდეს, როდესაც 16 წელი შეუსრულდება.



# ირანში ახალგაზრდა გეი სიკვდილით დასაჯეს

**ირანში სიკვდილით დასაჯეს 19 წლის გეი, რომელსაც ბრალი ედებოდა ახალგაზრდა მამაკაცის გაუპატიურებაში.**

**ჰასან აფშარის** სიკვდილით დასჯას ოჯახის წევრები არ დაასწრეს. საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის წარმომადგენლები ამბობენ, რომ სასამართლო პროცესზე, რომელიც 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ბრალდებულს ადვოკატის აყვანის უფლება არ მისცეს.

გამოძიების ვერსიით, ჰასან აფშარმა დანაშაული ჩაიდინა, როცა 17 წლის იყო. თვითონ აფშარი უარყოფდა დანაშაულს და ამბობდა, რომ სქესობრივი აქტი ურთიერთთანხმობით მოხდა.

ირანი 76 სახელმწიფოს შორის ერთ-ერთია, რომელშიც ჰომოსექსუალური ურთიერთობები სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. იემენში, საუდის არაბეთში, მავრიტანიაში, ნიგერიაში, სუდანსა და სომალიში, ისევე, როგორც ირანში, ჰომოსექსუალური კავშირი სიკვდილით ისჯება.

# ბურკინი-ფეშენ: მუსლიმანი ქალების ბანაობის დღის დანესების იდეამ საფრანგეთში სკანდალი გამოიწვია

**საფრანგეთში სკანდალია: ის გამოიწვია ადგილობრივი მუსლიმანური ორგანიზაცია Smile13-ის ინიციატივამ, რომელმაც გადაწყვიტა, ქალაქ მარსელის ახლოს, კერძო აკვაპარკში მოეწყო ბურკინიში (მუსლიმანური საცურაო სამოსი) გამოწყობილი ქალების ბანაობა.**



**მელისა ტივემ,** Smile13-ის ხაზინადარმა და დამფუძნებელმა, გადაწყვიტა, ლე-პენ-მირაბოს კერძო აკვაპარკ Speed water par-ში ბურკინიში გამოწყობილი ქალების ბანაობა მოეწყო.

**მიშელ აბელმა,** სენატორმა და ქალაქ ლე-პენ-მირაბოს მერმა, 4 აგვისტოს გამოსცა განკარგულება ზემოაღნიშნული ღონისძიების აკრძალვის შესახებ, რადგან ამ ღონისძიებამ „შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა გამოიწვიოს“. ამასთანავე, მერმა Smile13-ის ინიციატივას უწოდა **„პროვოკაცია, რომელიც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არ გვჭირდება“.**

10 სექტემბერს დანიშნული ღონისძიების ორგანიზატორმა მონაწილეებს მოუწოდა, მკაცრად დაიცვან მუსლიმანური მორალის წესები: „ვიმედოვნებ, რომ თქვენ დაიცავთ აურატს (აურატი — სხეულის ნაწილი, რომელიც მუსლიმანებმა, ვალდებული არიან, უნდა დაიფარონ; ქალებისთვის აურატი არის მთელი სხეული, სახისა და ხელის მტევნების გარდა)“ — წერია აფიშაზე, აგრეთვე, ნათქვამია, რომ შესვლის უფლება ექნებათ მხოლოდ ქალებსა და ბავშვებს (10 წელზე უფროსი ბიჭები არ დაიშვებიან).

„მობრძანდით, რათა შესანიშნავად გავატაროთ დღე ბავშვებთან ერთად“, — წერია აფიშაზე.

ასოციაციამ გადაწყვიტა, მთელი დღე დაექირავებინა აკვაპარკი, რისთვისაც 15 ათასი ევრო გაიღო, თუმცა იმედოვნებს, რომ თანხას ბილეთების (ბილეთის ფასი 15 ევროა) გაყიდვით ამოიღებს.

მაგრამ მოკრძალებული ბიზნესინიციატივა სკანდალად იქცა:

**შეიძლება თუ არა საფრანგეთში, სადაც 1905 წლიდან რელიგია განცალკევებულია სახელმწიფო წყობისგან, ჩატარდეს ღონისძიება, რომელზეც დასწრება რელიგიური ნიშნით უნდა მოხდეს?**

ბურკინით ბანაობის დღის ჩატარების განზრახვაში პროვოკაცია დაინახა არა მხოლოდ ადგილობრივმა მერმა, არამედ მარსელელმა დეპუტატებმაც, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. და, რა თქმა უნდა, ხელიდან არ გაუშვებდნენ შესაძლებლობას, თვალსაზრისი გამოთქვან საკითხზე, რომელიც საზოგადოებას აღელვებს (განსაკუთრებით — ულტრამემარჯვენეებს).

**ვალერი მუაიემ**, მემარჯვენე პარტია რესპუბლიკელების დეპუტატმა, სოციალურ ქსელში დაწერა: „წინ აღვუდგებით ასეთ გაhმოხდომებს!“

სენატორი „ნაციონალური ფრონტიდან“ **სტეფან რავიე** უფრო მწვავე განცხადებით გამოვიდა: „მსგავსი ღონისძიების ჩატარების იდეა მიუთითებს: მუსლიმანი სასულიერო პირების დამამშვიდებელი განცხადებების მიუხედავად, მათი გარკვეული ნაწილი წინასწარგანზრახვით არიდებს თავს ჩვენი სახელმწიფოს რესპუბლიკურ მოდელს და ფრანგი საზოგადოების ფარგლებს გარეთ რჩება“.

თავის მხრივ, ადგილობრივი დეპუტატი სოციალისტური პარტიიდან — **პატრიკ მენუჩი** ამბობს, რომ „ადამიანების გადაწყვეტილება, კერძო აკვაპარკში ტანსაცმლით იბანაონ, არ არღვევს საფრანგეთის კანონებს. გამუდმებულ პოლემიკას ასეთ საკითხებზე მივყავართ იქით, რომ ვქმნით არაჯანსაღ კლიმატს ისლამის გარშემო. არადა, ახლა ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მუსლიმანების უფრო ღრმა ინტეგრაციას“.

აღსანიშნავია, რომ მარსელის პოლიციამ მხარი არ დაუჭირა ქალაქ ლე-პენ-მირაბოს მერს, რომელმაც ამ ღონისძიების აკრძალვა განიზრახა. კომუნიკეში, რომელიც პრეფექტურამ გაავრცელა, ნათქვამია, რომ ორგანიზატორებს უფლება აქვთ, დაიქირავონ კერძო შენობა.

**Radio France International**

**შეიძლება თუ არა საფრანგეთში, სადაც 1905 წლიდან რელიგია განცალკევებულია სახელმწიფო წყობისგან, ჩატარდეს ღონისძიება, რომელზეც დასწრება რელიგიური ნიშნით უნდა მოხდეს?**




# 2016 წლის ყველაზე პოპულარული ავტომობილები მსოფლიოში




**გამოცემა Focus2move-ს ექსპერტებმა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ავტომობილების სია გამოაქვეყნეს. 2016 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, ავტომობილი, რომელიც ყველაზე მეტი რაოდენობით გაიყიდა, არის Toyota Corolla.**

მიმდინარე წელს ავტომობილი **„ტოიოტა კოროლა“** 634 298 ადამიანმა შეიძინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მეორე ადგილზე გავიდა ჰეჩბეკი **„ფოლკსვაგენ გოლფი“** — გაიყიდა 500630 ერთეული, მესამეზე პიკაპი **„ფორდ F-SERIES“** — 478384 ერთეული.

**აღნიშნული ავტომობილების გარდა, ყველაზე პოპულარული ავტომობილების სიაში მოხვდა: „ფორდ ფოკუსი“, „ჰიუნდაი ელანტრა“; „ფოლკსვაგენ პოლო“, „ტოიოტა კამრი“ და სხვ.**



უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც მათ, არც ჩვენ არასოდეს გვიფიქრია, განსხვავებულ პოლიტიკურ პლატფორმებზე ვიდექით თუ არა, ან რატომ უნდა ვყოფილიყავით დაპირისპირებული და მტრულად განწყობილი ერთმანეთის მიმართ?!**

# ტყვედ ყოფნა თუ — «დღეს სტუმარია ეგ ჩემი»?

## 24 წლის შემდეგ პირველად მოყოლილი ამბავი

**ზუსტად 24 წლის წინათ, 1992 წლის 14 აგვისტოს, დაიწყო აფხაზეთის ომი, რომელსაც წინ ბევრი საინტერესო მოვლენა უსწრებდა, მათ შორის, ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისითაც. პოლიტიკურმა დაპირისპირებამ იძალა ქვეყანაში, იდეური პლატფორმები ისე შეეჯახა ერთმანეთს, რომ ეროვნული ტრადიციების სიწმინდე და უზენაესობა მიწასთან გაასწორა.**
**მართლა ასე იყო?**
**ამ პრობლემაზე „საქართველო და მსოფლიოსთან“ ცნობილმა ქართველმა სახელმწიფო მოღვაწემ, დამოუკიდებელ საქართველოში სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველმა სახელმწიფო უშიშროების საკითხებში, საგადასახადო სამსახურის პირველმა თავკაცმა და პირველმა ომბუდსმენმა ДАВИТ САЛАРИДЗЕ**



დავით სალარიძე

* * *

— ეს ამბავი 1992 წელს მოხდა.

საქართველოში ურთულესი ვითარებაა: სახელმწიფოს მეთაურთან შექმნილია პატარა აპარატი, რომელშიც, როგორც მისი თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, მეც ვმუშაობ. ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაცია ევალება ჩვენს სამკაციან ჯგუფს.

ითვლება, რომ ამ დროისთვის დამთავრებულია სამოქალაქო ომი, მაგრამ ყოველდღე ხდება კრიმინალური დანაშაული, ზოგს ვახერხებთ, რომ მივწვდეთ, ზოგს — ვერა. ცუდ დღეში ვართ. ბევრს ცდილობს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი (იყო მაშინ ასეთი სახელმწიფო სტრუქტურა), რომელსაც ხელმძღვანელობდა **ალექსანდრე კავსაძე**, მაგრამ სერიოზული შედეგები არ ჩანს.

ბატონმა სანდრომ გადაწყვიტა, რამდენიმე თანამშრომელთან ერთად ჩასულიყო ამ რთულ რეგიონში და ადგილზე შეესწავლა მდგომარეობა. ჩავიდა კიდეც ჩხოროწყუს რაიონში, მაგრამ მას და მის თანამშრომლებს გზაში ჩაუსაფრდნენ და (რამდენიმე მისი თანამშრომელი, როგორც მახსოვს, დაიღუპა) დაატყვევეს.

გადის დღეები, თვეც გავიდა, მიდის მოლაპარაკება მათ დასახსნელად, მაგრამ უშედეგოდ.

ჩვენთვის — სახელმწიფოს მეთაურის აპარატისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ცნობილია, რა ტიპის შეიარაღებულ ფორმირებას ჰყავს ისინი დატყვევებული, და სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით, რომ მხოლოდ მოლაპარაკებით ფონს ვერ გავალთ, საჭირო იქნება უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

**— რა ტიპისა იყო, ბატონო დავით, ის შეიარაღებული დაჯგუფება? ეროვნული იდეებით ხელმძღვანელობდა თუ კრიმინალურ-ბანდიტური „გაგებით“?**

— ამოფარებულები იყვნენ ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერთა სახელს, პრაქტიკულად კი დაკავებულები იყვნენ ისეთი საქმიანობით, რომელსაც ეროვნულ იდეებთან საერთო არაფერი ჰქონდა, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებდნენ, ქვეყნის სიყვარულით იყო ნაკარნახევი.

მოკლედ, შინაგან საქმეთა იმჟამინდელმა მინისტრმა **რომან გვენცაძემ** და მე გადავწყვიტეთ, მაქსიმალურად გაგვეაქტიურებინა დატყვევებული საჯარო მოხელეების გამოხსნის ღონისძიებები.

ამ შეიარაღებული ფორმირების სამი წევრი ცენტრალურ ხელისუფლებას თბილისში ჰყავდა დაპატიმრებული. მეორე მხარემ ტყვეთა გაცვლა შემოგვთავაზა. მოვახსენეთ სახელმწიფოს მეთაურს, მივიღეთ თანხმობა და 14 აგვისტოს (კარგად მახსოვს ეს დღე) მე და რომან გვენცაძე ზემოთ ნახსენებ სამ დაკავებულთან ერთად გავემგზავრეთ ზუგდიდში.

პატიმართა გაცვლა ზუგდიდის პოლიციის უფროსის — **რაფავას** ოჯახში უნდა მომხდარიყო. იგი (ეს უფროსი) კომპრომისული ფიგურა იყო: კი დანიშნა ამ თანამდებობაზე მინისტრმა რომან გვენცაძემ, მაგრამ იქითაც იყო და აქეთაც.

ჩავფრინდით სენაკში, იქიდან მანქანებით წავედით ზუგდიდში. რაფავას ოჯახში დაგვხვდნენ ზუგდიდის გამგებელი **ოთარ ფაცაცია**, რომელიც მაშინ ამ რანგში იყო, იქაური სხვა „ჩვენი თანამშრომლები“, ასევე — უშიშროების რამდენიმე მუშაკი.

ველოდებით, რომ მოიყვანენ სახელმწიფო მინისტრს — სანდრო კავსაძეს და გავცვლით ტყვეებს.

სუფრა გაშლილია და ველოდებით, რომ, როცა ეს ყველაფერი კარგად დასრულდება, ჭიქა ღვინოსაც ავწევთ და მშვიდობიანად დავცილდებით ერთმანეთს, მაგრამ ამასობაში თურმე ალყა შემოგვარტყეს: ავტომატებით შეიარაღებული ორასამდე კაცია ამ სახლის ირგვლივ ჩასაფრებული.

შეიარაღებულ დაჯგუფებებს იმხანად ბატალიონებს უწოდებდნენ. ყველას თავისი მეთაური ჰყავდა. ეს არ იყო ერთიანი სტრუქტურა, მაგრამ ამ ფაქტმა ყველა გააერთიანა, მოხდა მათი კონსოლიდაცია და ყველა ბატალიონი შეიკრა ამ ოპერაციის ჩასატარებლად, რომელსაც სათავეში **ლოთი ქობალია** და **გოჩა ბახია** ედგნენ.

**— უიარაღოდ იყავით?**

— სამშვიდობო მისიით ვიყავით ჩასული და, რა თქმა უნდა, იარაღი არ გვქონია. რომც გვქონოდა, ვინ გაუწევდა წინააღმდეგობას ამდენ შეიარაღებულ ადამიანს?! ავტომატების ისეთი კაკანი ატყდა, როგორც სამამულო ომის პერიოდში შეტევაზე გადასვლისას იყო.

ჰოდა, კავსაძის გათავისუფლების ნაცვლად ჩვენ, დაახლოებით 10 კაცი, დაგვაპატიმრეს. ჩაგვსვეს მანქანებში და ენგურზე გადაგვიყვანეს, გალის მხარეს. გაგახსენებთ, **14 აგვისტოა და აფხაზეთის ომი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ ჩახმახი შემართულია.**

ჯერ ყველანი ერთ ოჯახში მიგვიყვანეს, შემდეგ სხვადასხვა ოჯახში დაგვანაწილეს. იმავე დღეს გაათავისუფლეს ზუგდიდის გამგებელი ოთარ ფაცაცია და გამგეობის თანამშრომლები. ტყვეობაში დავრჩით თბილისიდან ჩასულები, ანუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები: მე, რომან გვენცაძე, ზიბერტ ხაზალია, რომელიც შს მინისტრის მოადგილე იყო, გამოცდილი პროფესიონალი და ძალიან კარგი ადამიანი (ღმერთმა აცხონოს!).

მე და ზიბერტი გალის რაიონში მცხოვრებ გაგოშიძეების ოჯახში მიგვიყვანეს.

რამდენი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ამას პირველად ვყვები. ვყვები, რათა გითხრათ თქვენ და თქვენი გაზეთის მკითხველს, რომ **არც მაშინ, მით უმეტეს, ახლა, არ მქონია და არ მაქვს განცდა იმისა, რომ მტრის ბანაკში ვიყავი დაპატიმრებული, როგორც პალესტინელების მიერ დატყვევებული ისრაელის რომელიღაც ორგანიზაციის წარმომადგენელი.**

**«არც მაშინ, მით უმეტეს, ახლა, არ მქონია და არ მაქვს განცდა იმისა, რომ მტრის ბანაკში ვიყავი დაპატიმრებული, როგორც პალესტინელების მიერ დატყვევებული ისრაელის რომელიღაც ორგანიზაციის წარმომადგენელი»**



ზვიად გამსახურდია გროზნოში. მარჯვნივ — ჯოხარ დუდაევი

ვიყავი ჩემს თანამემამულეებთან, ქართულ ოჯახში, რომელიც წმინდად იცავდა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციულ წესსა და ადათს.

**(მოვლენებს წინ გავუსწრებ და შემოგთავაზებთ ერთ მრავლისმთქმელ წინადადებას გაგოშიძეების ოჯახის დედის, ქალბატონი მერის მონათხრობიდან „ტყვეებთან“ პირველი შეხვედრის შესახებ:**

„ისინი მოიყვანეს, როგორც დატყვევებულები რამდენიმე შეიარაღებული კაცის ბადრაგით (ხუთი—ექვსი კაცი იყო). ამათ უნდა ეყარაულათ, როგორც ციხეში.

მივედი ამ ბიჭებთან, კატეგორიულად მოვთხოვე, ახლავე მოცილდით აქაურობას, ესენი ჩვენი სტუმრები არიან, ხოლო ჩემი სახლი საპატიმრო არ გეგონოთ-მეთქი! — ვუთხარი და გავუშვი“.

**ის ახალგაზრდებიც დაჰყვნენ ქალბატონის მოთხოვნას, თუნდაც იმიტომ, რომ გენში ჰქონდათ:**

**„რადგან სტუმარი**
**სხვის სახლში,**
**ვერ გაშლის ხათაბალასა“**
*(ვაჟა)*

**მაშ ასე, გაგოშიძეების ოჯახში აღმოჩნდნენ, გალში ჩასიძებული რაჭველი გაგოშიძის ოჯახში. ხის ოდების აგების იშვიათი პროფესიის კაცი გახლდათ ბატონი მურმანი (ახლა 84 წლისაა), ფრიად დაფასებული იმ სოფელსა და რაიონში. დიდოსტატი თავისი საქმის.**

**— რაიკომის პირველ მდივანს — ამირან ქავთარაძეს ოდა რომ გავუმართე, ხელი ჩამავლო, აქედან არსად გაგიშვებო და დავრჩი სამეგრელოში, მერე ეს პატიოსანი ქალი ვნახე, აქაური, ცოლად მოვიყვანე, ოთხი შვილი შეგვეძინა — ერთი ბიჭი და სამი გოგო. დავრჩი და დავრჩი, სანამ ლტოლვილი გავხდებოდი, — მომიყვება ბატონი მურმანი სტუმრად რომ ჩავალთ ბატონ დავითთან ერთად სოფელ ნორიოს სანახებში გადმოხვეწილ გაგოშიძეებთან, — ა.ს.).**

— ძალიან ცუდი დროა, — **განაგრძობს ბატონი დავითი,** — გაჭირვებაა მთელ საქართველოში — არც საჭმელია, არც სასმელი. ყველას თავისი თავი გასჭირვებია და ახლა ჩვენც, მე და ზიბერტ ხაზალია, გავუხდით შესანახი.

**— რატომ მიგიყვანეს მაინცდამაინც მათთან?**

— იმიტომ, ალბათ, რომ ისინი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მხარდამჭერები და ერთგულები იყვნენ.

იქ ყოფნისას არც მათ, არც ჩვენ არასოდეს გვიფიქრია, განსხვავებულ პოლიტიკურ პლატფორმებზე ვიდექით თუ არა, ან რატომ უნდა ვყოფილიყავით დაპირისპირებული და მტრულად განწყობილი ერთმანეთის მიმართ?!

ჩვენ და ისინი — ასე არასოდეს დამდგარა საკითხი, რადგან მათაც და ჩვენც ერთი საფიცარი გვქონდა — საქართველო.

**თითქოს სხვებზე შეძლებული იყვნენ, მაგრამ ვგრძნობდით და ვხედავდით (თუმცა ყოველნაირად ცდილობდნენ, დაემალათ), როგორ იკლებდნენ თვითონ, ჩვენთვის, როგორც სტუმრებისთვის, შესაფერისი პატივი რომ ეცათ.**

ერთი რამეცაა: ისინი ჩვენ სულაც არ გვიყურებდნენ, როგორც ტყვეებს, ან მძევლად აყვანილებს. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცოტა ხანს მათთან დავყოფდით და შემდეგ გაგვიშვებდნენ.

შეიძლება ასეც მომხ- ▶

უახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რაგინდ ურთიერთგამომრიცხავი იყოს ერთი ერის წიაღში დამკვიდრებული იდეოლოგიები, რაღაც საერთო საფუძველი, ადამიანების ქვეცნობიერში არსებული ფესვები საერთო ნიადაგშია გადგმული.

◀ დარიყო, მაგრამ **14 აგვისტოს დაწყებული ლოკალური შეიარაღებული შეტაკებების 15-ში აფხაზეთის ომში გადაზრდამ, ყველაფერი ისე არია, რომ ჩემთვის და ზიბერტ ხაზალიასთვის აღარავის ეცალა.**

ჩვენი დატოვება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არარაციონალურად მიიჩნიეს, და იმ დაჯგუფებამ, რომელმაც ტყვედ აგვიყვანა, გადაწყვიტა ჩვენი ევაკუირება წალენჯიხის რაიონში.

მაშინ ამბავი ატყდა! ეს ოჯახი, რომელიც, როგორც გითხარით, დარწმუნებული იყო, რომ რამდენიმე დღეში გაგვათავისუფლებდნენ, წინ აღუდგა იმ დაჯგუფების წევრებს და კატეგორიულად მოსთხოვა, ხელი აეღოთ განზრახვაზე.

— სახელი გაგვიტყდება, თავი მოგვეჭრება, ჩვენს სტუმრებს დაუყოვნებლივ თუ არ გაუშვებთო. რას იფიქრებს ჩვენზე ხალხი: სტუმარ-მასპინძლობის კანონი დაივიწყეს სამეგრელოშიო! — კატეგორიულად განუცხადა ოჯახის დედამ ქალბატონმა მერიმ, აღაზას ქართულმა განსახიერებამ, მოსულებს.

**— ბატონო დავით, თქვენ რა, ვაჟას „სტუმარ-მასპინძელს“ მიყვებით?**

— ზუსტად ის სიტუაცია გამეორდა, ვაჟას რომ აქვს აღწერილი.

**(იქ, ვაჟასთან აბობოქრდნენ ქისტები, ჩვენი მოსისხლე ზვიადაური შეიფარაო ჯოყოლამ:**

**აღელვდნენ ქისტის შვილები,**
**ყველამ შაიბა ხმალია,**
**აღელვდა მთელი სოფელი:**
**ბალღი, კაცი და ქალია.**

„შეუპოვრად გადის“ თავდამსხმელებთან „ხმალ-ხანჯრიანი“ ჯოყოლა და შეუძახებს ქისტებს:

**ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?**
**რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,**
**თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?**
**ჩემს რჯულსა ვფიცავ, სისხლს დავღვრი,**
**განანებთ ბრიყვულ ქცევასა,**
**განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,**
**ჩემის კაცობის ქელვასა).**

— ახლა გაავლეთ პარალელი პოლიციის უფროსის ოჯახსა და მშრომელი კაცის ოჯახებს შორის. პირველ შემთხვევაში, მოღალატური პრინციპის ერთგულება (იცოდნენ, თავს რომ უნდა დაგვსხმოდნენ შეიარაღებული დაჯგუფების წევრები და ხელი შეუწყვეს ამის განხორციელებას) და, მეორე შემთხვევაში, ოჯახი, რომელიც მორალით, განათლებით — ყველანაირად იცავდა და უფრთხილდებოდა სტუმარმასპინძლობის ხელშეუხებელ პრინციპს. ჩვენი სტუმრები სხვაგან მიგყავთ, ისევ პატიმრობაში რომ ამყოფოთო, — ეს გახდა დაპირისპირების მიზეზი.

**უსიამოვნება თავიდან რომ აგვეცილებინა და ჩვენი მიზეზით უბედურება არ დატრიალებულიყო, მე და ზიბერტი დაპირისპირებულთა შუაში ჩავდექით, დავამშვიდეთ ორივე მხარე იმით, რომ შევძელით დაგვერწმუნებინა — დღეს თუ ხვალ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდებოდა...**



დავით სარალიძე (მარცხნიდან პირველი) სახელმწიფო მეთაურთან — ედუარდ შევარდნაძესთან თათბირზე. 1992 წელი.

**«როცა გაირკვა, რომ გაგოშიძეების ოჯახის არც ერთი წევრი სისხლიან დაპირისპირებაში არ მონაწილეობდა, ოჯახის დედ-მამა უშიშრად ჩავიდა გალში და ნახეს, რომ მათი სახლ-კარისთვის ხელი არავის უხლია, მეზობელს შეუნახავს, აფხაზებს არ გადაუწვიათ»**

წაგვიყვანეს წალენჯიხის რაიონში და 24 დღის განმავლობაში 6-7 ოჯახი გამოვიცვალეთ.

ყველგან, სადაც ვიყავით, ერთი და იგივე მეორდებოდა — თავისთვის იკლებდნენ, სტუმრებისთვის ღირსეული მასპინძლობა რომ გაეწიათ.

ერთ-ერთი ასეთი იყო წალენჯიხელი **ედემი ხასიას** ოჯახი, რომელსაც განსაკუთრებულ პატივს ვცემ, როგორც კი მომიხერხდება, ჩავდივარ და შეძლებისდაგვარად ვეხმარები. ძლიერი გლეხია ბატონი ედემი, მშრომელი ოჯახის უფროსია, ზვიად გამსახურდიას მომხრე და ერთგულია. ასე რომ არ ყოფილიყო, იქ არ მიგვიყვანდნენ.

**შევედით ამ ოჯახში და რას ვხედავთ: ერთ კედელზე ზვიად გამსახურდიას სურათი კიდია, მეორეზე — იოსებ სტალინის.**

**— ამოუხსნელია, უფალო, საქმენი შენი...**

— ყოველ შემთხვევაში, ეს, ალბათ, უნდა ნიშნავდეს, რომ, რაგინდ ურთიერთგამომრიცხავი იყოს ერთი ერის წიაღში დამკვიდრებული იდეოლოგიები, რაღაც საერთო საფუძველი, ადამიანების ქვეცნობიერში არსებული ფესვები საერთო ნიადაგშია გადგმული, ეროვნულ ნიადაგში.

**— ამ შემთხვევაში, ეპოქების გადახლართვა-გადადინებასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომელიც ერთი თაობის ცხოვრებაში მოხდა: სოციალისტური წყობილების პირობებში აღზრდილი თაობა საქართველოს დამოუკიდებლობის გაბრწყინებას მოესწრო...**

— სიმბოლური დატვირთვის მქონე ეს ფაქტი ადასტურებს დაპირისპირებულთა თანაარსებობის შესაძლებლობას, თუნდაც საზოგადოების ერთი უჯრედის — ოჯახის საზღვრებში.

ჩვენი „დატყვევების“ გარშემო განვითარებული მოვლენებიც ამ ვარაუდის პრაქტიკული დადასტურება იყო.

**— „მიწის ყივილი“?**

— დიახ... ხასიების ოჯახში, სოფელ ობუჯში რამდენიმე დღე დავყავით. იქიდან სხვა ოჯახში ჩაგვასახლეს.

ერთხელ ენგურმშენის დასახლება ჯვარში მოვხვდით, რომელიც იმ დროს მიტოვებული იყო. აქ წალენჯიხის ბატალიონს გადაგვაბარეს, რომლის მეთაურს მეტსახელად ფაზა ერქვა. წალენჯიხელი იყო, ელექტრიკოსი და ეს თიკუნი ძველი დროიდან შემორჩენოდა.

ომის შემდეგაც ვხვდებოდი ფაზას, კარგი, ნორმალური კაცი იყო. კარგა ხანია, მის შესახებ არაფერი მსმენია... ძალიან მენატრება.

იმას გიყვებოდით, რომ ჯვარში ჩაგვასახლეს, მიტოვებულ, სამოთახიან ბინაში. ეუხერხულებოდათ, აშკარად ვატყობდი, ჩვენი მოუწყობელ პირობებში ცხოვრება, თანაც ისეთ დასახლებაში, სადაც მოსახლე არავინ იყო. არ უპასუხებდა აქაური რეალობა მეგრელებისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობის წესებს, და ერთ მშვენიერ დღეს მოგვიწყვეს... ექსკურსია ენგურჰესზე.

**— კულტურული ღონისძიება!**

— დიახ, როგორც ნებისმიერ ადგილობრივ კურორტზე იცოდნენ დამსვენებლების გართობა *(გულიანად ვიცინით).* მაგრამ ტყვეთა გართობა-დასვენების ორგანიზება ასეთი, ან, თუნდაც, მსგავსი გაგიგიათ?!.

აგვიყვანეს კაშხალზე, — **განაგრძო ბატონმა დავითმა, ცოტა რომ დაცხრა ჩვენი ემოციები,** — გადავდივართ და გადმოვდივართ ამ თაღოვანი, უნიკალური კაშხალის თავზე, გვიყვებიან, გვიხსნიან დეტალურად ყველაფერს.

**— ბატონო დავით, დავიჯერო, რომ ყველაფერი, რაც თავს გადაგხდათ ,ასე იდილიური იყო?**

— არა, რა თქმა უნდა. იყო ვინმე **ბაძაღუა**, გალის ბატალიონის მეთაური. ამ ბაძაღუამ ერთი ოჯახიდან რომ წაგვიყვანა, მე და ზიბერტს ხელბორკილები დაგვადო. აფხაზობდა, ამიტომაც დარჩა აფხაზეთში. დაუფასეს და დანიშნეს გალის ბაზრის დირექტორის მოადგილედ. ეს იქ და მაშინ დიდი თანამდებობა იყო.

**ამ ბაძაღუამ ცოლად მოიყვანა გაგოშიძეების ერთ-ერთი ქალიშვილი. გაუჩნდათ ვაჟი. ეს ოჯახი აფხაზეთში დარჩა. ერთ უბედურ დღეს, ბაზარში თავის კაბინეტში რომ შევიდა, ნაღმი აუფეთქეს და — დამთავრდა!**

**დაქვრივებული ქალი და მისი ვაჟი თბილისში ჩამოვიდნენ. მაჩაბლის 11-ში, სადაც უწინ კომკავშირის ცკ იყო, იქ, უკანა ეზოში მივაცემინე ოთახი. დღესაც იქ ცხოვრობენ.**

**— სიკეთით გადაუხადეთ?**

— მეტსაც გეტყვით: ლოთი ქობალიას, რომელიც ციხეში სასჯელს იხდიდა, შვილი სამსახურში მოვუწყვე... მამის თხოვნით...

იყო ასეთი მომენტებიც.

ამასობაში დრო გადის. **სანდრო კავსაძე, ვის გასათავისუფლებლადაც ჩავედით ცხელ წერტილში, სხვებიც, ვინც მასთან ერთად იყვნენ, თბილისში არიან, ჩვენ კი იქ ვრჩებით. ხელისუფლება ცდილობს, მაგრამ ბევრი არაფერი გამოსდის — აფხაზეთის ომი დაწყებულია და სალარიძე-ხაზალიას პრობლემა მეორე პლანზეა გადასული.**

უნდა გითხრათ, რომ ბატალიონებში, რომლებიც არაერთხელ ვახსენე, ბევრი სვანი იყო. დიდი ხანია, სვანებთან ვმეგობრობ. სანამ მათთან დაკავშირებულ ამბავზე გადავალ, გეტყვით, რატომ აჭიანურებდნენ ჩვენ გათავისუფლებას შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელები: **200 ცალ ავტომატში გაგიცვლითო, პირობა წაუყენეს ცენტრალურ ხელისუფლებას.**

მოტივაცია ასეთი იყო: აფხაზებთან ომი დაიწყო, ხელისუფლებას თავი არ აქვს, მოიგოს ეს ომი. მოგვეცით ეს იარაღი, ჩვენ ჩვენსას დავუმატებთ და ვიომებთ აფაზეთშიო.

ხელისუფლება ამას არ თანხმდება, რადგან მოწინააღმდეგის, კერძოდ, შეიარაღებული ფორმირებების ამ რაოდენობის იარაღით აღჭურვა საკუთარი ყელის გამოჭრა იქნებოდა.

საკითხი თავიდანვე ჩიხში შევიდა. არც ერთი მხარე პოზიციას არ თმობდა. და სწორედ ასეთ ვითარებაში ჩაერივნენ სვანები, რომლებმაც საბოლოოდ გადაწყვიტეს ჩვენი გათავისუფლების საკითხი.

**— შეგიძლიათ დაასახელოთ?**

— ესენი იყვნენ **მარგველანები**, ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსი და მისი ძმა. აქტიური მონაწილეობა მიიღო იურისტმა **ნაირა ხაბულიანმა**, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა, **თენგიზ გაზდელიანიც** მონაწილეობდა, **ლიპარტელიანი** — შს სამინისტროს თანამშრომელი, **გრიშა ონიანი**, რა თქმა უნდა. ამ „სადესანტო ჯგუფს“ დიდი და ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, საქმე ბოლომდე რომ მიეყვანა.

ამასობაში, როგორც გითხარით, ათი ოჯახი მაინც გამოვიცვალეთ. და აი, ერთ-ერთ ოჯახში რომ ვართ, იქ მოგვაკითხეს. წაგვიყვანეს მესტიაში. ეს იყო კომპრომისი მათთან, ვინც დარაჯად გვყავდა მოჩენილი, მათ მთავარ შტაბთან შეუთანხმებლად.

ამან, რა თქმა უნდა, შტაბში ვნებათაღელვა გამოიწვია, **დაგვიწყეს დევნა, მაგრამ სვანებმა ჩვენი დაკავების უფლება არ მისცეს და მესტიაში აგვიყვანეს.**

**მთავრობას, როგორც ცნობილია, მაშინ ძალიან მწირი შესაძლებლობები ჰქონდა, ორხელისუფლებიანობა იყო საქართველოში, მაგრამ მაინც მოხერხდა ჩვენს გამოსაყვანად ვერტმფრენის გამოგზავნა მესტიაში.**

ერთი ნიუანსია აქ საინტერესო. **ჩემმა მეგობარმა სვანებმა თბილისში ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსის — მარგველანის ძმა მოძებნეს, გაგზავნეს გროზნოში, სადაც იმხანად იმყოფებოდა დევნილი პრეზიდენტი. ბატონ ზვიადს მოახსენეს, ასე და ასეაო საქმე. მასაც უთქვამს, რა ვიცი, ვინ სად ჰყავთ დაკავებულიო. დაცვის უფროსმა უთხრა თბილისიდან ჩასულებს, წადით და გამოიყვანეთ, აქ მათ არავინ არაფერს ერჩისო. ეს აცნობეს ჩემს მეგობარ სვანებს და მათაც გადადგეს გადამწყვეტი ნაბიჯი.**

ასე დამთავრდა ჩვენი ოდისეა, მაგრამ არა ყველაფერი, უწინარესად, იმ ოჯახებისთვის, რომლებმაც მიგვიღეს, როგორც სტუმრები, და რომლებსაც ომის დაწყების შემდეგ ცხოვრება გაურთულდათ, განსაკუთრებით, გალის რაიონში.

**გაგოშიძეების ოჯახი, რომელიც აფხაზ სეპარატისტებს იყო დაპირისპირებული, ერთ თვეში იძულებული შეიქნა, აყრილიყო და ზუგდიდში გადმოსულიყო ნათესავებთან. იქიდან თბილისში ჩამოვიდნენ. მოახერხეს და ხმა მომაწვდინეს.**

ნორიოში პატარა საგარაკო სახლი მქონდა, დავუთმე ის სახლი და დღემდე იქ ცხოვრობენ. უკვე 24 წელიწადია, მე და ჩემს ოჯახს ყურადღება არ მოგვიკლია მათთვის, არც არასოდეს არაფერი დაგვითვლია.

გაიზარდა, ფეხზე დადგა გაგოშიძეების გვარი. თუ არ ვცდები, შვილებიან-შვილიშვილებიანად 12 მაინც იქნებიან. ყველას ვერ ჩამოგითვლით, მაგრამ ერთი ქალიშვილი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ერთი შვილიშვილი — სუხიშვილების სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი და ა.შ. დალხინებული ცხოვრება შეიძლება არ აქვთ, მაგრამ სიძნელეებს არ ეპუებიან, არც წუწუნებენ.

ერთ საკითხს გამოვყოფ.

ახლა, **როცა გაირკვა, რომ გაგოშიძეების ოჯახის არც ერთი წევრი სისხლიან დაპირისპირებაში არ მონაწილეობდა, ოჯახის დედ-მამა უშიშრად ჩავიდა გალში და ნახეს, რომ მათი სახლ-კარისთვის ხელი არავის უხლია, მეზობელს შეუნახავს, აფხაზებს არ გადაუწვიათ.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**დასასრული მომდევნო ნომერში**

მართალი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინს მიაჩნდა, რომ ეკლესია დამოკიდებული არ უნდა იყოს არც მთავრობაზე, არც, მით უფრო, პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე. ხოლო რელიგიის საქმეთა ახალშექმნილმა საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს საპატრიარქოს, იღვაწოს ნებისმიერი დიქტატისგან გათავისუფლებულმა.**



გიორგი კარპოვი

# «მართალი იცოცხლებს რწმენით»

## როგორ შეუწყო ხელი სტალინმა ათეისტური საბჭოთა კავშირის ქრისტიანი მრევლის მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში დაბრუნებას

დასასრული. დასაწყისი იხ. №29 (358)

**დღეს ვასრულებთ გიორგი კარპოვის ქართულად ნათარგმნი ჩანაწერის გამოქვეყნებას. თარგმანი არაოფიციალურია. პირველი ნაწილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რედაქციაში მიღებული წერილებიდან ირკვევა, რომ მკითხველებმა სათანადოდ შეაფასეს დოკუმენტის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იოსებ სტალინის, როგორც უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის პორტრეტის სრულყოფილად წარმოსაჩენად და, ამასთანავე, იმ კუთხითაც, რა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის მიერ მართლმადიდებლობის საკულტო ინსტიტუტების აღდგენამ ადამიანების სულიერების ჩამოყალიბებასა და მათი რწმენის განმტკიცებაზე.**



ეპისკოპოსი ნიკოლოზი კითხულობს სტალინისადმი გასაგზავნი დეპეშის ტექსტს

მიტროპოლიტი ნიკოლოზი საუბრისას შეეხო სანთლების დამამზადებელი ქარხნების საკითხს, აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში საეკლესიო სანთლებს ამზადებენ შინამრეწველები, სანთლები ეკლესიებში უაღრესად ძვირად იყიდება და იგი, მიტროპოლიტი ნიკოლოზი, მიიჩნევს, რომ უმჯობესი იქნება, თუ ეპარქიებს მიეცემათ უფლება იქონიონ ასეთი ქარხნები.

ამხ. სტალინმა თქვა, ეკლესია დაიმედებული შეიძლება იყოს, რომ **მთავრობა ყოველმხრივ დაეხმარება ყველა საკითხში, რომლებიც დაკავშირებული იქნება საბჭოთა კავშირში მის (ეკლესიის) ორგანიზაციულ განმტკიცებასა და განვითარებასთან.** და როგორადაც მან მხარი დაუჭირა სასულიერო სასწავლებლების ორგანიზების, ეპარქიებთან სასულიერო სემინარების გახსნის საკითხებს, ასევე არ შეექნებათ დაბრკოლება საეპარქიო მმართველობებთან სანთლების დამამზადებელი ქარხნებისა და სხვა საწარმოების გახსნის საკითხებში.

შემდეგ ამხ. სტალინმა მე მომმართა: **„უზრუნველყოფილი უნდა იყოს მღვდელმთავრის (არქიერის) უფლება, განკარგოს საეკლესიო სახსრები. დაბრკოლება არ უნდა შეექმნათ სემინარიების, სანთლების (ქარხნების) და ა.შ. ორგანიზებაში“.**

შემდეგ ამხ. სტალინმა მიმართა მიტროპოლიტებს, უთხრა მათ: **„თუ საჭიროა ახლავე, ან თუ საჭირო იქნება, მომავალში, სახელმწიფოს შეუძლია გაიღოს სუბსიდიები საეკლესიო ცენტრისთვის“.**

ამის შემდეგ ამხ. სტალინმა მიტროპოლიტებს სერგის, ალექსისა და ნიკოლოზს მიმართა: **„ამხ. კარპოვმა მომახსენა, რომ თქვენ ძალიან ცუდად ცხოვრობთ: (გაქვთ) ვიწრო ბინა, სურსათს ბაზარში ყიდულობთ, არანაირი ტრანსპორტი არ გაგაჩნიათ. მთავრობას სურს, იცოდეს, რა გიჭირთ და რისი მიღება გსურთ სახელმწიფოსგან“.**

ამხ. სტალინის პასუხად მიტროპოლიტმა სერგიმ თქვა, რომ საპატრიარქოსა და პატრიარქის შენობით უზრუნველყოფის საკითხში იგი მხარს დაუჭერდა მიტროპოლიტ ალექსის წინადადებას — საპატრიარქოს განკარგულებაში ნოვოდევიჩის მონასტერში ყოფილი საიღუმენიო კორპუსის გადაცემას. ხოლო რაც შეეხება სურსათით უზრუნველყოფას, პროდუქტებს ისინი ყიდულობენ ბაზარში. ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხში კი ითხოვენ, თუ შესაძლებელია, გამოუყონ მანქანა.

**ამხ. სტალინმა მიტროპოლიტ სერგის უთხრა: „ამხ. კარპოვმა დაათვალიერა შენობები ნოვოდევიჩის მონასტერში: ისინი სრულიად კეთილმოუწყობელია, საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას და მათ დასაკავებლად კიდევ დიდი დრო იქნება საჭირო. იქ სინესტეა და სიცივე. გასათვალისწინებელია, რომ ეს შენობები აგებულია XVI საუკუნეში. მთავრობას შეუძლია, ხვალვე შემოგთავაზოს საკმაოდ კეთილმოწყობილი და გამზადებული შენობა, სამსართულიანი ცალკე სახლი „ჩისტი პერეულოკში“ (სუფთა შესახვევში), რომელიც ადრე დაკავებული ჰქონდა გერმანიის ყოფილ ელჩ შულენბურგს, მაგრამ ეს შენობა საბჭოთაა, არ არის გერმანული. ასე რომ, შეგიძლიათ თავისუფლად იცხოვროთ იქ. ამასთანავე, ამ შენობას გადმოგცემთ მთელი ქონებით, ავეჯით, რომელიც ამ სახლშია, ხოლო იმისთვის, რომ უკეთ წარმოიდგინოთ, როგორია ეს შენობა, ახლავე გაჩვენებთ მის გეგმას“.**

რამდენიმე წუთში ამხ. პოსკრებიშევის მიერ ამხ. სტალინისთვის წარდგენილი ცალკე სახლის პროექტი (ჩისტი პერეულოკის №5, ეზოს ნაგებობებითა და ბაღით) აჩვენეს მიტროპოლიტებს. შეთანხმდნენ, რომ მეორე დღეს, 4 სექტემბერს ამხ. კარპოვი პირადად მიტროპოლიტებს დაათვალიერებინებს ამ შენობას.

**(დარწმუნებული ვარ, ჩვენმა მკითხველმა მიაქცია ყურადღება, რომ ყველა დეტალი, რომლებსაც შეხვედრის მონაწილეები შეეხნენ, ყველა წინადადება თუ შეთავაზება წინასწარ იყო შესწავლილი, განხილული და გადაწყვეტილიც კი. იყო რეალისტური და ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი.**

**თუ რომელიმე საკითხი ბოლომდე გარკვეული არ იყო ან წინასწარ გათვლილს არ მიესადაგებოდა ობიექტური თუ სუბიექტური მოსაზრებების გამო, სტალინი კვლავ უბრუნდებოდა ამ საკითხს, რათა იქვე ოპერატიულად მიეღწიათ კონსენსუსისთვის.**

**ამის დამადასტურებელ ფაქტს კარპოვის ჩანაწერში ახლავე წაიკითხავთ — ა. ს.).**

ამხ. სტალინი კვლავ დაუბრუნდა სურსათით მომარაგების საკითხს და მიტროპოლიტებს უთხრა: „ბაზარში სურსათის ყიდვა თქვენთვის მოუხერხებელიცაა და ძვირიც. ახლა კოლმეურნეს ბაზარში ცოტა პროდუქტი გამოაქვს, ამიტომ სახელმწიფოს შეუძლია პროდუქტებით თქვენი უზრუნველყოფა სახელმწიფო ფასებში. ამას გარდა, ხვალზეგ თქვენ განკარგულებაში გადმოგცემთ 2—3 მსუბუქ ავტომანქანას საწვავითურთ“.

**ამხ. სტალინი შეეკითხა მიტროპოლიტ სერგის და სხვა მიტროპოლიტებს, აქვთ თუ არა კიდევ რაიმე საკითხი მის წინაშე დასასმელი, კიდევ ხომ არ სჭირდება რაიმე ეკლესიას, თანაც, ამის შესახებ რამდენიმეჯერ ჰკითხა.**

სამივემ განაცხადა, რომ სხვა, განსაკუთრებული თხოვნა არ აქვთ, მაგრამ ზოგჯერ ადგილებზე ღვთისმსახურებს დამატებით საშემოსავლო გადასახადს აკისრებენ. ამას ამხ. სტალინმა ყურადღება მიაქცია და წინადადება მომცა ყველა ცალკეულ შემთხვევაში განვახორციელო შემოწმებისა და გამოსწორების შესაბამისი ღონისძიებანი.

ამის შემდეგ ამხ. სტალინმა მიტროპოლიტებს უთხრა: **„თუ მთავრობასთან სხვა საკითხები არ გაქვთ, შეიძლება შემდგომ გაგიჩნდეთ. მთავრობას განზრახული აქვს შექმნას სპეციალური სახელმწიფო აპარატი, რომელსაც დაერქმევა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭო, საბჭოს თავმჯდომარედ, ვფიქრობთ, დაინიშნოს ამხ. კარპოვი. რას იტყვით ამაზე?“**

სამივემ განაცხადა, რომ ისინი სრული კეთილგანწყობით ეთანხმებიან ამ თანამდებობაზე ამხ. კარპოვის დანიშვნას.

ამხ. სტალინმა თქვა, რომ საბჭო იქნება მთავრობისა და ეკლესიის დამაკავშირებელი ადგილი და მისმა თავმჯდომარემ მთავრობას უნდა მოახსენოს ეკლესიის ცხოვრებასა და მის წინაშე წამოჭრილ საკითხებზე.

შემდეგ ამხ. სტალინმა მე მომმართა: „შეარჩიეთ 2—3 თანაშემწე, რომლებიც თქვენი საბჭოს წევრები იქნებიან, შექმენით აპარატი, მაგრამ დაიხსომეთ: **ჯერ ერთი, თქვენ ობერპროკურორი არ ხართ; მეორე — თქვენ მოღვაწეობაში უფრო მეტად გაუსვით ხაზი ეკლესიის დამოუკიდებლობას“.**

ამის შემდეგ ამხ. სტალინი მიუბრუნდა ამხ. მოლოტოვს და უთხრა: **„ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ მოსახლეობას, ისევე, როგორც შემდგომ საჭირო იქნება, მოსახლეობას ვაცნობოთ პატრიარქის** ▶

**მას შემდეგ, რაც შეთანხმდნენ, რომ რელიგიურ საქმეთა მომავალ საბჭოს სათავეში გიორგი კარპოვი ჩაუდგებოდა, სტალინი ასე მიმართავს მას: «...გახსოვდეთ: ჯერ ერთი — თქვენ არ ხართ ობერპროკურორი; მეორე — თქვენს საქმიანობაში უფრო მეტად ხაზი გაუსვით ეკლესიის დამოუკიდებლობას». ე. ი. სტალინს მიაჩნდა, რომ ეკლესია დამოკიდებული არ უნდა იყოს არც მთავრობაზე, არც, მით უფრო, პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე. ხოლო რელიგიის საქმეთა ახალშექმნილმა საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს საპატრიარქოს, იღვაწოს ნებისმიერი დიქტატისგან გათავისუფლებულმა**

## ტრამპი თუ კლინტონი?



**The Pew Research center-მა გამოიკვლია ამერიკელების დამოკიდებულება იმ პერსპექტივისადმი, რომელიც ქვეყანას ელის პრეზიდენტობის ერთი ან მეორე კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში.**

სოციოლოგიურ გამოკითხვაში, რომელიც 2016 წლის 7 ივნისიდან 5 ივლისამდე მიმდინარეობდა, მონაწილეობდა 4602 სრულწლოვანი ამერიკელი. უმრავლესობის აზრით, დონალდ ტრამპი ჰილარი კლინტონზე უფრო წარმატებულად ილვაწებს აშშ-ის საკეთილდღეოდ.

მათი აზრით, ეს დადებითად აისახება იმიგრაციის, ეროვნული უშიშროების, ეკონომიკის, საბიუჯეტო დეფიციტის, ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა პრობლემებზე, მაგრამ ამომრჩევლები მაინც თვლიან, რომ აშშ-ის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვნად არ შეიცვლება მიუხედავად იმისა, თუ ვისი (ტრამპის თუ კლინტონის) ადმინისტრაცია ჩაუდგება ქვეყანას სათავეში.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



Приём тов. И. В. Сталиным Митрополита Сергия, Митрополита Алексия и Митрополита Николая

## ყველა დეტალი, რომლებსაც შეხვედრის მონაწილეები შეეხნენ, ყველა წინადადება თუ შეთავაზება წინასწარ იყო შესწავლილი... თუ რომელიმე საკითხი წინასწარ გათვლილს არ მიესადაგებოდა, სტალინი კვლავ უბრუნდებოდა ამ საკითხს, რათა იქვე ოპერატიულად მიეღწიათ კონსენსუსისთვის.

◀ **არჩევის შესახებაც“.**

ვიაჩესლავ მოლოტოვმა იქვე დაიწყო რადიოსა და გაზეთებისთვის კომუნიკეს წერა, რომლის შედგენისას მოკლედ შეჰქონდათ შესაბამისი შენიშვნები, შესწორებები და დამატებები როგორც ამხ. სტალინს, ასევე, მიტროპოლიტებს — სერგისა და ალექსის.

ცნობის ტექსტი მიღებული იქნა შემდეგი რედაქციით:

**„მ.წ. 4 სექტემბერს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან — ამხ. სტალინთან შედგა მიღება, რომლის დროსაც გაიმართა საუბარი პატრიარქის ადგილმონაცვლესთან, მიტროპოლიტ სერგისთან, ლენინგრადის მიტროპოლიტ ალექსისთან და უკრაინის, კიევისა და გალიციის ეგზარქოსთან, მიტროპოლიტ ნიკოლოზთან.**

**საუბრის დროს მიტროპოლიტმა სერგიმ აცნობა სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელ წრეებს განზრახული აქვთ ეპისკოპოსების კრების (სობოროს) მოწვევა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ასარჩევად და პატრიარქთან წმინდა სინოდის შესაქმნელად.**

**მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ი. ბ. სტალინი თანაგრძნობით მოეკიდა ამ წინადადებებს და განაცხადა, რომ მთავრობის მხრიდან ამას არავითარი წინააღმდეგობა არ ექნება.**

**საუბარს ესწრებოდა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. მ. მოლოტოვი“.**

ეს ცნობა გამოქვეყნდა გაზეთ „იზვესტიაში“ 1943 წლის 5 სექტემბერს.

კომუნიკე გადაეცა ამხ. პოსკრებიშევს იმავე დროს რადიოთი გადასაცემად და საკდესს გაზეთებში დასაბეჭდად.

ამის შემდეგ ამხ. მოლოტოვმა მიმართა სერგის შეკითხვით: როდის იქნება უკეთესი ანგლიკანური ეკლესიის დელეგაციის მიღება, რომელსაც სურს იორკელი არქიეპისკოპოსის მეთაურობით მოსკოვში ჩამოსვლა?

სერგიმ უპასუხა, რადგან ეპისკოპოსების კრება 4 დღის შემდეგ გაიმართება, მაშასადამე, კიდეც გაიმართება პატრიარქის არჩევნები, ანგლიკანური დელეგაციის მიღება ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი.

ამხ. მოლოტოვმა თქვა, რომ, მისი აზრით, ამ დელეგაციის მიღება ერთი თვის შემდეგ იქნება უკეთესი.

ამხ. სტალინთან ამ მიღების დასასრულს მთავრობისა და პირადად ამხ. სტალინისადმი მოკლე სამადლობელო სიტყვით გამოვიდა მიტროპოლიტი სერგი.

ამხ. მოლოტოვმა ჰკითხა ამხ. სტალინს: „იქნებ გამოგვეძახა ფოტოგრაფი?“

ამხ. სტალინმა თქვა: „არა, ახლა უკვე გვიანია, ღამის ორი საათია, ამიტომ სხვა დროს გავაკეთოთ“.

ამხ. სტალინი დაემშვიდობა მიტროპოლიტებს და თავისი კაბინეტის კარამდე მიაცილა.

ეს მიღება ისტორიული მოვლენა იყო ეკლესიისთვის და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სერგი, ალექსი და ნიკოლოზ მიტროპოლიტებზე, რაც აშკარა შეიქნა ყველასთვის, ვინც იცნობდა და იმ დღეებში ნახა სერგი და სხვები.

**ასე მთავრდება გიორგი კარპოვის საოქმო ჩანაწერი.**



სტალინი 1930-იანი წლების დასაწყისში

### ბოლოთქმის მაგიერ

მკითხველს, რომელიც გაეცნო ამ ჩანაწერს, ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს ერთ პასაჟს:

მას შემდეგ, რაც შეთანხმდნენ, რომ რელიგიურ საქმეთა მომავალ საბჭოს სათავეში გიორგი კარპოვი ჩაუდგებოდა, სტალინი ასე მიმართავს მას: **„...გახსოვდეთ: ჯერ ერთი, თქვენ არ ხართ ობერპროკურორი; მეორე — თქვენს საქმიანობაში უფრო მეტად ხაზი გაუსვით ეკლესიის დამოუკიდებლობას“.**

ე.ი. **სტალინს მიაჩნდა, რომ ეკლესია დამოკიდებული არ უნდა იყოს არც მთავრობაზე, არც, მით უფრო, პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე. ხოლო რელიგიის საქმეთა ახალშექმნილმა საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს საპატრიარქოს, იღვაწოს ნებისმიერი დიქტატისგან გათავისუფლებულმა.**

გადის დრო და ხელისუფლების სათავეში მოდის **ნიკიტა ხრუშჩოვი** და ყველაფერს, რასაც სტალინმა სიკეთის ხელი დაატყო, ანგრევს და აცამტვერებს, დაერია სტალინის კადრებსაც.

1956 წელს, როცა ხრუშჩოვმა წამოიწყო ანტირელიგიური კამპანია, პარტიულმა ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ კარპოვი არასაკმარისად აქტიურად ჩაერთო ამ ღონისძიების განხორციელებაში, გაუხსენეს ძველი „ცოდვები“ და პარტიიდან გარიცხვა დაუპირეს, რომელიც შემდეგ პირად საქმეში საყვედურის შეტანით შეუცვალეს. 1960 წელს კი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და საბჭოს საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს ასეთი ფორმულირებით:

**„მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს მთავარი შეცდომა იყო ის, რომ იგი არათანმიმდევრულად განახორციელებდა პარტიისა და სახელმწიფოს კურსს ეკლესიის მიმართ,** ხშირად ემვებოდა საეკლესიო ორგანიზაციების მომსახურების პოზიციაზე. ეკავა თავდაცვითი პოზიციები ეკლესიასთან ურთიერთობაში, **კი არ ებრძოდა ღვთისმსახურთა მიერ კულტების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებს, არამედ იცავდა ეკლესიის ინტერესებს“.**

ე. ი. ბრალი დასდეს, რომ სტალინის მითითება დაეცვა ეკლესიის დამოუკიდებლობა, პირნათლად შეასრულა.

ესეც ერთი მაგალითი „სტალინის პიროვნების კულტის წინააღმდეგ“ ნიკიტა ხრუშჩოვის „ობიექტური“ გალაშქრების სიყალბის შესახებ.

მოციქულთასწორ წმინდა ოლგას ტაძრის (ქ. სტრელნია) მოძღვარმა, პეტერბურგში ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ, იღუმენმა **ევსტაფიმ** (ჟაკოვმა) ტელეარხ ნტვ-სთვის მიცემულ ინტერვიუში დარწმუნებით განაცხადა: „სტალინი, რასაკვირველია, მორწმუნე ადამიანი იყო“, ხოლო გაზეთ „ნოვიე იზვესტიას“ კორესპონდენტის შენიშვნას, რომ სტალინი მაინც ათეისტი იყო, ასე უპასუხა: „თქვენ საიდან იცით? ის, რომ იგი სათავეში ედგა ათეისტურ სახელმწიფოს, ბევრს არაფერს ნიშნავს. განა ცოტა რამეს ედგა სათავეში?! მე უფრო მჯერა ორი პატრიარქის — სერგისა (1943-1944 წწ.) და ალექსის (1945-1970 წწ). ისინი მიიჩნევდნენ: სტალინი მორწმუნე ადამიანი იყო“.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ხოლო სახარებაში „ცხადდება ღვთის სიმართლე რწმენიდან რწმენაში, როგორც წერია: „მართალი იცოცხლებს რწმენით“ (რომ. 1,14).**

**მოციქულთასწორ წმინდა ოლგას ტაძრის (ქ. სტრელნია) მოძღვარმა, პეტერბურგში ცნობილმა სასულიერო მოღვაწემ, იღუმენმა ევსტაფიმ (ჟაკოვმა) ტელეარხ ნტვ-სთვის მიცემულ ინტერვიუში დარწმუნებით განაცხადა: «სტალინი, რასაკვირველია, მორწმუნე ადამიანი იყო», ხოლო გაზეთ «ნოვიე იზვესტიას» კორესპონდენტის შენიშვნას, რომ სტალინი მაინც ათეისტი იყო, ასე უპასუხა: «მე უფრო მჯერა ორი პატრიარქის — სერგისა (1943-1944 წწ.) და ალექსის (1945-1970 წწ). ისინი მიიჩნევდნენ: სტალინი მორწმუნე ადამიანი იყო»**



## «ნიუ იორკ თაიმსი»: რუსეთის წარმატება სირიაში ვაშინგტონს აიძულებს, მოსკოვთან ითანამშრომლოს

**„ავღანეთის ომის შემდეგ რუსი სამხედროები პირველად ჩაებნენ ღია დაპირისპირებაში ამბოხებულთა ძალებთან, რომლებსაც აშშ-ის ცენტრალური სამმართველო წვრთნიდა, — წერს „ნიუ იორკ თაიმსი“, — მაგრამ, თუ იმხანად ავღანეთში ასეთი ძალები დომინირებდნენ, დღეს სირიაში საწინააღმდეგო ვითარებაა. რეგიონში რუსეთის წარმატებული მოქმედება ვაშინგტონს აიძულებს, მოსკოვთან თანამშრომლობაზე დათანხმდეს“.**

ამერიკული გამოცემა აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ათასობით „ბოევიკის“ შეტევის გამო სირიის სამთავრობო ჯარი ტოვებდა პოზიციებს, უკან იხევდა და ტერიტორიები, რომლებიც ბაშარ ასადის ბასტიონებად ითვლებოდა, „ისლამური სახელმწიფოს“ ხელში გადადიოდა. შეტევას მხარს უჭერდა აშშ-ის ცენტრალური სამმართველო, რომელიც „ბოევიკებს“ ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით ამარაგებდა, მაგრამ მოვიდნენ რუსები და „ბოევიკებმა“ უკანდახევა დაიწყეს.

რუსების წარმატებულ სამხედრო ოპერაციაზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეაქცია იყო ის, რომ „ბოევიკები“ დამატებით რამდენიმე ასეული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით მოამარაგა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

„რუსეთმა გაიმარჯვა!“ — მოჰყავს გაზეთს ვუდრო კილსონის სახელობის საერთაშორისო ცენტრის პოლიტოლოგ **მაიკლ კოფმანის** სიტყვები.

„ნიუ იორკ თაიმსი“ წერს, რომ რუსეთის წარმატებული სტრატეგია რეგიონში ბარაკ ობამას ადმინისტრაციას აიძულებს, დიალოგი გამართოს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან საერთაშორისო პოლიტიკისგან რუსეთის იზოლაციის შესახებ ახლახან გამოთქმული მუქარების მიუხედავად.

სირიაში კრემლის წარმატებების ანალიზისას აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი **ჯეფრი უაიტი** აღნიშნავს, რომ რუსეთმა სირიაში შექმნა მძლავრი სადაზვერვო ქსელი და მოიპოვა სრული ინფორმაცია „ბოევიკების“ პოზიციების შესახებ. ამან რუსეთს საშუალება მისცა, ყურადღება გაემახვილებინა კონკრეტულ მიზნებზე და მაქსიმალურად ეფექტიანად განეხორციელებინა დაბომბვები.

„პუტინმა მიაღწია ძირითად მიზნებს — დაეხმარა ასადის მთავრობას, შეინარჩუნა საზღვაო ბაზასთან წვდომა ხმელთაშუა ზღვაში და სირია გამოიყენა, როგორც პოლიგონი, რუსული მოწინავე ტექნოლოგიების გამოსაცდელად“, — ასკვნის „ნიუ იორკ თაიმსი“.

## პაკისტანში აფეთქების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 93-მდე გაიზარდა

**პაკისტანის ქალაქ კვეტას საავადმყოფოში მოწყობილი აფეთქების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 93-მდე გაიზარდა.**

ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, აფეთქება თვითმკვლელმა განახორციელა, როდესაც იქ ცნობილი ადვოკატის, იმ დღეს მოკლული ბილალ კასის ცხედარი გადაასვენეს.

მოკლედ

## «საფრანგეთს ჯიჰადისტებთან საბრძოლველად მეჩეთების გაკონტროლება სურს»

**საფრანგეთის პრემიერმინისტრმა მანუელ ვალსმა საზოგადოებას ახალგაზრდა მუსლიმთა რადიკალიზაციის აღკვეთისკენ მოუწოდა, რაც, ფაქტობრივად, საფრანგეთის მეჩეთების სახელმწიფოს მიერ გაკონტროლებას ნიშნავს, — იუწყება ბი-ბი-სი. მოქალაქეებისადმი მიმართვა გამოქვეყნდა გაზეთში „ჟურნალ დიუ პარი“.**

ვალსმა განაცხადა, რომ საფრანგეთის სახელმწიფომ თავი უნდა დაანებოს „ნებისმიერ პატერნალიზმს“ ისლამის მიმართ, ამასთანავე, აღნიშნა, რომ „აუცილებლად საჭიროა, დავეხმაროთ ისლამს, საფრანგეთში გათავისუფლდეს მათგან, ვინც მას შიგნიდან ანგრევს“.

„თუ ისლამი არ დაეხმარება რესპუბლიკას მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც საზოგადოების თავისუფლებას ემუქრება, რესპუბლიკას გაუძნელდება აღმსარებლობის თავისუფლების გარანტირება“, — აფრთხილებს ვალსი საზოგადოებას.

მას მხარი დაუჭირეს მუსლიმმა ბიზნესმენებმა, იურისტებმა და მეცნიერებმა, რომლებმაც სპეციალური მიმართვა გამოაქვეყნეს. საფრანგეთის შს მინისტრმა **ბერნარ კაზნევმა** გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად შარშანდელი დეკემბრის შემდეგ ქვეყანაში დაიხურა ოცამდე მეჩეთი, რომლებშიც რადიკალური ისლამის პროპაგანდას ეწეოდნენ. მან, აგრეთვე, აღნიშნა, რომ ქვეყანაში მოქმედებს 2500-მდე მეჩეთი და სამლოცველო დარბაზი. მათგან დაახლოებით 120-ში ქადაგებენ სალაფიას — სუნიტური ისლამის რადიკალურ მიმართულებას.

## ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძაფების ვიბრაციის წყალობით ობობები გრძნობენ, როცა ქსელი ზიანდება ან მასში მორიგი მსხვერპლი გაებმება. გასაოცარია, მაგრამ ამ ვიბრაციის სიხშირეებს შორის სხვაობით ხვდებიან ობობები, კონკრეტულად რა ხდება მათ ქსელში.**



# «სონიმ» სმარტფონებისთვის ინოვაციური კამერა გამოუშვა

**„სონიმ" სმარტფონებისთვის განკუთვნილი 22.5-მეგაპიქსელიანი IMX318-ის კამერის გამოშვება დააანონსა, რომელსაც სხვა ბრენდის ფლაგმან სმარტფონებსა და „სონის" საშუალო კლასის სმარტფონებზე ვიხილავთ, მათ შორის — Xპერია M6-ზე.**

კამერა ინოვაციურია, აქვს ინტეგრირებული 3-არხიანი ელექტრონული სტაბილიზატორი, 192-ფაზიანი, 0.017-წამიანი ავტოფოკუსი და კონტრასტზე დაფუძნებული ავტოფოკუსი (ორივე ერთად ჰიბრიდული ავტოფოკუსითაა ცნობილი) 1 მიკროპიქსელისა და 1/2.6 ინჩის სენსორის ზომით.

GoPro
Be a HERO.

# GoPro-ს სიახლეები ვირტუალური რეალობის შექმნაში



**ცნობილმა ბრენდმა GoPro-მ ვირტუალური რეალობის შექმნაზე მომუშავე ფრანგული ფირმა Kolor-ის შეძენის შესახებ განაცხადა. კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფა მის მომხმარებლებს საშუალებას აძლევდა, ფოტო ან ვიდეოსერიებით 360-გრადუსიანი პანორამები და ვიდეომასალები შეექმნა. საინტერესოა, რომ ამის გასაკეთებლად Kolor-ის მომხმარებლები უმეტესად სწორედ GoPro-ს სუბიექტურ კამერებს იყენებდნენ. ამიერიდან კი ამ ორი ბრენდის კოლაბორაციით ერთ სისტემაში შეგეძლებათ გადაიღოთ და გარდაქმნათ ფოტო თუ ვიდეომასალა, როგორც კომპანიების წარმომადგენლები უწოდებენ, სფერულ კონტენტად.**

როგორც GoPro-ს აღმასრულებელმა დირექტორმა **ნიკ ვუდმენმა** თქვა, სფერული კონტენტის შექმნა დასაწყისში გარკვეულ ტექნიკურ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული, თუმცა ბრენდის მომხმარებლებისთვის სამგანზომილებიანი სურათების გადაღება უკვე ისე პოპულარული იყო, რომ ახალი და ბევრისთვის წარმოუდგენელი ნაბიჯი ლოგიკური ჩანდა. „ვფიქრობ, ვირტუალური რეალობის შექმნა ჯერ მხოლოდ ამ საქმის პროფესიონალებსა და გამოცდილ მომხმარებლებს შეუძლიათ. ამჟამად ამის გაკეთება მხოლოდ 6 ან მეტი GoPro კამერის და 3D პრინტერის გამოყენებით არის შესაძლებელი. გადაღებული მასალა უნდა დამუშავდეს Kolor-ის პროგრამაში და მხოლოდ შემდგომ გარდაიქმნას სფერულ კონტენტად. უახლოეს მომავალში კი ჩვენი ტექნიკური უზრუნველყოფით სულ უფრო მეტ ფანტასტიკურ ვიდეო თუ ფოტონამუშევრებს ვიხილავთ. კომპანიები სფერული კონტენტის შექმნის პროცედურების გამარტივებას შეეცდებიან და, დროთა განმავლობაში, უკვე ყველა დაიწყებს ვირტუალური რეალობის შექმნას", — თქვა ნიკ ვუდმენმა სიახლის დაანონსებისას.



# ობობას ქსელი ახალ-ახალი თვისებებით კვლავაც აოცებს მეცნიერებს

**დიდი ხანია, ვიცით, რომ ობობას ქსელი ნამდვილად საოცარი მასალაა, მაგრამ მეცნიერები ამ პატარა აბრეშუმის ძაფებში კვლავ პოულობენ განსაცვიფრებელ თვისებებსა და თავისებურებებს.**






მაგალითად: მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა ახლახან აღმოაჩინა, რომ **ობობას ქსელს ნახევრადგამტარის თვისებაც აქვს**. თუმცა, ელექტრონებთან მუშაობის ნაცვლად მისი გამოყენება შესაძლებელია ხმისა და სითბოს მანიპულაციისთვის.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ობობას ქსელს შეუძლია ხმის გარკვეული კვაზინაწილების (ფონონების) ბლოკირება სხვადასხვა სიხშირით, ისევე, როგორც ნახევარგამტარს — გარკვეული ელექტრონების ბლოკირება.

„არის სიხშირის გარკვეული დიაპაზონი, რომლის ბლოკირებაც შეიძლება. ამ მასალის მიღმა ხმა ვერ გააღწევს", — ამბობს რაისის (კერძო კვლევითი უნივერსიტეტი აშშ-ში, ჰიუსტონში) უნივერსიტეტის წარმომადგენელი, კვლევის თანაავტორი **ედვინ ტომასი**. ამ ეფექტს ჰქვია „აკრძალული ზონის ფართობი". ის მეცნიერებს საშუალებას აძლევს, ეფექტიანად გამოიყენოს ამგვარი თვისების მქონე მასალა ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნით.

ფოტონური კრისტალები, ისეთი, როგორიც არის ოპალი, მაგალითად, ბუნებრივად წარმოქმნილი, იმავეს აკეთებს, ოღონდ სინათლის ტალღებით. რა თქმა უნდა, ფოტონურ კრისტალებს შეუძლია ანალოგიურად იმოქმედოს ხმაზეც, მაგრამ ეს მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს ობობას ქსელის კვლევისას.

**ობობას ქსელს შეუძლია, ლითონზე მტკიცე იყოს და რეზინასავითაც გაიწელოს.** სწორედ ამიტომ, ბევრი მეცნიერი ცდილობს, მისი თვისებები ეფექტიანად გადმოიტანოს ისეთ მასალებში, როგორიცაა, მაგალითად, ნეილონი. ამას გარდა, **ქსელს აქვს წებოვნების თვისება, ნატურალური ანტიმიკრობული თვისებები და ჰიპოალერგენულიცაა.**

ყველა ეს საოცარი თვისება მისი კრისტალური სტრუქტურიდან მომდინარეობს. თითოეულ ძაფში უფრო წვრილი ძაფებია, რომლებიც აძლიერებს მის სიმტკიცეს და აძლევს გაწელვის საშუალებას. მასალის 70 პროცენტი შედგება **გლიცინისგან**, მასში, აგრეთვე, შედის სხვა ბუნებრივი ამინომჟავებიც — **ალანინი** და **სელინი**. ამ კომპონენტებიდან ერთი უფრო მოწესრიგებული სტრუქტურისაა, მეორე — ნაკლებად. სწორედ ეს სხვაობა განაპირობებს ობობის ქსელის სიმტკიცეს.

ძაფების ვიბრაციის წყალობით ობობები გრძნობენ, როცა ქსელი ზიანდება ან მასში მორიგი მსხვერპლი გაებმება. გასაოცარია, მაგრამ ამ ვიბრაციის სიხშირეებს შორის სხვაობით ხვდებიან ობობები, კონკრეტულად რა ხდება მათ ქსელში.

როცა ტომასი და მისი გუნდი სწავლობდნენ ობობის ქსელის სტრუქტურას, აღმოაჩინეს, რომ გაწელვა ან პირიქით — მოდუნება შედარებით რბილი ჯაჭვისა, რომელიც გაცილებით მტკიცე ჯაჭვით აერთებს ძაფში პროტეინების კრისტალებს, ასევე ცვლის მათ აკუსტიკურ თვისებებსაც. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ „აკრძალული ზონის ფართობის" კონტროლი შესაძლებელია ძაფის უბრალო დაჭიმვით. ამას გარდა, მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ **ობობას ქსელს სითბური თვისებებიც აქვს**.

„ფოტონური კრისტალები ხმის ტალღების მართვის საშუალებას იძლევა. თუკი ეს ტალღები საკმაოდ მოკლე იქნება და გარკვეული სიხშირის, მაშინ მასალის ადაპტირება სითბურ თვისებებზე შესაძლებელია. თუკი ჩვენ შევძლებთ, სითბოს მივცეთ გარკვეული მიმართულება, ამ მასალას, ფაქტობრივად, ვაქცევთ თერმოიზოლატორად, რაც ასე არ იყო აქამდე", — ამბობს ტომასი.

თუკი მეცნიერები შეძლებენ კრისტალური მიკროსტრუქტურის აღდგენას, რომელიც ობობას ქსელს ასეთ განსაკუთრებულს ხდის, მაშინ უამრავი შესაძლებლობა გაჩნდება ახალი სინთეზური მასალის წარმოებისა, მასალების, რომლებიც ხმას ჩაახშობს ან უზრუნველყოფს იზოლაციას.

# «ჯოჯოხეთის კარიბჭე» 45 წლისაა

**„ჯოჯოხეთის კარიბჭე" — ეს არის ბუნებრივი აირის საბადო თურქმენეთში, აჰალის პროვინციის სოფელ დარვაზაში. ის ბუნებრივი აირის წყაროა, რომელიც მას შემდეგ იწვის, რაც პირველად აანთეს საბჭოთა ნავთობქიმიკოსებმა 1971 წელს. დამწვარი გოგირდის მომწამლავი სუნი კი გარშემო ვრცელდება.**





ყარაყუმის უდაბნოს, რომელიც მდებარეობს თურქმენეთის ტერიტორიაზე, ქვეყნის 70% უკავია, ხოლო სოფელი დარვაზა ყარაყუმის უდაბნოს შუაგულშია, აშხაბადიდან 260 კმ-ის დაშორებით. ბუნებრივი აირის ეს საბადო ერთ-ერთი დიდია მსოფლიოში. სახელი „ჯოჯოხეთის კარიბჭე"ადგილობრივებმა უწოდეს, რაც დაკავშირებულია მდუღარე ტალახთან და ცეცხლის ალთან. ამ "კარიბჭის" კრატერის დიამეტრი 70 მეტრია და 350 კვ. კმ ფართობი უჭირავს.

წელს თურქმენეთში, კერძოდ, ყარაყუმის უდაბნოში, მდებარე „ჯოჯოხეთის კარიბჭე" 45 წლის გახდა.

საბადოს პოვნის შემდეგ დაიწყეს ბუნებრივი აირის შენახვა, მაგრამ სათხრელი მოწყობილობის ქვეშ მიწა ჩაინგრა და დიდ კრატერში გაუჩინარდა. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, მაგრამ დიდი რაოდენობით მეთანის აირი ამოიფრქვა და შექმნა გარემოს დაბინძურების პრობლემა, რომელიც პოტენციური საფრთხე იყო ახლომახლო მცხოვრები ხალხისთვის.

დღეს სოფელ დარვაზაში მხოლოდ 350 ადამიანი ცხოვრობს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## როგორ მოვაშოროთ ეზოდან არასასურველი ბალახი სამუდამოდ



**ამისათვის საკმარისია მარტივი და იაფი საშუალება, რომელიც თვითონ შეგიძლიათ მოამზადოთ.** უამრავ ადამიანს სურს, ეზოდან არასასურველი ბალახი ამოძირკვოს, მაგრამ ზოგიერთი სარეველა ძალიან ძნელი მოსაშორებელია, არსებობს ქიმიური საშუალებები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს და უამრავი დაავადების გამომწვევი მიზეზია. თქვენ შეგიძლიათ თვითონ დაამზადოთ უსაფრთხო და ეფექტიანი საშუალება, რომელიც ბალახს სამუდამოდ მოაშორებს როგორც ეზოდან, ასევე ბაღიდან. ამისათვის საჭიროა ძმარი და სპრეის ბოთლი. თუ სარეველებისა და ძნელად ამოსაძირკვი ბალახების მოშორება გსურთ, თეთრი ძმარი, მარილი და საპონი უნდა მოათავსოთ სპრეის ბოთლში და მიასხუროთ სათითაოდ ყველა ბალახს.

# ყველაზე მაღალი ერი

**როგორც გაირკვა, მსოფლიოში ყველაზე მაღალი მამაკაცები ჰოლანდიელები არიან (საშუალო სიმაღლე 183 სმ), რაც შეეხება ქალებს, ამ მხრივ ლატვიელები ლიდერობენ (საშუალო სიმაღლე 170სმ).**



მეცნიერებმა შეისწავლეს 187 ქვეყნის საშუალო სიმაღლის ცვალებადობა ბოლო 100 წლის განმავლობაში. კვლევის შედეგები ჟურნალ „ლაიფში" გამოქვეყნდა.

1914 წელთან შედარებით ყველაზე სწრაფი ტემპით გაიზარდნენ **ირანელი მამაკაცები** და **სამხრეთ კორეელი ქალები** (შესაბამისად, 16 და 20 სანტიმეტრი).

**ბრიტანელები** ბოლო 100 წლის განმავლობაში 11 სანტიმეტრით გაიზარდნენ: ამჟამად მამაკაცის საშუალო სიმაღალე 178 სმ-ია, ხოლო ქალის — 164სმ.

სიურპრიზი აღმოჩნდა **აშშ**-ის შედეგები. ამერიკელის საშუალო სიმაღლე იგივე დარჩა, რაც გასული საუკუნის 60-70 წლებში იყო. 100 წლის განმავლობაში ამერიკელთა საშუალო სიმაღლემ 5 სანტიმეტრით მოიმატა. უფრო მეტიც, სიმაღლეში ზრდის ტემპით აშშ 100 წლის წინათ მე-3 (მამაკაცებში) და მე-4 (ქალებში) ადგილს იკავებდა; ამჟამად, შესაბამისად, 37 და 42 ადგილზე გადაინაცვლა.

სიმაღლის მატების ტენდენცია ყველაზე შესამჩნევი ევროპის ქვეყნებშია. შედარებითი მატება შეინიშნება აღმოსავლეთ აზიაში (იაპონია, კორეა, ჩინეთი).

რაც შეეხება ყველაზე დაბლებს: ამ მხრივ კაცებში ლიდერობს **აღმოსავლეთი ტიმორი** (საშუალო სიმაღლე 160სმ), ხოლო ქალებში — **გვატემალა** (1914 წელს მათი საშუალო სიმაღლე 140 სმ იყო, ამჟამად თითქმის მეტრ-ნახევარს მიაღწიეს).

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ სიმაღლის მატების ტენდეცია თითქმის არ შეეხო სამხრეთ აზიის ქვეყნებს (ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში) და აფრიკას (იგივე დარჩა რაც 100 წლის წინათ იყო). უფრო მეტიც, 1970-იანი წლების შემდეგ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში კლების ტენდეცია შეინიშნება. მაგალითად: **უგანდასა** და **სიერალეონეში.**

მოხსენება „ზრდასრული ადამიანების სიმაღლის საუკუნის ტრენდი" მოამზადა ჯგუფმა NCD Risk Factor Collaboration-მა, რომელშიც 800 მეცნიერი შედიოდა. ისინი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად მუშაობდნენ.

როგორც მეცნიერები ამბობენ, სიმაღლის მატების განსხვავებული ტენდენცია სხვადასხვა ქვეყანაში გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით. ესაა: გენეტიკა, პოპულაცია, ეკონომიური თუ სოციალური კეთილდღეობა, ჯანდაცვის სისტემა, ეკოლოგია, სანიტარია, ჯანსაღი კვება, კლიმატი და ა. შ.

მეცნიერების ნაწილის აზრით, სიმაღლის გამუდმებულ მატებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგები. როგორც წესი, მაღალ ადამიანებს უფრო იშვიათად უვითარდებათ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სამაგიეროდ, უფრო მეტი შანსი აქვთ, დაავადდნენ კიბოს ზოგიერთი სახეობით.

„ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, სიმაღლის მატებამ შეიძლება უჯრედების მუტაცია გამოიწვიოს", — განაცხადა **ელიო რობერმა,** მეცნიერმა საიმპერატორო კოლეჯიდან.

ახლა კი მსოფლიოს 10 ყველაზე მაღალი ერის სარეიტინგო სიას გავეცნოთ (ფრჩხილებში მითითებულია 1914 წელს დაკავებული ადგილი):

**მამაკაცები:**

1. ჰოლანდია (12)
2. ბელგია (33)
3. ესტონეთი (4)
4. ლატვია (13)
5. დანია (9)
6. ბოსნია და ჰერცოგოვინა (19)
7. ხორვატია (22)
8. სერბეთი (30)
9. ისლანდია (6)
10. ჩეხეთის რესპუბლიკა (24).

**ქალები:**

1. ლატვია (28)
2. ჰოლანდია (38)
3. ესტონეთი (16)
4. ჩეხეთის რესპუბლიკა (69)
5. სერბეთი (93)
6. სლოვაკეთი (26)
7. დანია (11)
8. ლიტვა (41)
9. ბელარუსი (42)
10. უკრაინა (43)



# სათვალე, რომელიც ბრმას მხედველობას დაუბრუნებს

**სათვალე, რომელსაც ფოტოზე ხედავთ, მართლაც სასწაულებრივია: კამერა იჭერს გამოსახულებას, რომელსაც აანალიზებს კომპიუტერი და უკაბელო ტექნოლოგიით გადაეცემა თვალის ბადურის ქვეშ მოთავსებულ იმპლანტს.**

იმპლანტი შეიცავს 150 ელექტროდს და შეუძლია მხედველობის ნერვის სტიმულირება. პაციენტს საშუალება ეძლევა, გაარჩიოს შავი, თეთრი, აგრეთვე, რუხი ჩრდილები. გამომგონებლები ამბობენ, რომ ადაპტაციის შემდეგ პაციენტები, რომლებიც ადრე საერთოდ ვერ ხედავდნენ, შეძლებენ ადამიანის სახის ნაკვთების გარჩევას, დიდი ასოებით დაწერილის წაკითხვას.

ამჟამად ექსპერიმენტში მონაწილეობენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ავსტრიის მცხოვრებნი.




# ნათურა, რომელსაც ელექტროენერგია არ სჭირდება

**მეცნიერები განაგრძობენ ახალი LED-ნათურის დამზადებას, რომელსაც ელექტროენერგია არ დასჭირდება და გრავიტაციაზე იმუშავებს. ნათურები გათვალისწინებულია იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ელექტროენერგია შეზღუდულად მიეწოდება.**

Gravity Light-ის ნათურას არ სჭირდება ტრადიციული ენერგიის წყარო. მისთვის საკმარისია 12 კილოგრამი ტვირთი, რომელიც სპეციალურად კაუჭზე უნდა დაიკიდოს. ტვირთი ნელ-ნელა ეშვება ქვემოთ, ეს გრძელდება დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, ამ ხნის განმავლობაში ნათურა ანათებს, შემდგომ პროცესი უნდა განმეორდეს და ასე დაუსრულებლად...

გამომგონებლები დარწმუნებულნი არიან, რომ Gravity Light-ი დიდ პოლულარობას მოიპოვებს ღატაკ აფრიკის ქვეყნებში, სადაც ელექტროენერგიის დეფიციტია. ახალმა ტექნოლოგიამ გამოცდა უკვე გაიარა მსოფლიოს 26 ქვეყანაში.



# რატომ გირჩევთ კოღო თქვენ და არა სხვას?

**არ გიფიქრიათ, რომ კოღო კონკრეტულად თქვენ გეძებთ, რომ მანიაკურად გადაგეკიდათ და უნდა დაგკბინოთ? ალბათ, იმაზეც გიფიქრიათ, რა არის ამის მიზეზი. ამაში დამნაშავე, ძირითადად (70%), თქვენი გენებია.**



კოღოები თქვენ გირჩევენ მსხვერპლად მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით. ეს ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაადგინეს მეცნიერებმა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დაკვირვებას სხვადასხვა სახეობის კოღოებზე ატარებდნენ, ამიტომ ფაქტორები, რომელთა გამოც თქვენით შეიძლება დაინტერესდეს კოღო, შეიძლება, სხვადასხვა იყოს. ეს იმაზეა დამოკიდებული, კოღოს რომელი სახეობა არის თქვენს რეგიონში გავრცელებული. ზოგადი სურათი კი ასეთია:

*** ადამიანები, რომლებსაც პირველი ჯგუფის სისხლი აქვთ, უფრო მიმზიდველები არიან კოღოებისთვის,** ვიდრე ადამიანები ნებისმიერი სხვა ჯგუფის სისხლით.

*** ფეხმძიმე ქალები 2-ჯერ უფრო მეტად იზიდავენ მალარიის კოღოებს,** ვიდრე სხვა ადამიანები. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ ექიმებმა და მომავალმა დედებმა, რადგან დღეს მსოფლიოში გავრცელებულია ზიკას ვირუსი, რომლის გამოც ბავშვები თანდაყოლილი დეფექტებით იბადებიან.



*** ადამიანები, რომლებიც ლუდს სვამდნენ, უფრო მიმზიდველები აღმოჩნდნენ კოღოებისთვის,** ვიდრე მათი ფხიზელი მეგობრები.

**ზოგიერთი ადამიანის ორგანიზმი გამოყოფს ატრაქტანტს – ეს არის ნივთიერება, რომელიც მწერებს იზიდავს,** მაშინ, როდესაც სხვა ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება ნივთიერება, რომელიც აფრთხობს მწერებს. ჯერჯერობით უცნობია, ეს ნივთიერებები როგორ მუშაობს. თუმცა, მეცნიერები ცდილობენ მის გამოყოფას და კოღოების საწინააღმდეგო ხაფანგების ან დასაფრთხობი სპრეის შექმნას.

*** კოღოებს ის ადამიანები მოსწონთ, რომლებიც სუნთქვისას დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს გამოყოფენ.** ვარჯიშისას ადამიანის ორგანიზმში რძემჟავა წარმოიქმნება, რომელიც ოფლში მოხვედრის შემთხვევაში ატრაქტანტი ხდება კოღოებისთვის.

გენეტიკის შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ არის საშუალებები, რომლებიც დაგიცავთ კოღოების შემოტევისგან როგორც სახლში, ისე ქუჩაში. თავდაცვა კი აუცილებელია, რადგან, გარდა იმისა, რომ კოღოს ნაკბენი ქავილსა და დისკომფორტს იწვევს, ჯანმრთელობისთვის სახიფათოც არის. **კოღოს გადააქვს ისეთი დაავადებები, როგორიც არის ზიკას ვირუსი, მალარია, ყვითელი ციება, დასავლეთ ნილოსის ციება და სხვ.**

კოღოებს, ისევე, როგორც ჩვენ, განვითარებული აქვთ ყნოსვის ორგანოები. **ისინი ყველაზე მეტად ვერ იტანენ მიხაკის, რეჰანის, ევკალიპტის, კედრისა და ანანასის სუნს.** ამ მცენარეებიდან ნებისმიერის ეთერზეთის სხეულის ღია ადგილზე დაწვეთების შემთხვევაში ან 5-10 წვეთის სუნამოში ან ოდეკოლონში ჩამატების და მისი მოხმარების შემდეგ მთელი დღე დაცული იქნებით კოღოებისგან.

რაც შეეხება სახლში თავდაცვას, არც ეს არის რთულად მოსაგვარებელი პრობლემა:

გამხმარი გვირილა დაფქვით და მოაბნიეთ სახლში ან ქოთანში პომიდორი ჩარგეთ და ფანჯრის რაფაზე დადგით. კოღო არასოდეს გაეკარება ფანჯარას, სადაც პომიდვრის ფოთლების სუნი ტრიალებს.

## ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მერსედესის“ უპილოტო ავტობუსში მთავარი არის ავტოპილოტის სიტემა CITY PILOT, რომლითაც შეუძლია გადაადგილდეს ავტონომიურად. შეუძლია წინაღობების, შუქნიშნების, გზაჯვარედინებისა და ქვეითთა გადასასვლელების იდენტიფიცირება. დამონტაჟებული აქვს 10 კამერა 3D ხედვით, რომლებიც მოკლე და შორ დისტანციებზე კომბინირებულად აწარმოებენ სისტემის ინფორმირებას. ავტობუსის მაქსიმალური სიჩქარე საათში 70 კილომეტრია, თუმცა ინჟინრები მომავალში სიჩქარის მომატებას აპირებენ.**





# «მერსედესმა» უპილოტო ავტობუსი გამოსცადა

**კომპანია “მერსედეს-ბენცმა” გამოსცადა თვითმავალი ავტობუსი Future Bus-ი და შეგვიქმნა წარმოდგენა, როგორი იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტი მომავალში.**



ავტობუსი შეიქმნა Mercedes-Benz Citaro-ს ბაზაზე, აღჭურვილია 6-ცილინდრიანი 300 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ძრავით. Future Bus -ის შიგა სივრცე მთლიანად ფუტურისტულია და ადგილები დაყოფილია ზონებად, იმის მიხედვით, რამდენ ხანს მოუწევს ადამიანს მგზავრობა.

„მერსედესის“ უპილოტო ავტობუსში არის ავტოპილოტის სიტემა City Pilot, რომლითაც შეუძლია გადაადგილდეს ავტონომიურად. შეუძლია წინაღობების, შუქნიშნების, გზაჯვარედინებისა და ქვეითთა გადასასვლელების იდენტიფიცირება. დამონტაჟებული აქვს 10 კამერა 3D ხედვით, რომლებიც მოკლე და შორ დისტანციებზე კომბინირებულად აწარმოებს სისტემის ინფორმირებას.

City Pilot-ი აღჭურვილია უზუსტესი GPS ნავიგაციით და ახლო და შორი რადიუსის რადარებით, რომლებსაც შეუძლია გზისა და მიმართულების სკანირება.

ავტობუსის მაქსიმალური სიჩქარე საათში 70 კილომეტრია, თუმცა ინჟინრები მომავალში სიჩქარის მომატებას აპირებენ.

Future Bus-ის ტესტირება ამსტერდამში მოხდა. 20-კილომეტრიანი მონაკვეთი მანქანამ წარმატებით გაიარა, აბსოლუტური სიზუსტით დაიცვა მოძრაობის წესები, ჩერდებოდა გაჩერებებზე, შუქნიშანთან, გაატარა ქვეითები. საჭიროების შემთხვევაში მძღოლს შეუძლია, გამორთოს ავტოპილოტი და ავტობუსი თვითონ მართოს.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია Future Bus -ის გერმანიის გზებზე გამოცდა.

# ლეგენდარული «ჟიგული 2001» ბრუნდება



**ჭორები ლეგენდარული ВАЗ 2101-ის დაბრუნების შესახებ ორი თვის წინათ გავრცელდა. მწარმოებლებმა თავდაპირველად ეს ინფორმაცია უარყვეს, თუმცა საინფორმაციო საშუალებებში მაინც გაჟონა ავტომობილის დაბრუნების შესახებ ცნობებმა.**

ლეგენდარული პირველი „ჟიგულის“ მოდერნიზებული ვარიანტი მართლაც დაბრუნდება და იგი მიეძღვნება მის 50 წლის იუბილეს. თანამედროვე ВАЗ 2101 -ს ქარხნის ახალი ინდექსით 2020 წლამდე იხილავს მომხმარებელი.

როგორც ირკვევა, ავტომობილს ლიმიტირებული ტირაჟით დაამზადებს ტოლიატის ქარხნის ერთ-ერთი შვილობილი საწარმო.

სხვათა შორის, ზოგიერთი წყარო ირწმუნება, რომ ცნობილი კლასიკური მოდელის ახალ ვარიანტში წამყვანი ლილვი წინა პლატფორმაზე იქნება განთავსებული.

რა თქმა უნდა, პერსპექტიულ ახალ მოდელს მხოლოდ გარეგნული მსგავსება ექნება ორიგინალთან.

შეგახსენებთ, იტალიური „ფიატი 124“-ის (რომელიც 1967 წელს წლის საუკეთესო ავტომობილად დაასახელეს) ბაზაზე ვოლჟსკის ავტოქარხნის კონვეირიდან პირველი ავტომობილი ВАЗ-2101 (იგივე Lada 1200, Lada 1300, Lada 1200S, )1970 წელს ჩამოვიდა. მისი წარმოება 1988 წლამდე გრძელდებოდა.

მსოფლიოში სულ გაყიდულია 22 700 000 ავტომობილი (მათგან 17, 6 მლნ „ჟიგული“/ „ლადა“, დანარჩენი — ფიატი -124, 125”.). გაყიდვის მხრივ **„ჟიგულის“ მე-4 ადგილი უკავია მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე პოპულარული ავტომობილების რეიტინგში.**

# «მერსედეს-ბენცმა» თავისი პირველი ელექტრონული სატვირთო წარმოადგინა

**კონცერნმა Daimler-მა, რომელსაც ეკუთვის საავტომობილო მარკა Mersedes-ი, გადაწყვიტა, არ დალოდებოდა, როდის დაიწყებდა „ტესლა მოტორსი“ სატვირთოების კეთებას და გერმანიის ქალაქ შტუტგარტში წარმოადგინა თავისი პირველი მთლიანად ელექტრული მძიმე სატვირთო მანქანის პროტოტიპი.**



სატვირთო 26 ტონას იწონის. მას „ურბან ეტრუკი“ ჰქვია და, როგორც სახელწოდება მიანიშნებს, გათვალისწინებულია ტვირთის გადასაზიდად მოკლე დისტანციაზე ქალაქის პირობებში. ასეთი ეკოლოგიურად მომგებიანი მანქანა გაახარებს ქალაქის მცხოვრებლებსაც — დიდი ავტომანქანების ძრავი ხომ საოცრად ხმაურობს, ელექტრონულ მანქანებს კი ეს პრობლემა არ აქვს.

ერთი დატუმბვით „ურბან ეტრუკს“ 200 კმ-ის გავლა შეუძლია. მისი გამოცდა იგეგმება შემოდგომაზე, მაგრამ სერიულ წარმოებაზე ჯერ არ საუბრობენ.

მწარმოებლის პრესრელიზში ნათქვამია, რომ 2025 წლამდე კონცერნის მიერ წარმოებული აკუმულატორების ფასი საგრძნობლად შემცირდება. ეს კი მწარმოებლებს საშუალებას მისცემს, უფრო ტევადი ბატარეები გააკეთონ. ამასობაში კი, შესაძლოა, შეიქმნას შესაბამისი ინფრასტრუქტურაც პროტოტიპის დასამუშავებლად და სერიულ წარმოებაში ჩასაშვებად.

ადრე **„ტესლა მოტორსმა“ დააანონსა თავისი პირველი ელექტროტვირთმზიდი,** რომელსაც გაისად გვიჩვენებს. მათ არც რუსი მწარმოებლები ჩამორჩებიან, პირიქით — უსწრებენ კიდეც. **შარშან „კამაზმა“, სატვირთო და სპეცტექნიკის მწარმოებელმა რუსულმა კომპანიამ, „კამაზ-4308“-ის ბაზაზე ელექტრული ტვირთმზიდის პროტოტიპი შექმნა.**

„კამაზის“ სპეციალისტები შეუდგნენ მის გამოცდას. ისინი ვარაუდობენ, რომ სერიული წარმოება 2020 წლიდან დაიწყება. პრობლემები იქაც იგივეა, რაც გერმანიაში — არ არსებობს დამმუხტველი სადგურების ქსელი.





### ხვრელი Monticello-ს წყალშემკრებ რეზერვუარში

**ეს დიდი ხვრელი ჩრდილოეთ კალიფორნიაში (აშშ) მდებარეობს. ის დაახლოებით 55 წლის წინათ შექმნეს.** მისი დანიშნულებაა, რეზერვუარიდან მომენტალურად მოაშოროს ზედმეტი წყალი, როცა მისი დონე დაშვებულ ნორმას აჭარბებს. ვიზუალურად ის გიგანტურ ბეტონის მილს ჰგავს. მას შეუძლია წამში გაატაროს 1370 კუბ. მეტრი წყალი. ხვრელის სიღრმე 21 მეტრია. მას ზემოდან ქვემოთ კონუსის ფორმა აქვს. მისი დიმეტრი მაღლა 22 მეტრია, დაბლა — 9 მეტრი.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ცნობილი ხვრელები მსოფლიოში



## ბიმას ხვრელი

მდებარეობს ჩრდილოეთ ომანში, უწოდებენ ყველაზე ლამაზ კარსტულ მოვლენას მსოფლიოში. მისი სიღრმე 20 მეტრზე მეტია. ეს ძაბრისებრი ხვრელი ავსებულია გამჭირვალე წყლით, რომელშიც პატარა თევზები ბინადრობენ. მის ფსკერზე კი გრძელი 500-მეტრიანი გვირაბია, რომელიც პირდაპირ ზღვაში გადის, რის გამოც აქ მტკნარი და ზღვის წყალი ერთმანეთს ერევა.



## კარსტული ხვრელი დაიზეტა

მღვიმე, რომლის სიღრმეც 80 მეტრია წარმოიქმნა ტეხასში.



## დიდი ლურჯი ხვრელი

მდებარეობს ბელიზში. სიგანე 400 მ-ია, სიღრმე — 160 მ-მდე.



## ხვრელი გვატემალაში

2007 წელს გვატემალის დედაქალაქ გვატემალა სითიში, ერთ-ერთ ინდუსტრიულ რაიონში, წარმოიქმნა 100 მეტრის სიღრმის ხვრელი, რომელმაც ათეულობით სახლი მიწამ ჩაიტანა, დაიღუპა 15 ადამიანი, ხოლო საჭირო გახდა, დაახლოებით, 300 ადამიანის ევაკუაცია.



## კარსტული ხვრელი მაკუნჯი

წარმოიქმნა 1986 წელს პენსილვანიაში(აშშ). სიღრმეც 10.5 მეტრია, ხოლო სიგრძე 23 მეტრი.



## ცისფერი ტბა

მისი სიღრმე 202 მეტრს აღწევს, მდებარეობს ბაჰამის კუნძულებზე, არის მრგვალი ფორმის, რაც მის სიღრმეს 20 მეტრით ზრდის.



## ჰარვუდის ხვრელი

მდებარეობს აბელ ტასმანის სახელობის ეროვნულ პარკში, ახალ ზელანდიაში, მისი სიღრმე 183 მეტრია.



## სიმა ჰუმბოლდტი

ეს არის გიგანტური ხვრელი, რომელიც წარმოიშვა ვენესუელაში. სიღრმე 320 მეტრს აღწევს, მოცულობა 21 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. კედლები კი, პრაქტიკულად, ვეერტიკალურია, რის გამოც ამ კარსტულ წარმონაქმნში განსაკუთრებული ეკოსისტემა განვითარდა. აქ იზრდება ისეთი მცენარეები და ბინადრობენ ისეთი ცხოველები, რომლებსაც სხვაგან იშვიათად შეხვდებით.



## ხვრელი ფლორიდაში

Agrico Gypsum Stack-ი 36 მ დიამეტრისა და 54 მ სიღრმის ხვრელი 1994 წლის ივნისში წარმოიქმნა მალბერისთან (ფლორიდის შტატი) ახლოს. ამ ადგილს კომპანია IMC-Agrico ტოქსიკური ნივთიერებების ნაგავსაყრელად იყენებდა. მოგვიანებით კომპანიამ ნებაყოფლობით დახარჯა 6,7 მლნ დოლარი ამ ხვრელის ამოსავსებად, რათა ტოქსიკური ნარჩენები მიწისქვეშა წყლებში არ მოხვედრილიყო და ეკოლოგიური კატასტროფა არ გამოეწვია.



## ხვრელი მთა ტიანმენში

„ზეციური კარიბჭე“ — ასე ეწოდება აქ არსებულ მსოფლიოში ყველაზე მაღალ გამოქვაბულს, რომელიც წარმოადგენს უზარმაზარ ხვრელს კლდეში.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


მანუჩარ კვირკველია

* 2008 წლის 13 აგვისტოს პეკინის ოლიმპიადაზე ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავემ **მანუჩარ კვირკველიამ** და ძიუდოისტმა **ირაკლი ცირეკიძემ** ოქროს მედლები მოიპოვეს.


ირაკლი ცირეკიძე

რუბრიკა „ქრონოგრაფში" გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები



*** 1935 წლის 10 აგვისტოს თბილისში დაიბადა კომპოზიტორი, საქართველოსა და სსრკ-ის სახალხო არტისტი, სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გია ყანჩელი.**

1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოლოგის სპეციალობით, 1963 წელს კი — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორია.

1972 წლიდან მუშაობდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ. 1979 წელს კი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივნად დაინიშნა.

1977 წელს შექმნილმა სიმფონიამ „ინ მემორია მიქელანჯელო" საერთაშორისო აღიარება მოუტანა. დღემდე ნაყოფიერად თანამშრომლობს რუსთაველის თეატრთან. მას ეკუთვნის რობერტ სტურუას საუკეთესო სპექტაკლებისთვის შექმნილი მუსიკა („კავკასიური ცარცის წრე", „რიჩარდ III", „ჰამლეტი", „ქალი-გველი", „მეთორმეტე ღამე").

გია ყანჩელის შემოქმედებიდან აღსანიშნავია ოპერა „და არს მუსიკა", 6 სიმფონია, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისთვის, მუსიკა სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრისთვის; „სევდა ნათელი" — ბიჭუნათა გუნდის, ორი სოლისტისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის. მუსიკა კინოფილმებისთვის: „არ დაიდარდო", „ქვევრი", „არაჩვეულებრივი გამოფენა", „მიმინო", „შერეკილები", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „როცა აყვავდა ნუში", „ფეოლა", „რეკორდი" და სხვ.

ამჟამად ცხოვრობს ანტვერპენში (ბელგია), მაგრამ კავშირი საქართველოსა და რუსთაველის თეატრთან არასოდეს გაუწყვეტია.




*** 1899 წლის 13 აგვისტოს ლონდონში დაიბადა ბრიტანელი და ამერიკელი კინორეჟისორი, პროდიუსერი და სცენარისტი ალფრედ ჯოზეფ ჰიჩკოკი.**

მისი შემოქმედება უწინარესად დამაკავშირებელია ჟანრ „ტრილერთან" (ინგლ. thrill — თრთოლა, მღელვარება). ჰიჩკოკი თავის ფილმებში ოსტატურად ქმნიდა მღელვარე გაურკვევლობასა და დაძაბულ მოლოდინს.

ჰიჩკოკმა 55 სრულმეტრაჟიანი ფილმი გადაიღო, მათგან ბევრი მსოფლიოს კინემატოგრაფის კლასიკად იქცა. ამასთანავე, ჰიჩკოკმა გადაიღო 21 ტელე და 2 დოკუმენტური ფილმი.

დაჯილდოებულია აშშ-ის კინოაკადემიის ჯილდო „ოსკარით" (1968 წ.) და საერთაშორისო ჟურნალისტური პრემიით „ოქროს გლობუსით".

ჰიჩკოკის ფილმებიდან აღსანიშნავია: „შანტაჟი"; „იუნონა და ფარშავანგი"; „მდიდრები და უცნაურები"; „ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი იცოდა"; „მისტერ და მისის სმიტები" (1941 წ.); „ფანჯარა ეზოში"; „ფსიქო"; „ფრინველები"; „ტოპაზი"; „ოჯახური შეთქმულება"; „მარნი"; „თავბრუდახვევა" და სხვ.

გარდაიცვალა 1980 წლის 29 აპრილს.

*** 1645 წლის 16 აგვისტოს პარიზში დაიბადა ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, სატირიკოსი და მორალისტი ჟან დე ლაბრიუერი.**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „ხასიათები"; „სამყაროს შეცნობა"; „მონარქისა და მისი სახელმწიფოს შესახებ"; „ადამიანის შეცნობა" და სხვ.

გარდაიცვალა 1696 წლის 10 მაისს.





*** 1121 წლის 12 აგვისტოს მანგლისის მახლობლად (თბილისის მახლობლად) დიდგორის ველზე ქართველთა ჯარმა, დავით აღმაშენებლის მეთაურობით, დაამარცხა თურქ-სელჩუკთა კოალიციური ლაშქარი. ამ ბრძოლას იმჟამინდელი მემატიანეები მოიხსენიებენ, როგორც „ძლევაი საკვირველი".**

XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ქართველთა წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის, მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ნელ-ნელა გამოიხსნა გაპარტახებული საქართველო თურქ-სელჩუკთა მონობისგან.

1092 წელს დავით აღმაშენებელმა ხარკი შეუწყვიტა სულთანს, შემდეგ კი შეუდგა ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლას. აიღო ზედაზენი, შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, სამშვილდე, გიში, რუსთავი, ლორე. დამპყრობელთა ხელში თბილისი და დმანისი რჩებოდა. თურქ-სელჩუკებმა გადაწყვიტეს, პირველ რიგში, გაენადგურებინათ დავით IV აღმაშენებელის ჯარი, რათა ჩრდილოეთიდან დაცულებს ძალები ჯვაროსნების წინააღმდეგ მიემართათ.

დიდგორის ველზე მუსლიმანთა გაერთიანებული ჯარის რაოდენობა, თურქული და სომხური წყაროების მიხედვით, 250-300 ათასი კაცი იყო, არაბული, სპარსული, ქართული და ევროპული წყაროების მიხედვით — 500-600 ათასი. დავით აღმაშენებლის განკარგულებაში კი 56 ათასი მეომარი იყო, მათგან 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ოსი და 100 ფრანგი.

სისხლისმღვრელი შეტაკება სამ საათს გაგრძელდა. მაჰმადიანთა ლაშქარი სასტიკად დამარცხდა და უკუიქცა. დამარცხებულებს ქართველთა ჯარმა თბილისისა და დმანისისთვის თავის შეფარებისა და ძალების აღდგენის საშუალება არ მისცეს. დევნა 8 დღეს გაგრძელდა. დავით აღმაშენებლის ჯარმა მაჰმადიანთა ლაშქრის 90% გაანადგურა.

ამ გამარჯვების შემდეგ ქვეყანა საბოლოოდ გათავისუფლდა დამპყრობლებისგან. 1122 წელს — თბილისი, 1123 წელს კი დმანისი საქართველოს შეუერთდა. ეს იყო საქართველოს ისტორიის ოქროს ხანა. აღსანიშნავია, რომ დიდგორის ბრძოლიდან 100 წლის განმავლობაში საქართველო არც ერთ ომში არ დამარცხებულა.

*** 980 წლის 16 აგვისტოს აფშანაში (ბუხარასთან) დაიბადა სპარსი მეცნიერი, ექიმი და პოეტი, აღმოსავლური არისტოტელიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, შუა საუკუნეების ისლამური სამყაროს ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ფილოსოფოსი იბნ სინა (აბუ ალი ჰუსეინ იბნ აბდულაჰ იბნ ალ-ჰასან იბნ ალი იბნ სინა), დასავლეთში ცნობილია ავიცენას სახელით.**



იბნ სინას უმნიშვნელოვანესი თხზულება „სამკურნალო მეცნიერების კანონი" ლათინურად 1473 წელს ითარგმნა და გამოქვეყნდა მილანში. წიგნში ავტორი წერს სამკურნალო მცენარეების მოშენებაზე, ანატომიაზე, ფიზიოლოგიაზე, მწვავე ქრონიკული დაავადებების მკურნალობაზე და ა.შ.

არაბულ ენაზე გამოცემული აქვს ენციკლოპედიური ნაშრომი „მკურნალობის წიგნი", აგრეთვე, მეტაფიზიკური შინაარსის თხზულება „ცოდნის წიგნი".

იბნ სინას ფილოსოფიური ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „სალმან და აბსალი"; „წერილი ფრინველზე"; „ცოცხალი, ძე ფხიზლისა".

გარდაიცვალა 1037 წლის 18 ივნისს.



*** 1851 წლის 12 აგვისტოს ამერიკელმა მკერავმა ისააკ მერიტ ზინგერმა დააპატენტა საკერავი მანქანა „ზინგერი".** ეს მანქანა 100 წლის განმავლობაში მსოფლიოს 67 ქვეყნის 100 მლნ-ზე მეტ ადამიანს ემსახურებოდა.



*** 1769 წლის 15 აგვისტოს კუნძულ კოსიკაზე, ქალაქ აიაჩოში დაიბადა ფრანგი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის იმპერატორი (1804-1815) ნაპოლეონ I ბონაპარტე.**

ნაპოლეონი ლეგენდარული ფიგურაა, რომლის სახელიც ეწოდა იმ ეპოქას, რომელშიც ცხოვრობდა. მის მიერ გამართული რამდენიმე ბრძოლა შესულია სამხედრო სახელმძღვანელოებში. „ნაპოლეონის სამართალი" საფუძვლად დაედო დასავლურ დემოკრატიას.

1799 წელს ნაპოლეონმა სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და გახდა პირველი კონსული, რომლის ხელშიც თავმოყრილი იყო თითქმის სრული ძალუფლება. 1804 წელს საფრანგეთის იმპერატორის ტახტს დაეუფლა. მისი იმპერატორობის პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა საფრანგეთის ტერიტორიები.

ნაპოლეონის იმპერიის დასასრულის დასაწყისი იყო ომი რუსეთის წინააღმდეგ 1812 წელს. 1814 წელს რუსეთსა და მის მოკავშირეების ჯარების პარიზში შესვლის შემდეგ ნაპოლეონმა უარი თქვა იმპერატორობაზე. ის კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. 1815 წელს კვლავ დაიკავა საფრანგეთის იმპერატორის ტახტი, მაგრამ ვატერლოოს ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ხელისუფლებას კვლავ ჩამოაშორეს.

გარდაიცვალა 1821 წლის 5 მაისს.



*** 1793 წლის 10 აგვისტოს ფრანგი მეფეების ყოფილი სასახლე, მსოფლიოს არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი ლუვრი პირველად გაიხსნა საზოგადოებისთვის როგორც მუზეუმი.**

ამჟამად ლუვრში დაცულია 400 ათასზე მეტი ექსპონატი — აღმოსავლური სიძველეები, ძველეგვიპტური და ანტიკური ხანის, აგრეთვე, დასავლეთევროპული ხელოვნების შედევრები. მათ შორის არის „ვენერა მილოსელის" სტატუა, მიქელანჯელოს „ამბოხებული მონა" და „მომაკვდავი მონა"; და ვინჩის „ჯოკონდა", ჯორჯონეს „სოფლის კონცერტი"; რუბენსის, რემბრანტის, პუსენის, ვატოს, დელაკრუას, ჟერიკოს, ვან გოგისა და მსოფლიოს უდიდესი მხატვრების ნამუშევრები.

**ამ პერიოდში გაუმართლებთ მათ, ვისაც გარისკვის არ ეშინია და თავს არ აარიდებს მძიმე სამუშაოს. სასიკეთო პერიოდია კუროსა და ლომის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**10 - 16 აგვისტოს ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი — 20 აპრილი**

რადიკალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, ყოველდღიურ საქმეებს კი იოლად გაუმკლავდებით. ახლობლებისგან სითბოსა და მხარდაჭერას იგრძნობთ და თქვენც ასევე უპასუხეთ. კეთილი საქმეების უანგაროდ კეთება გამოძახილს აუცილებლად ჰპოვებს.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და გარიგებებში მონაწილეობას.

მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებს — დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

შეიძლება შეგექმნათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემა, რომელიც გამოწვეული იქნება გონებრივი და ფიზიკური დაძაბულობით. კარგი იქნება, თუ დაკავდებით სპორტის რომელიმე სახეობით, მაგალითად — ცურვით.

**დადებითი დღე: 14 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 11 აგვისტო.**

## კურო
**21 აპრილი — 21 მაისი**

სასიკეთო პერიოდია. შეძლებთ პრობლემების მოგვარებას, როგორც საქმიან, ისე პირად ცხოვრებაში.

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელიც დიდ გავლენას იქონიებს თქვენს მომავალ ცხოვრებაზე. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

მარტოხელა კურო შეხვდება საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელს, რომელიც, შესაძლოა, მისი ცხოვრების მეგზური გახდეს, დაქორწინებულებმა თავი უნდა დაანებონ ამა თუ იმ საკითხზე თავიანთი თვალსაზრისის ჯიუტად დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეუღლესთან კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებენ.

მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე და შეეცადეთ, ხშირად ჩაიტაროთ წყლის პროცედურები.

**დადებითი დღე: 12 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 14 აგვისტო.**

## ტყუპი
**22 მაისი—21 ივნისი**

ბევრი საქმე გამოგიჩნდებათ და მათი შესრულება ბევრ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. შეეცადეთ აუჩქარებლად იმოქმედოთ — ფაციფუცით ისეთ შეცდომას დაუშვებთ, რომ გამოსწორება ძალიან გაგიჭირდებათ.

შეეცადეთ, კეთილგანწყობილი ურთიერთობა შეინარჩუნოთ გარშემომყოფებთან — დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა კოლეგებს გაანაწყენებს.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად. შეეცადეთ, დასასვენებლად ერთად წახვიდეთ, შაბათ-კვირას მაინც.

თუ ჯანმრთელობის პრობლემა შეგექმნათ და ექიმთან დიაგნოზის დასასმელად აპირებთ მისვლას, ნუ დაჯერდებით კონსულტაციის გავლას მხოლოდ ერთ სპეციალისტთან, რადგან ამ პერიოდში დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა

**დადებითი დღე: 12 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 16 აგვისტო.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი—22 ივლისი**

მოსალოდნელია უთანხმოება ახლობლებთან და ბიზნესპარტნიორებთან. ამის მიზეზი თქვენი წინდაუხედავი საქციელი იქნება. თუ მოისურვებთ საქმიან სფეროში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას, დაფიქრდით, რა შედეგი შეიძლება მოგიტანოს ამ ცვლილებებმა.

პირად ცხოვრებაში — სასიყვარულო სფეროში — ცვლილებების შესატანად კი საუკეთესო პერიოდია. შეყვარებულმა კირჩხიბებმა, დროა, გაუმხილონ თავიანთი გრძნობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელიც მოსწონთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, ერთადერთი, თუ კანის რომელიმე დაავადება გაწუხებთ, შეეცადეთ, თავი აარიდოთ მზის მწველ სხივებს.

**დადებითი დღე: 10 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 14 აგვისტო.**

## ლომი
**23 ივლისი —22 აგვისტო**

ბევრი ლომი შეძლებს შემოსავლის დამატებითი წყაროს გამონახვას და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამას კი მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომით შეძლებენ. კარგი პერიოდია კომერციული გარიგებების დასადებად და უძრავი ქონების შესაძენად.

დაქორწინებულ ლომებს, შესაძლოა, პრობლემა შეექმნათ მეუღლესთან ურთიერთობაში — არ არის გამორიცხული, საერთო ენა ვერ გამონახოთ და სკანდალი მოაწყოთ. შეეცადეთ, თავიდან აიცილოთ კონფლიქტი.

თავი აარიდეთ ფიზიკურ დატვირთვას, რადგან დიდია ხერხემლის ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 16 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 11 აგვისტო.**

## ქალწული
**23 აგვ. —23 სექტემბ.**

ქალწულთა უმრავლესობას შეიძლება ურთიერთობა გაურთულდეს თანამშრომლებთან, ამის მიზეზი კი მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა და საერთო პრობლემებისადმი გულგრილი დამოკიდებულება იქნება.

თუ კარიერაში წინსვლა გსურთ, შეეცადეთ კეთილგანწყობილი ურთიერთობები შეინარჩუნოთ კოლეგებთან და სხვისი მუშაობა სათანადოდ დააფასოთ.

განქორწინებულ ქალწულებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ შვილების პრობლემების მოსაგვარებლად. მარტოხელა ქალწულების პირად ცხოვრებაში კი მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებული იქნება გუნება-განწყობაზე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 15 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 13 აგვისტო.**

## სასწორი
**24 სექტ. — 23 ოქტ.**

ამ პერიოდში პრიორიტეტული მიმართულება სამსახურში მიღებული დავალებების პირნათლად შესრულება იქნება. შეეცადეთ, ყველა დავალება პუნქტუალურად და ხარისხიანად შეასრულოთ.

შესაძლოა, მიიღოთ შემოსავლის დამატებითი წყარო.

მარტოხელა სასწორებმა, თუ დაინახავენ, რომ მათი რჩეული გაუბედავად იქცევა, ინიციატივა თავიანთ ხელში უნდა აიღონ და პირდაპირ განაცხადონ, რომ ურთიერთობის გაღრმავება სურთ.

დიდია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თირკმელებს — ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 14 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 16 აგვისტო.**

## მორიელი
**24 ოქტ. — 22 ნოემბ.**

გრძელდება დაძაბული პერიოდი. საქმე თავზე საყრელად გექნებათ, რის გამოც სრულფასოვანი დასვენების საშუალება არ მოგეცემათ. შეეცადეთ, დრო სწორად გაანაწილოთ სამსახურსა და ოჯახს შორის.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ — მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

შეეცადეთ, გულწრფელი იყოთ იმ ადამიანებთან, რომლებიც თქვენთვის ძვირფასია, ნებისმიერი ტყუილი ან სიყალბე შეუმჩნეველი არ დარჩება და სიმართლე მალე გამჟღავნდება.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. კარგი იქნება, თუ სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდებით.

**დადებითი დღე: 14 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 10 აგვისტო.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. — 21 დეკ.**

სამსახურში, შესაძლოა, წარმოიქმნას კონფლიქტი, რომელშიც, თქვენდა უნებურად აღმოჩნდებით ჩართული. შეეცადეთ, ნეიტრალური პოზიცია დაიკავოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, ჯოხი თქვენზე გადატყდეს და ყველაფერი თქვენ დაგბრალდეთ.

მარტოხელა მშვილდოსნები შეიძლება შეხვდნენ ნამდვილ სიყვარულს და არ არის გამორიცხული, ურთიერთობა ქორწინებით დააგვირგვინონ. დაოჯახებული მშვილდოსნების ურთიერთობა მეუღლესთან კი მშვიდ კალაპოტში წარიმართება.

ჯანმრთელობის პრობლემები რომ არ შეგექმნათ, ყველაფერში დაიცავით ზომიერება. თავი აარიდეთ ცხიმიან და ცხარე საკვებს და დიდ ფიზიკურ დატვირთვებს.

**დადებითი დღე: 14 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 11 აგვისტო.**

## თხის რქა
**22 დეკემ. — 20 იან.**

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება თქვენს შრომისმოყვარეობასა და პროფესიონალიზმზე იქნება დამოკიდებული. დავალებების მაღალხარისხიანად და პუნქტუალურად შესრულება ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და შეიძლება დაგაწინაურონ ან ფულადი პრემიით დაგაჯილდოვონ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება. მთავარია, გახსოვდეთ — საკამათო საკითხები კომპრომისის გზით უნდა გადაწყვიტოთ!

დიდია სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ამასთანავე, მოერიდეთ ნაყინსა და ცივ სასმელებს.

**დადებითი დღე: 10 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 14 აგვისტო.**

## მერწყული
**21 იან. — 19 თებ.**

შეძლებთ ყველა პრობლემის მოგვარებას, ოღონდ ამისთვის ახლობლების დახმარება დაგჭირდებათ. კარგად გააანალიზეთ მიღებული ინფორმაცია, რადგან მასზე დიდწილად იქნება დამოკიდებული კარიერაში წინსვლა.

საყვარელ ადამიანთან შეიძლება შეგექმნათ უთანხმოება, რომელიც მისი უყურადღებობით იქნება გამოწვეული, მაგრამ ნუ იჩქარებთ საყვედურების თქმას და კარის გაჯახუნებას, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება.

დაძაბული სამუშაო გრაფიკი და არასწორი კვების რეჟიმი ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუარესებთ.

შეეცადეთ, სწორად იკვებოთ, მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 14 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 12 აგვისტო.**

## თევზები
**20 თებ. — 20 მარტი**

რთული პერიოდია. შეიძლება იფიქროთ, რომ მიუხედავად დახარჯული დროისა და ენერგიისა, პრობლემებს თავს ვერ გაართმევთ, მაგრამ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ რამდენიმე დღეს გასტანს, შემდეგ კი ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება.

რთული პერიოდია ფინანსური კუთხითაც — დანახარჯებმა შეიძლება საგრძნობლად გადააჭარბოს შემოსავლებს და, არ არის გამორიცხული, ვალის აღება დაგჭირდეთ.

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის უმცროს წევრებზე ზრუნვას.

შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ და შეამციროთ გონებრივი და ფიზიკური დატვირთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯანმრთელობის პრობლემებს თავიდან ვერ აიცილებთ.

**დადებითი დღე: 13 აგვისტო.**
**უარყოფითი დღე: 15 აგვისტო.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# ბრიტანეთის სპეცსამსახურების ელექტრონული ჯაშუშობა



**2013 წლის ივნისში აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა კონტრაქტორმა ედვარდ სნოუდენმა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების საიდუმლო ოპერაციები გაამჟღავნა. სპეცსამსახურების გლობალური საიდუმლო საქმიანობის მხილება გრძელდება.**

ზუსტად ერთი წლის წინათ ინტერნეტქსელით გავრცელდა ერთი სრულიად საიდუმლო ბრიტანული დოკუმენტი, რომელიც დათარიღებული იყო 2011 წლის 11 მარტით და ეხებოდა კონკრეტული დაზვერვის ქვედანაყოფის საქმიანობას — ე.წ. ერთობლივი საშიშროების გამოკვლევის სადაზვერვო ჯგუფს — სამთავრობო კავშირის ცენტრის ელექტრონული ჯაშუშობის ბრიტანეთის სამსახურს.

ამ ცენტრის (GCHQ) სპეციალური ქვედანაყოფის (JTRIG) არსებობის შესახებ ცნობა პირველად 2014 წლის თებერვალში გავრცელდა, რა თქმა უნდა, სნოუდენის წყალობით. ახლახან კი დაზუსტდა ამ დანაყოფის მიერ განხორციელებული სპეციალური ოპერაციების ზოგიერთი დეტალი, რომლებიც 2009-2013 წლებში ტარდებოდა და მიმართული იყო ირანისა და სირიის წინააღმდეგ.

დოკუმენტურად დადასტურდა ის, რისი საფუძვლიანი ეჭვიც უწინ ჰქონდათ: **ბრიტანეთის ელექტრონული ჯაშუშობის დაზვერვის სამსახური აქტიურად მუშაობდა ირანში პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის წინააღმდეგ საპროტესტო აქტიურობის პროვოცირებისთვის** და — არაბულ სამყაროში ე.წ. არაბული გაზაფხულის დროს. კერძოდ, გაირკვა, რომ ინტერნეტრესურსის (Lurl.me) უკან იდგა ბრიტანეთის სპეცსამსახური GCHQ, რომელსაც ბრიტანეთის დაზვერვა აფინანსებდა და იყენებდა ინტერნეტით ძირგამომთხრელი ცნობების გასავრცელებლად, მათ შორის, ირანში ე. წ. მწვანე მოძრაობის ტალღის ასაგორებლად 2009 წელს ირანის პრეზიდენტის არჩევნების პერიოდში. **მცირე შესვენების შემდეგ იგივე ვებგვერდი ბრიტანეთის დაზვერვამ აამოქმედა ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში „არაბული გაზაფხულის“ დროს.**

გამოჟონილი ცნობების თანახმად, ეს ვებგვერდი შემუშავებული იყო ერთი სპეციალისტის მიერ, რომელიც ზემოთ დასახელებულ ბრიტანულ სპეცდანაყოფში თანამშრომლობდა და მინიჭებული ჰქონდა კოდური სახელწოდება Deadpool.

განსაიდუმლოებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ინტერნეტრესურსი უნდა გამოეყენებინათ ირანში პროტესტების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად და საპროტესტო გამოსვლების მონაწილეთა გასაკონტროლებლად. 2011 წლიდან კი აქცენტმა სირიაზე გადაინაცვლა. ამ ვებგვერდს ანტისამთავრობო აქტივისტები იყენებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლის ასაცილებლად და ინსტრუქციების გასავრცელებლად ხელისუფლების მიერ დაბლოკილ სერვერებში შესაღწევად.

ბრიტანული GCHQ წარმატებით გამოიყენებდა ამ სერვერს მთავრობის მოწინააღმდეგეთა სათვალთვალოდ.

ამრიგად, **ირანში „მწვანე მოძრაობისა“ და ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში „არაბული გაზაფხულის“ ინტერნეტაქტიურობის ორგანიზატორების საქმიანობა მთლიანად ბრიტანეთის დაზვერვის კონტროლით მიმდინარეობდა.**

გამჟღავნდა, რომ ბრიტანული დაზვერვის სპეციალური დანაყოფი სხვა ცივილიზაციების წინააღმდეგ დასავლეთის გლობალური ომის ყველაზე უფრო მოწინავე ფრონტზე მუშაობდა. ეს სამსახური 2011 წელს 120 თანამშრომელს აერთიანებდა, რომლებიც სამ ოპერატიულ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ერთი ჯგუფის მიზანი იყო „დანარჩენი მსოფლიო“; მეორის — „CT ჯგუფის“ — ბრძოლა ტერორიზმთან; მესამეს, რომლის სახელწოდებაა „SMO ჯგუფი“, დიდი ბრიტანეთის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერა ევალებოდა.

**გუნდი, რომელიც კონცენტრირებული იყო ირანზე, მუშაობდა ამ ქვეყნის ხელმძღვანელობისა და მისი ბირთვული პროგრამის დისკრედიტაციაზე. აფრიკაში კი „დანარჩენი მსოფლიოს“ გუნდს უნდა ეზრუნა ზიმბაბვეს რეჟიმის შესაცვლელად ამ ქვეყნის ხელმძღვანელობისა და მის მიერ განხორციელებული პოლიტიკის დისკრედიტაციის გზით.**

აქტიური ოპერაციები, რომლებიც მიმართული იყო სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ, განსაიდუმლოებულ დოკუმენტებში ხასიათდებოდა, როგორც „დისკრედიტაცია“, „უნდობლობისთვის ხელშეწყობა“, „გადარწმუნება“, „მოტყუება“, „განადგურება“, „შეკავება“, „უარყოფა“, „გაშავება“, „დეგრადაცია“ და „დაბრკოლება“. ყველა შეტევითი ოპერაცია ხორციელდებოდა კიბერტექნოლოგიების გამოყენებით, „იუთუბის“ ვიდეოკონტენტით დატვირთვით, სოციალურ ქსელებში ჯგუფებისა და ფორუმების კონტროლით, ინტერნეტფსევდონიმებისა და გამოგონილი პიროვნებების შექმნით, რომლებიც თავიანთი კომენტარებით მხარს დაუჭერდნენ „იუთუბისა“ და „ფეისბუქის“ პუბლიკაციებს, ასევე, — ფორუმებითა და ბლოგებით.

გაირკვა, რომ ბრიტანეთის სპეცსამსახურის — GCHQ-ს JTRIG-ის დანაყოფი დასპეციალებული იყო კიბერსივრცეში „აქტიური ღონისძიებების“ განსახორციელებლად „ფსიქოლოგიური ოპერაციების“ გზით, რომლებიც სახელს უტეხდა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მოწინააღმდეგეებს კარგად დამუშავებული დეზინფორმაციული ოპერაციების გზითა და საშუალებით.

**თავის მუშაობაში JTRIG ითვალისწინებდა სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ფსიქოლოგიური ურთიერთობა, ნდობა და უნდობლობა, ფსიქოლოგიური პროფილირება, მაგიერი პირების დამუშავება, სოციალურ ურთიერთობებზე კულტურების გავლენა, შეგნების ფსიქოლოგია, ცნობების მასობრივი გაცვლა, მარკეტინგი და ბრენდინგი ვიდეოსა და „იუთუბიზე“, „ანკესზე“ ეფექტიანი წამოგება კონტაქტის მიზნით, ინტერნეტში დანაშაულებრივი ქცევის თავისებურებანი, კერძოდ, ბავშვების ექსპლუატაცია და თაღლითობა, ახალგაზრდების ქცევა სოცქსელებში და ინტერნეტ ბიზნესოპერაციები.**



# 19 წლის ყმაწვილმა ლონდონის ცენტრში ტერაქტი მოაწყო

**თავდასხმა განხორციელდა იმ დღეს, როცა სკოტლენდ-იარდმა გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს დამატებით 600 შეიარაღებული პოლიციელის მობილიზება ტერაქტებისგან ლონდონის დასაცავად.**

19 წლის ახალგაზრდა ლონდონის ცენტრში, რასელ-სკვერზე დანით თავს დაესხა მოქალაქეებს. დაიღუპა ერთი ქალი, ხუთი ადამიანი დაიჭრა. ეჭვმიტანილი პოლიციამ დააკავა. გამომძიებლები ჯერჯერობით ვერ ასახელებენ ბოროტმოქმედების მოტივებს, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ მომხდარი შეიძლება იყოს ტერორისტული აქტი.

ლონდონის ბლუმსბერის რაიონში მობილიზებულია პოლიციელების დამატებით ძალები, მაგრამ ეს ღონისძიება ძალიან ჰგავს მუშტების ქნევას ჩხუბის შემდეგ.



# «უკრაინამ გადაჭარბებულად შეაფასა საკუთარი მნიშვნელობა დასავლეთისთვის»

**უკრაინის მთავრობა მიიჩნევს, რომ მას აშშ რუსეთთან კონფრონტაციაში შუამავლის როლს აკისრებს, მაშასადამე, კვლავაც მხარს დაუჭერს (უკრაინას), რაც გინდა მოხდეს. მაგრამ კიევის შიდაპოლიტიკური მარცხისა და რეფორმების არარსებობის შემყურე დასავლეთის ქვეყნებს თანდათან უნელდებათ დახმარების სურვილი.**

კიევი ცდილობს, თავის მთავარ მტრად გამოაცხადოს მოსკოვი, მაგრამ უკრაინელების ძირითადი უბედურება უნიჭო და კორუფცირებული ლიდერები არიან. განვითარების სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორია სამართლებრივი ნორმების უკმარობა, რომელთა ამოქმედება შეაჩერებდა უკანონობასა და კარს მომდგარ კატასტროფას, — წერს „ფორინ პოლისი“.

დასავლეთი აღარ აპირებს, თვალი დახუჭოს იმ რეგრესზე, რომელიც უკრაინაში მძლავრობს. ველარ აიტანს უკრაინის ხელისუფლების გამოხდომებს თითქოს იმის შიშით, რომ კიევი შეიძლება სახით რუსეთისკენ შებრუნდეს, — ხაზს უსვამს გამოცემა. „საერთაშორისო თანამეგობრობის შიშისადმი კიევის ზერელე დამოკიდებულებამ უკრაინას შეუძლია შეუწყვიტოს უცხოეთის მხარდაჭერა სწორედ იმ მომენტში, როცა მას ეს მხარდაჭერა ყველაზე უფრო სჭირდება“, — ასკვნის სტატიის ავტორი.

# ტერორისტებმა ისრაელს, იტალიასა და ეგვიპტეს მუშტი მოუღერეს



**„ისლამურმა სახელმწიფომ“ მორიგი პროპაგანდისტული ვიდეო გაავრცელა. „დეილი სტარი“ იუწყება, რომ „ბოევიკები“ იტალიაში, ისრაელსა და ეგვიპტეში ტერაქტების სერიის მოწყობით იმუქრებიან.**

„ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთს რომსა და იერუსალიმში. ო, ებრაელებო, გველოდეთ! სასჯელი, რომელიც მოგიმზადეთ, სერიოზულია, და მალე თქვენ ეს ძვირად დაგიჯდებათ“, — ნათქვამია ქსელში გავრცელებულ ვიდეორგოლში.

„ისლამური სახელმწიფოს“ ყოფილმა მოთარეშემ **ჰარი სარფომ** ბრიტანეთის სპეცსამსახურებს მოუთხრო ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ტერაქტების მოწყობის ჩანაფიქრის შესახებ, იტყობინება **„რენ ტივი“**. სარფოს თქმით, ლაპარაკია ერთდროული ტერაქტების სერიაზე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ტერორისტებს მიზანში აქვთ ამოღებული დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია. „მათ (ტერორისტებმა) განაცხადეს, რომ სურთ, ერთდროულად შეუტიონ ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიას“. ამასთანავე, სარფომ თქვა, რომ **გერმანიაში არც ისე ბევრია ადამიანი, რომლებსაც „ისლამური სახელმწიფოსთვის“ თავგანწირვა სურთ.** „მათ მითხრეს, რომ გეგმები კი არსებობს, მაგრამ ადამიანებს ეშინიათ და ერთმანეთის მიყოლებით თამაშიდან გადიან. მსგავსი სიტუაციაა ინგლისშიც“, — აღნიშნა სარფომ.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894